საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№22 (540)
17 - 23 ივნისი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## აშშ უარს ამბობს მსოფლიო პოლიციელის როლის შესრულებაზე 11

## ცარიელი კვარცხლბეკები და მკვეთრი ფსიქიკური აშლილობის სინდრომი 4



**თომას ჯეფერსონი: «მე შიშით ვცახცახებ ჩემი ქვეყნის მომავლის წინაშე, როდესაც ვფიქრობ, რომ ღმერთი სამართლიანია!»**

3

გულბაათ რცხილაძე:

## ივანიშვილს რუსეთთან მოგვარებული რომ ჰქონდეს ურთიერთობა, ვერც ერთი ამერიკელი ვერ გაბედავდა მასზე მუქარით საუბარს



## თანამედროვე «დრანგ ნახ ოსტენ» და რუსეთი

7






2

ნანა კაკაბაძე:

## ეს არის XXI საუკუნის გაცხადებული კოლონიალიზმი

საად არის ფაქტები, რომლებიც დაამტკიცებს, რომ საქართველო რუსეთის ორბიტაზე გადავიდა და, საერთოდ, მათ ვინ ეკითხება, ვინ ვისი პარტნიორია?!

შეკითხვა «ჯიბრულ პონტში»:

## თქვენ თუ გყავთ დედები, ბატონებო? 8



მამა გიორგი (რაზმაძე):



## 9 ევრო-კომისრების უკმაყოფილების მიზეზი ისაა, რომ ეკლესიის წიაღში განხეთქილება ვერ გააჩინეს

## თანამედროვე ამერიკის გმირი 19





## სიმართლე არ არის, ობიექტურობა მოკვდა 15



## როგორ ათეთრებდნენ შავ ფულს რომის პაპის გარემოცვის წევრები

14



თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ფაქტია, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის დღიდან რუსეთთან ურთიერთობების მოსაგვარებლად ნაბიჯიც კი ვერ გადაიდგა და ორ ქვეყანას შორის დიალოგში რეალური გარღვევა ვერ მოხერხდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ რიტორიკა შერბილდა და დედას აღარ აგინებენ კრემლის მესვეურებს, როგორც ამას თავის დროზე სააკაშვილი აკეთებდა. ახლა ეს თუ არის „პუტინის ახლო მოკავშირეობა“, მაშინ კი ჰქონიათ „არგუმენტები“.**



ნანა კაკაბაძე:

# ეს არის XXI საუკუნის გაცხადებული კოლონიალიზმი

## სად არის ფაქტები, რომლებიც დაამტკიცებს, რომ საქართველო რუსეთის ორბიტაზე გადავიდა და, საერთოდ, მათ ვინ ეკითხება, ვინ ვისი პარტნიორია?!

**ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენლობითმა პალატამ მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკურ მოვლენებზე 11 ივნისს ვრცელი ანგარიში გამოაქვეყნა სახელწოდებით „ამერიკის გაძლიერება და გლობალურ საფრთხეებთან ბრძოლა“, რომელშიც, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ყურადღება საქართველოზეც გამახვილდა. კვლევის თანახმად, რომელსაც ხელს აწერს 13 რესპუბლიკელი კონგრესმენი, საქართველოში თურმე კრემლის პოლიტიკა და გავლენა დღითიდღე ძლიერდება ქვეყანაში არსებული გარკვეული პრორუსული ჯგუფების ძალისხმევის შედეგად.**
**ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ბიძინა ივანიშვილი, როგორც ქვეყნის უმდიდრესი ადამიანი, პუტინის „ახლო მოკავშირე“ და მითითებების შემსრულებელია, რომელიც რუსეთის სასარგებლოდ საქართველოში სხვადასხვა ფორმით ახორციელებს დესტაბილიზაციას.**

კონგრესმენების შეფასებით, ვაშინგტონმა დღეს ყველა მის ხელთ არსებული ბერკეტი და შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს, რათა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, არ დაუშვას რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული ოლიგარქების გავლენების გაძლიერება, რაც ადრე თუ გვიან უმართავ პროცესებს გამოიწვევს ამ ქვეყნებში. მეტიც, ამისთვის, მათი შეფასებით, შესაძლოა, ამოქმედდეს სპეციალური სანქციებიც, რაც სერიოზულად დაარტყამს რუსულ „დეზინფორმაციულ მანქანას“ და „კრემლის მოკავშირე ოლიგარქებს“ აიძულებს, ხელი აიღონ პუტინის პოლიტიკის მხარდაჭერაზე...

შეგახსენებთ, რომ საქართველოში კრემლის გავლენისა და „რუსული პროპაგანდის“ არსებობაზე ამერიკელი კონგრესმენები უკვე მერამდენედ აქვეყნებენ სპეციალურ წერილებსა თუ განცხადებებს, რომლებშიც დესტაბილიზაციის საფრთხეებზეა საუბარი, მაგრამ, მიუხედავად განგაშისა, ვერც ერთ ანგარიშსა თუ განცხადებაში კონკრეტული ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც გამოთქმულ მოსაზრებებს დაასაბუთებდა, არ ყოფილა...

**არის თუ არა ბიძინა ივანიშვილი „პუტინის ახლო მოკავშირე“ და რეალურად რა მიზანს ემსახურება კონგრესმენების შეფასებები საქართველოში რუსული გავლენების გაძლიერებაზე — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, ამერიკელი კონგრესმენების მიერ გამოქვეყნებულ ვრცელ ანგარიშს თუ დავუჯერებთ, საქართველოში რუსული გავლენები დღითიდღე ძლიერდება, ივანიშვილი კი უშუალოდ პუტინის მოკავშირე და მისი ბრძანებების შემსრულებელია... რა აზრის ხართ ამ ანგარიშზე?**

— ბოლო პერიოდში ძალიან უცნაური და გამაოგნებელია დასავლელი, განსაკუთრებით, ამერიკელი მაღალჩინოსნების ქცევები, რომლებიც ამოვარდნილნი არიან ყველანაირი კონტექსტიდან და აკეთებენ სრულიად გაუგებარ განცხადებებს საქართველოზე. ეს არანაირი დიპლომატიის ჩარჩოებში არ ჯდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, **ამ რიტორიკით ბუნდოვანი ხდება ამ ადამიანების მიერ (კონგრესმენებს ვგულისხმობ) დემოკრატიის, თავისუფლებისა და იმის აღქმა, როგორი უნდა იყოს 21-ე საუკუნის ცივილიზებულ სამყაროში სუვერენული სახელმწიფო.**

რაც შეეხება ბრალდებებს **ბიძინა ივანიშვილის** მიმართ, ცხადია, კონგრესმენებს არ ეშლებათ, რომ ნებისმიერი ბრალდება, ვის მიმართაც უნდა იყოს ის, კონკრეტულ ფაქტებსა და მტკიცებულებებს უნდა ეფუძნებოდეს, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის შემთხვევაში გვესმის მხოლოდ უსაფუძვლო ბრალდებები. არადა, **ფაქტია, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის დღიდან რუსეთთან ურთიერთობების მოსაგვარებლად ნაბიჯიც კი ვერ გადაიდგა და ორ ქვეყანას შორის დიალოგში რეალური გარღვევა ვერ მოხერხდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ რიტორიკა შერბილდა და დედას აღარ აგინებენ კრემლის მესვეურებს, როგორც ამას თავის დროზე სააკაშვილი აკეთებდა. ახლა ეს თუ არის „პუტინის ახლო მოკავშირეობა“, მაშინ კი ჰქონიათ „არგუმენტები“.** ხელისუფლება, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში კარასინი-აბაშიძის ფორმატს ვერ გასცდა და მზად არის, დასავლელი მაღალჩინოსნების თითის დაქნევით პოლიტპატიმრის სტატუსით გამოუშვას ციხიდან ორი უმძიმესი დამნაშავე, რა ლოგიკით შეიძლება დაადანაშაულო რუსეთის მიმართ ლოიალურობაში, უბრალოდ, გაუგებარია...

**— ამ დღეებში ბევრი ითქვა და დაიწერა, რომ საქართველოში „რუსული პროპაგანდის“ და, საერთოდ, გავლენების არსებობაზე აპელირება „ნაცმოძრაობის“ დასავლელი ლობისტების მიერ არის ინსპირირებული. როგორ ფიქრობთ, ის 13 ამერიკელი კონგრესმენიც ამ ჯგუფს განეკუთვნება?**

— ეს არის პირდაპირ სააკაშვილის ლობისტური ჯგუფი, რომელიც პერიოდულად აქტიურდება და ახორციელებს თავდასხმებს ხელისუფლებაზე. ამაში გასაკვირიც არაფერია, მაგრამ ჩემთვის მიუღებელი და გამაღიზიანებელი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ხელისუფლება არის სირაქლემას პოზაში. **იმის ნაცვლად, რომ ოფიციალურ დონეზე გააკეთოს განცხადება, გასცეს პასუხი ბრალდებებს და მოითხოვოს იქითა მხრიდანაც შესაბამისი პასუხები, გასუსულია.** რას ნიშნავს ეს, თუ არა, ფაქტობრივად, მწვანე შუქის ანთებას დესტრუქციული გარე ძალებისთვის? ახლა ვიღაც იტყვის, რომ ეს კონგრესმენები ამერიკის ოფიციალურ პოზიციას არ გამოხატავენ და მათი განცხადება თუ ანგარიში გადამწყვეტი არ არის. კი, ბატონო, მაგრამ კონგრესმენები ხომ არ არიან რიგითი მოქალაქეები, რომელთა სიტყვასაც არანაირი პოლიტიკური დატვირთვა არ აქვს?! მაშინ გამოვიდეს თეთრი სახლის რომელიმე ოფიციალური პირი და გააკეთოს განცხადება, რომ ეს მათი პოზიცია არ არის.

**— რა არის ხელისუფლების მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი იმისთვის, რომ მსგავს განცხადებებს, კონგრესმენების მხრიდან იქნება ეს თუ ევროკავშირის წარმომადგენლებისგან, ადეკვატური პასუხი გასცეს? რა აკავებს „ქართულ ოცნებას“?**

— პირველი და მთავარი არის ის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე. მათი მთავარი ორიენტირი გადაწყვეტილებების მიღებისას ის კი არ არის, ხალხი რას იტყვის და როგორ აღიქვამს, არამედ ის, როგორ გაიგებენ ამ ყველაფერს დასავლეთში. მეორე — ხელისუფლება პოლიტიკურად უხერხემლო და უუნაროა, რაც ჯერ კიდევ წლების წინათ გამოჩნდა: ხალხის მოტყუება ამჯობინეს ე.წ. დემოკრატიული დასავლეთის განაწყენებას.

**«ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ პასუხისმგებლობა მოსახლეობის მიმართ. მათი მთავარი ორიენტირი გადაწყვეტილებების მიღებისას ის კი არ არის, ხალხი რას იტყვის და როგორ აღიქვამს, არამედ ის, როგორ გაიგებენ ამ ყველაფერს დასავლეთში. მეორე — ხელისუფლება პოლიტიკურად უხერხემლო და უუნაროა, რაც ჯერ კიდევ წლების წინათ გამოჩნდა, ხალხის მოტყუება ამჯობინეს ე.წ. დემოკრატიული დასავლეთის განაწყენებას. ვგულისხმობ იმას, რომ თავდაპირველად თითქოს მოინდომეს სამართლიანობის აღდგენა, მერე კი დასავლეთის დირექტივებით დაპირებებზე ხელი აიღეს»**

ვგულისხმობ იმას, რომ თავდაპირველად თითქოს მოინდომეს სამართლიანობის აღდგენა, მერე კი დასავლეთის დირექტივებით დაპირებებზე ხელი აიღეს. რაც შეეხება ისევ იმ ბრალდებას, რომ თურმე საქართველო ნელ-ნელა რუსულ ორბიტაზე გადადის და კრემლის მოკავშირე ხდება, ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ჯერ ერთი, სად არის ფაქტები, რომლებიც ამ ყველაფერს დაამტკიცებს და მეორეც — მაგათ ვინ ეკითხება, ვინ ვისი პარტნიორია?! **ეს ხომ 21-ე საუკუნის გაცხადებული კოლონიალიზმია, როცა, პრაქტიკულად, არჩევანს არ გიტოვებენ და არც კითხულობენ, რა შეიძლება შედიოდეს მოცემულ მომენტში შენს სახელმწიფოებრივ ინტერესებში...**

**— არსებობს მოსაზრება, რომ დასავლელი მაღალჩინოსნების მხრიდან რუსულ პროპაგანდასა და გავლენაზე აპელირება ქვეყანაში არეულობისთვის გარკვეული წინაპირობების შექმნას ემსახურება. თქვენი აზრით, 13 კონგრესმენის მოხსენებაც გარკვეულწილად იმაზე ხომ არ არის გათვლილი, რომ წინასაარჩევნო პერიოდში რევოლუციური ატმოსფერო შეიქმნას?**

— მსგავსი სურვილი რომ არსებობს და ის არა მხოლოდ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არსებულ დესტრუქციულ ძალებს, არამედ მათ მოკავშირე გარკვეულ დასავლურ ჯგუფებსაც აქვთ, არახალია, მაგრამ არის ერთი გადაულახავი ბარიერი, რომელსაც ისინი ჯერჯერობით ვერაფერს უხერხებენ. ვგულისხმობ იმას, რომ **საზოგადოების მხარდაჭერა არ აქვთ და ვერ რაზმავენ მოსახლეობას, თორემ, ეს ფაქტორი რომ არ იყოს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რევოლუცია ოქტომბრამდე მოხდებოდა.** საერთოდ, დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური მოცემულობა არის ერთგვარი ნონსენსი იმ თვალსაზრისით, რომ ხელისუფლება სარგებელს ნახულობს ძალებისგან, რომლებიც მუდმივად ორიენტირებულნი არიან არეულობაზე. რომ არა „ნაცმოძრაობა“, რომელიც ნამდვილად კარგი საფრთხობელაა საზოგადოების დასაზაფრავად, „ოცნება“ დიდი ხნის გასტუმრებული იქნებოდა. ეს ყველამ ვიცით; და ეს არის ზუსტად ის მავნე პოლიტიკური რეალობა, რომელიც ჩვენ, ფაქტობრივად, არჩევანის საშუალებას არ გვაძლევს.

შეკითხვას რაც შეეხება, ვფიქრობ, ყველაფერი ძალიან მარტივია. სანამ ქვეყანაში მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსით არსებობენ სუბიექტები, რომელთა პოლიტიკური მომავალიც, მათივე გათვლებით, რევოლუციასა და არეულობას უკავშირდება, მანამ დესტაბილიზაციასა და უმართავ პროცესებს უნდა ველოდოთ. ამაში, ალბათ, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი დამეთანხმება...

**— როგორ ფიქრობთ, არსებობს პერსპექტივა, რომ ქვეყანა ნელ-ნელა გამოვიდეს ამ ვითარებიდან? ხედავთ ამის წინაპირობას?**

— ამ ეტაპზე ვერ ვხედავ, მაგრამ ცოცხალი პოლიტიკური პროცესი ცვლილებებს, მათ შორის ძირეულს და ფუნდამენტურს, არასდროს გამორიცხავს. საქართველოს დღევანდელ ვითარებაში აქვს ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა: მისი საგარეო პოლიტიკა იყოს დაბალანსებული. **დაბალანსებული იმ დიდ გეოპოლიტიკურ ცენტრებს შორის, რომელთა ინტერესები აქ ობიექტურად იკვეთება. აი, ეს მოგვცემს ზუსტად ლავირების საშუალებას საგარეო ასპარეზზე, მუდმივად ერთი რომელიმე ცენტრის ბრმა იარაღი რომ არ ვიყოთ.** სხვანაირად სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანწყალს დავკარგავთ. ამაში ვარ აბსოლუტურად დარწმუნებული, იმიტომ, რომ ეს კურსი და, საერთოდ, ბოლო პერიოდში რაც ხდება ჩვენ გარშემო, ვგულისხმობ კონგრესმენების რიტორიკას, ევროპარლამენტარების ზემოქმედებას და ა.შ., არის ერთგვარი თვითგანადგურების რეჟიმი. ამით ქვეყანას, პრაქტიკულად, არაფერი ელოდება, გარდა იმისა, რომ ხუთ-ათ წელიწადში ჩვენ გავხდებით ოფიციალური კოლონია, რომელსაც ფორმალურადაც აღარ დაუდგამენ დემოკრატიის სპექტაკლებს და პირდაპირ, დაუფარავად დაუდებენ გეგმას, როგორ ემსახუროს სხვის ინტერესებს საკუთარი ეროვნული, სტრატეგიული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანების წინააღმდეგ.

ესაუბრა **ჯაბა ჭყანია**

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ახლა ივანიშვილს ყველა ყველაფერს უბედავს, რადგან არაფერს წარმოადგენს; ზურგი რომ არ აქვს, ამიტომ უბედავენ ქეციანი ზელენსკი და მისი ხელისუფლება იმას, რომ საქართველოდან გაქცეული, ძებნილი, მსჯავრდებული სააკაშვილი დანიშნონ თანამდებობაზე და თანაც ალაპარაკონ ქართულ პოლიტიკაზე, უფრო მეტიც, საქართველოში უკრაინის ელჩმა განაცხადა, რომ სააკაშვილს ლაპარაკს ვერ ავუკრძალავთო“.**



**გულბაათ რცხილაძე:**

# ივანიშვილს რუსეთთან მოგვარებული რომ ჰქონდეს ურთიერთობა, ვერც ერთი ამერიკელი ვერ გაბედავდა მასზე მუქარით საუბარს

**აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის რესპუბლიკური პარტიის წევრებისგან შემდგარმა სამუშაო ჯგუფმა ანგარიში გამოაქვეყნა სახელწოდებით „ამერიკის გაძლიერება და გლობალურ საფრთხეებთან ბრძოლა“, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად საქართველოზეც არის ლაპარაკი. კერძოდ, ანგარიშში წერია, რომ აშშ-მა უნდა გააფრთოოს სანქცირებული ადამიანების სია. ამ სიამ, თავის მხრივ, უნდა მოიცვას ისეთი ოლიგარქები, რომლებიც რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ეხმარებიან. ერთ-ერთ ასეთ ადამიანად დასახელებულია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი.**

„არსებული სანქციები საკმარისად არ ეხება პუტინის საგარეო მოკავშირეებს, რომლებიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენიტეტს უთხრიან ძირს. ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს უმდიდრესი ადამიანი, პუტინის ახლო მოკავშირეა და რუსეთის სასარგებლოდ საქართველოს დესტაბილიზაციაშია ჩართული. ვიქტორ მედვედჩუკი პრორუსი ოლიგარქი და მოკავშირეა უკრაინაში, რომელიც თავის მედიაიმპერიას იყენებდა ქვეყანაში ზიანის მომტანი რუსული დეზინფორმაციის გასავრცელებლად“, — წერია კონგრესმენების მიერ შემუშავებულ ანგარიშში, რომელსაც ხელს აწერენ მაიკ ჯონსონი, ჯო უილსონი, რობ უიტმენი, ენ ვაგნერი, ალექს მუნი, დონ ბეკონი, ჯეკ ბერგმანი, ნილ დანი, კლეი ჰიგინსი, რალფ ნორმანი, დენ კრენშოუ, ბრაიან სტაილი და მაიკლ უოლტსი.

**არის თუ არა „პუტინის კაცი“ ბიძინა ივანიშვილი? რა გავლენას მოახდენს ქართველ ლიბერალებზე ამერიკაში მიმდინარე პროცესები და დაიწყება თუ არა არეულობა 20 ივნისს — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე გვასაუბრება:**

— არის თუ არა პუტინის კაცი ბიძინა ივანიშვილი? სანამ ამ შეკითხვაზე პასუხს გაგცემთ, განვმარტოთ, რას წერენ ამერიკელი კონგრესმენები თავიანთ რეზოლუციაში. დაახლოებით ასეთი ტექსტია: „ივანიშვილი არის პუტინის მოკავშირე და ხელს უწყობს საქართველოში დესტაბილიზაციას“. ამერიკელმა კონგრესმენებმა ქართველი ადამიანი, ფაქტობრივად, გამოიყვანეს სახელმწიფოსა და სამშობლოს მტრად. პუტინიც, ამერიკელების აზრით, სამშობლოს მტერია, იმავეს ამბობენ ივანიშვილზეც, რაც არ არის მართებული.

**ივანიშვილს რაიმე კავშირი რომ ჰქონდეს პუტინთან, ეს მართებული იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის.** ივანიშვილი არ არის იმ დონის პოლიტიკოსი, რუსეთის პრეზიდენტთან ახლო ურთიერთობა რომ ჰქონდეს. ამერიკელებს კი ჰგონიათ, რომ ივანიშვილს კარგი და ახლო ურთიერთობა აქვს მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტთან ფარულად... არ ვიცი, ამას რატომ ამბობენ, აქვთ ამის თქმის საფუძველი თუ არა, მაგრამ მაინც ყურადსაღებია ეს განცხადება. ამერიკელებს ჩამოყალიბებული აქვთ თავიანთი აზრი და სხვა თვალსაზრისის მოსმენა არ სურთ, ასეთ შემთხვევაში აზრი არ აქვს რამის თქმას, მაგრამ ამერიკელ დიპლომატ **კურტ ვოლკერს** გადამეტებულად მიაჩნია ივანიშვილის ასეთი შეფასება. უკრაინელი **მედვედჩუკი** სხვაა და ივანიშვილი — სხვა.

მედვედჩუკს ურთიერთობა აქვს რუსეთის პრეზიდენტთან. ის ფიქრობს უკრაინის რუსეთისკენ შებრუნებაზე, რადგან რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება უკრაინისთვის უკეთესია. ასეთი აზრი ამერიკისთვის მიუღებელია. **ვოლკერი ჩვეულებრივი პრიმიტიული ამერიკელია და მარტივად ამბობს, რომ მედვედჩუკი ცუდია, ხოლო ივანიშვილი — შედარებით კარგი.**

რა დონემდე დაიყვანა თავი ივანიშვილმა? ვერც რუსეთთან გაბედა ურთიერთობის მოგვარება და ვერც ამერიკასთან. მერწმუნეთ, **ივანიშვილს რუსეთთან მოგვარებული რომ ჰქონდეს ურთიერთობა, ვერც ერთი ამერიკელი ვერ გაბედავდა მასზე მუქარით საუბარს, რადგან მის ზურგს უკან ძალას იგრძნობდნენ.** ახლა ყველა ყველაფერს უბედავს, რადგან არაფერს წარმოადგენს, ზურგი რომ არ აქვს, ამიტომ უბედავენ ქეციანი ზელენსკი და მისი ხელისუფლება იმას, რომ საქართველოდან გაქცეული, ძებნილი, მსჯავრდებული სააკაშვილი დანიშნონ თანამდებობაზე და თანაც ალაპარაკონ ქართულ პოლიტიკაზე, უფრო მეტიც, საქართველოში უკრაინის ელჩმა განაცხადა, რომ სააკაშვილს ლაპარაკს ვერ ავუკრძალავთო.

**«ამერიკა ხვალ რომ დაიშალოს, საქართველოში მაინც ერთიანი და უძლეველი ეგონებათ; ეგონებათ, რომ ამერიკა არსებობს, ისევ დაელოდებიან იქიდან წერილს და ისევ ჩაისვრიან, ის წერილი რომ ჩამოვა»**

ივანიშვილს მართლა რომ ჰქონდეს კავშირები პუტინთან, ურთიერთობა რომ ჰქონდეს მოგვარებული, გაცილებით მტკიცე იქნებოდა მისი და მის მიერ დანიშნული პრემიერის პოზიციაც. უფრო დიდი წარმოდგენა მქონდა პრემიერ **გახარიაზე,** მაგრამ, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ის დანიშნული „მუშაკია“.

ახლა პატარა გადახვევას გავაკეთებ. ჩვენი ქვეყანა ამბობს, რომ წარმატებულად იბრძოლეს კორონავირუსის წინააღმდეგ. ის, რომ ან მართლა არ აღმოჩნდა ვირუსი ძლიერი, ან პაციენტი არ მივიდა ექიმთან, არ ნიშნავს წარმატებას. მაგალითად, ვირუსის ერთიორი შემთხვევის მეტი არ აღურიცხავთ აფხაზეთსა და ცხინვალში. გამოდის, რომ აფხაზეთი და ცხინვალი ჩვენზე წინ დგანან. არადა, ამბობდნენ, რომ აფხაზეთსა და ცხინვალში უარესი მდგომარეობა იქნებოდა და საქართველო მზად იყო, დახმარებოდა ამ რეგიონებს. რისთვის სჭორდებოდათ ეს ტყუილი?!

**აფხაზეთს არ ჰყავს არც იმნაძე, არც გამყრელიძე, არ აქვს ლუგარი... გამოდის, რომ აფხაზეთი და ცხინვალი მსოფლიო ჩემპიონები ყოფილან სახელმწიფოებრიობაში.**

**— სოციალურ ქსელებში წერენ, რომ ივანიშვილის პრორუსულობასა და ივანიშვილის „პუტინის კაცობაზე“ ლაპარაკი „ქართულ ოცნებას“ ხელს აძლევს, რადგან ამით ამომრჩეველს მოისყიდიან და ამიტომ თვითონვე ავრცელებენ ასეთ ჭორსო...**

— სიმართლე გითხართ, გონიერი ხელისუფლება ასეც მოიქცეოდა, სპეციალურად შექმნიდა ისეთ გარემოს, თითქოს პრორუსულია. ეს სულაც არ ნიშნავს საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას, მაგრამ მეეჭვება, რომ ასეთი ჩახლართული კომბინაცია იყოს ამ შემთხვევაში. **ვერ წარმომიდგენია, რომ ივანიშვილმა 13 ამერიკელი კონგრესმენი შეკრიბა და ათქმევინა, რომ ის რუსეთისა და პუტინის კაცია. ასეც რომ იყოს, ივანიშვილს აღარც ეს უშველის.**

სულ არ მაინტერესებს, სად იქნება ივანიშვილი და ვის გვერდით, არც რუსეთის პრეზიდენტი მაინტერესებს, მე მაინტერესებს, რა იქნება ჩვენს ქვეყანაში, სად იქნება საქართველო.

ჩვენ, რამდენიმეკაციანი ჯგუფი, ვმუშაობთ იმაზე, რომ რუსეთ-საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობა ჩამოყალიბდეს, თუმცა ამას ჩვენ კი არა, სახელმწიფო უნდა აკეთებდეს. ქართველი, რომელსაც სურვილი აქვს, რუსეთში ლეგალურად წავიდეს, ისწავლოს ან დასაქმდეს, ასეთი საქმე სახელმწიფოს პრეროგატივაა და არა ისეთი ადამიანების, რომლებსაც თანამდებობა არ უკავიათ. ამაზე უნდა ზრუნავდეს პრემიერმინისტრი. გახარიამ გლეხებს განუცხადა: თბილისში ჯანიანი ხალხი ტურისტების არარსებობაზე წუწუნებსო, დასცინა. ახლა გაახსენდათ, რომ ტურიზმი არ არის ქვეყნის აღმშენებლობის საფუძველი?! თავად არ ამბობდნენ, ეს აგვაშენებსო?! ახლა, თურმე, ყველამ ბარი და თოხი უნდა აიღოს ხელში და მიწა ჩიჩქნოს... საქართველოს ხელისუფლებას წარმოდგენა არ აქვს ეკონომიკის მშენებლობაზე, ქვეყნის მართვის სისტემაზე.

**კარგი იქნებოდა, ჩვენი ქვეყნის პრემიერმინისტრს ელაპარაკა რუსეთთან კულტურულ ურთიერთობაზე, გაეგზავნა სპეციალური წარმომადგენელი რუსეთში და რაღაც დონეზე მოეგვარებინა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა. საქართველოს ეს წაადგებოდა. არ უნდათ ამ ეტაპზე რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ მოუწევთ, მაგრამ, სანამ მოუწევთ, სანამ ეს დღე დადგება, უკეთესი იქნებოდა, კულტურული ურთიერთობები აღედგინათ.**

ამერიკა ხვალ რომც დაიშალოს, საქართველოში მაინც ერთიანი და უძლეველი ეგონებათ... ეგონებათ, რომ ამერიკა არსებობს, ისევ დაელოდებიან იქიდან წერილს და ისევ ჩაისვრიან, ის წერილი რომ ჩამოვა.

სანამ ჩვენს ქვეყანაში არ მოხდება მართლა დიდი და სერიოზული რევოლუცია (არა **სოროსის**), მანამდე არაფერი გვეშველება.

**— შესაძლებელია ასეთი რევოლუცია დღეს და ამ პირობებში?**

— არა, ასეთი რამ ჯერჯერობით შეუძლებელია. რამდენიმე ხნის წინათ დავწერე პატარა წერილი „ლეგენდარული ოცი ლარი“. სანამ ქვეყანა ოც ლარად აწყობს „ფერად რევოლუციებს“, ოც ლარად მონაწილეობს არჩევნებში და ახლა ქვეყნის პრემიერი პენსიისთვის ოცი ლარის მომატებაზე საუბრობს, რომლითაც, დიდი ალბათობით, ცდილობს არჩევნების მოგებას, რევოლუცია, თანაც ნამდვილი, არ გამოვა. ოც ლარზე გაყიდული ხალხი ვართ ჩვენ. მივყვებით დინებას და ვიმედოვნებთ, რომ გლობალური პროცესები სადღაც გაგვრიყავს.

**— დაიწყება თუ არა 20 ივნისს არეულობა?**

— 20 ივნისის გამოსვლებს არ ვგულისხმობდი, ვგულისხმობდი იმას, რაზეც ინტერვიუს თავში ვისაუბრე — ამერიკაში მიმდინარე პროცესებსა და ამერიკელი კონგრესმენების განცხადებას. 20 ივნისს არაფერი მოხდება, იღნავლებენ და დაიშლებიან, შემოდგომისთვის კი მოემზადებიან, შეეცდებიან, წინასაარჩევნოდ დაიწყონ არეულობა...

**— საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, არჩევნები შეიძლება დეკემბერში ჩატარდესო...**

**— იმ დეკემბერში ნაციონალები თავზე დაამხობენ ქვეყანას „ქართულ ოცნებას“.** არც დეკემბერში და არც ოქტომბერში არჩევნები მშვიდად არ ჩაივლის ხელისუფლებისთვის, აღარ გაუვათ კორონავირუსით მანიპულირება. ვირუსზე გამარჯვება ხელს არ აძლევს ხელისუფლებას, პირიქით — ურჩევნიათ, ვითარება დროდადრო დაძაბონ, ხალხი შიშში ამყოფონ და მარტივად მართონ სიტუაცია. საკითხისადმი ასეთი მიდგომით მთავრობის მეთაურის რეიტინგსაც ზრდიან, ამბობენ, რომ გახარიას ორგანიზატორული ნიჭის წყალობით გადავრჩებითო. მოკლედ, კორონა ამ ეტაპზე მთავრობის მოკავშირეა, მაგრამ იმას ვერ ითვალისწინებენ, რომ ხალხი დამშეულია და ბევრის მოთმენა აღარ შეუძლია. ხელისუფლებაზე გამწარებულმა ხალხმა, შესაძლოა, ნაცებს დაუჭიროს მხარი, თუმცა ისინიც ერთმანეთს დახოცავენ. ქვეყანაში ცუდი მდგომარეობაა და ჯერჯერობით გამოსავალი არ ჩანს.

**«გახარიამ გლეხებს განუცხადა: თბილისში ჯანიანი ხალხი ტურისტების არარსებობაზე წუწუნებსო, და დასცინა. ახლა გაახსენდათ, რომ ტურიზმი არ არის ქვეყნის აღმშენებლობის საფუძველი?! თავად არ ამბობდნენ, ეს აგვაშენებსო?! ახლა, თურმე, ყველამ ბარი და თოხი უნდა აიღოს ხელში და მიწა ჩიჩქნოს... საქართველოს ხელისუფლებას წარმოდგენა არ აქვს ეკონომიკის მშენებლობაზე, ქვეყნის მართვის სისტემაზე»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**P.S. რესპუბლიკელმა კონგრესმენმა დონ ბეიკონმა კომენტარი გააკეთა დოკუმენტზე, რომელშიც ბიძინა ივანიშვილი რუსეთის პრეზიდენტის ახლო მოკავშირედ არის მოხსენიებული. გადაცემა Пограничная ZONA-სთვის მიცემულ ინტერვიუში კონგრესმენმა აღნიშნა, რომ დოკუმენტის ეს ნაწილი მას არ დაუწერია და საამისოდ ტექნიკური ექსპერტები აიყვანეს.**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკული დემოკრატიისგან აღარაფერი დარჩა, ამერიკული თავისუფლება ღიმილის მომგვრელ კატეგორიად იქცა, ამერიკული ოცნება უდაბნოში ნანახი მირაჟი გამოდგა. ამგვარ ვითარებაში ეს კორუფციაში ჩაფლული კონგრესმენები, რომლებიც სააკაშვილის მიერ საქართველოში ნაყაჩაღარ ფულს დახარბდნენ, კვლავ საქართველოს ეპოტინებიან და პუტინს ებრძვიან მაშინ, როდესაც საქართველო და პუტინი კი არა, საკუთარი შტატები და საკუთარი გუბერნატორები აღარ ემორჩილებიან. მათ რომ ჰკითხო, ტრამპიც პუტინის კაცია, რადგან ამერიკული იმპერიალიზმის კრიზისების განმაპირობებელი საფუძვლების მეცნიერული ახსნა არ შეუძლიათ და ყველაფერს პუტინს აბრალებენ.**

# «ოქროს კვეთა»



## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია

### მეცხრე გადაცემა

# ცარიელი კვარცხლბეკები და მკვეთრი ფსიქიკური აშლილობის სინდრომი

### თომას ჯეფერსონმა ორი საუკუნის წინათ თქვა უაღრესად დამაფიქრებელი წინადადება: «მე შიშით ვცახცახებ ჩემი ქვეყნის მომავლის წინაშე, როდესაც ვფიქრობ, რომ ღმერთი სამართლიანია!»

**ვალერი კვარაცხელია:** — გამარჯობა, ძვირფასო ტელემაყურებელო. ეთერშია „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე — ვალერი კვარაცხელია.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ამერიკული სპეცსმსახურების დახმარებით საბჭოთა კავშირის სათავეში მოსულმა **ნიკიტა ხრუშჩოვმა** მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს იდეოლოგიური საფუძვლების მორყევა დაიწყო. მთავარი მიმართულება სტალინის წინააღმდეგ ბრძოლა და მისთვის ავტორიტეტის შელახვის მცდელობა იყო. დაიწყო სტალინის ძეგლების დემონტაჟი. პირველი ძეგლის აღება განხორციელდა 1956 წელს ალტაის მხარის ქალაქ რუბცოვსკიში, სადაც ხრუშჩოვი უნდა ჩასულიყო...

მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ საბჭოთა კავშირის სათავეში მოყვანილი მათივე აგენტის ეს უგუნური ქმედება ექვსი ათეული წლის შემდეგ ამერიკას ბუმერანგივით თუ მიუბრუნდებოდა.

**FOX NEWS:** — აშშ-ში, მინესოტას შტატში, საპროტესტო აქციების ფონზე, რომელიც თეთრკანიანი პოლიციელის მიერ აფროამერიკელი ჯორჯ ფლოიდის მკვლელობის შემდეგ დაიწყო, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა 2020 წლის 10 ივნისს კვარცხლბეკიდან ჩამოაგდეს ამერიკის აღმომჩენი მეზღვაურის — **ქრისტეფორე კოლუმბის** ძეგლი.

**ვალერი კვარაცხელია:** — გენიალური ქართველი მწერლის თითქმის საუკუნისწინანდელი დიდებული ხილვა მახსენდება. **კონსტანტინე გამსახურდია** თავის ერთ-ერთ პუბლიცისტურ შედევრში „ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი“ ჯერ კიდევ როდის, ასე განსაცვიფრებლად წინასწარმეტყველებდა:



**კონსტანტინე გამსახურდია:** — ხომ არ მოსულა ისეთი დრო, როცა კაცობრიობამ უნდა დასწყევლოს ფლორენციელი ვარსკვლავთმრიცხველი და გეოგრაფი **პაოლო ტოსკანელი** და მამაცი მეზღვაური ქრისტეფორე კოლუმბი?!

**ვალერი კვარაცხელია:** — **რატომ და რისთვის უნდა დაეწყევლა კაცობრიობას ფლორენციელი ვარსკვლავთმრიცხველი და გეოგრაფი პაოლო ტოსკანელი და მამაცი მეზღვაური ქრისტეფორე კოლუმბი? ისეთი რა ისტორიული დანაშაული ჩაიდინეს მათ, რომ მთელ კაცობრიობას ერთხელ და სამუდამოდ შეეჩვენებინა ისინი? კონსტანტინე გამსახურდიას ნაშრომი ამ საკითხზე ერთმნიშვნელოვან პასუხს გვაძლევს — ამერიკის აღმოჩენა.** ასეთ შემთხვევაში ზემოთ დასმული შეკითხვა სხვა მიმართულებას იღებს. კი მაგრამ, **თვითონ ამერიკელებმა რა დააშავეს ასეთი?** მწერლის მახვილი თვალი უამრავ რამეს სწვდება, მაგრამ მათ შორის უმთავრესს ასე აყალიბებს:

**კონსტანტინე გამსახურდია: — ფაშიზმსა და რასისტულ თეორიას გერმანელ ფაშისტებზე ადრე ჰყავდა თავისი აპოლოგეტები ამერიკაში. ოკეანისგადაღმელ ინგლის-საქსების საარსებო საქმე იყო რასისტული თეორიების არამხოლოდ ქადაგება, არამედ თანმიმდევრული გატარება წარმოების, ინდუსტრიის, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ყველა დარგში.**

**ვალერი კვარაცხელია:** — ამ უმთავრესი განცხადების გაკეთების შემდეგ, რომ ფაშიზმსა და რასისტულ თეორიას გერმანელ ფაშისტებზე ადრე აშშ-ში ჰყავდა აპოლოგეტები, მწერალი საკითხს შედარებით ფართოდ წარმოგვიდგენს.

**კონსტანტინე გამსახურდია:** — ვითომ ცივილიზებული ქვეყანა, რომელსაც „ახალ სამყაროს“ და „თავისუფლების ნავსაყუდელს“ უწოდებდნენ ოდესღაც, **გეორგ ვაშინგტონისა** და **ბენიამინ ფრანკლინის** ქვეყანა კანიბალიზმის კლასიკურ ქვეყნად იქცა. აშშ-ის სატახტო ქალაქ ვაშინგტონის ცენტრში ცხენზე ამხედრებულ გეორგ ვაშინგტონის მონუმენტის გასწვრივ აღმართულია ოთხი ქანდაკება — მშვიდობის, ომის, კოლუმბისა და ცივილიზაციის. ინგლისელი ისტორიკოსი **კარლაილი** თავის ცნობილ შრომაში „საფრანგეთის რევოლუცია“ მოგვითხრობს: „როცა ერთი იაკობინელი გილიოტინისკენ მიჰყავდათ, მან თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ნაღვლიანად ჩაუარა თავისუფლების ძეგლს, პარიზის ერთ-ერთ მოედანზე დადგმულს, და სასოწარკვეთილად წამოიძახა: „ჰოი, თავისუფლებავ, დახე, რას სჩადიან შენი სახელით“. ჩვენ, თანდამსწრენი ამერიკული კანიბალიზმის გაუგონარი პრაქტიკისა, **მაკარტურისა** და **რიჯუეის** მიერ კორეაში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტისა, ისეთი ამაზრზენი ბარბაროსობისა, რომლის აღსაწერად არც ერთ დიდოსტატს სიტყვისა და ფერწერის ძალა არ ეყოფა, უფრო მეტი აღშფოთებით შეგვიძლია წამოვიძახოთ: ო, კეთილშობილო რაინდო და დიდო ტრიბუნო, გეორგ ვაშინგტონო, ცივილიზაციავ, კოლუმბო და თავისუფლებავ, დახეთ, რას სჩადიან თქვენი სახელით უოლ-სტრიტის განგსტერები, ცივილიზებული კანიბალები!

ჩვენ ყოველდღე ვათვალიერებდით გაზეთებს, ვკითხულობდით ამერიკელი ჰაერის მეკობრეების მიერ კორეაში ჩადენილი ამაზრზენი მხეცობის ამბებს; ვათვალიერებდით გასრესილი ბალღების, ქალებისა და მოხუცების ცხედრებს, დანგრეული სოფლებისა და ქალაქების სამწუხარო ფოტოსურათებს და თავს ვეკითხებოდით ხანდახან: ხომ არ მოსულა ისეთი დრო, როცა კაცობრიობამ უნდა დასწყევლოს ფლორენციელი ვარსკვლავთმრიცხველი და გეოგრაფი პაოლო ტოსკანელი და მამაცი მეზღვაური ქრისტეფორე კოლუმბი?

გასულ საუკუნეში, როცა ინგლისელები თავს დაესხნენ ბურებს, მთელი ევროპა აღშფოთდა ამ ძალადობის გამო, მრავალი ქვეყნიდან და მათ შორის საქართველოდანაც წავიდნენ ვაჟკაცები ბურების მისაშველებლად. ცივილიზებული ევროპა კი გულგრილად შესცქეროდა, როგორ ანადგურებდა ამერიკის ავიაცია კორეის უბედურ ხალხს, ამას ხედავდა ვითომდაც ქრისტეს მოსაყდრე ამ მიწაზე — რომის პაპი, რომელიც დამშვიდებული განაგრძობდა თავის სანიადაგო ლოცვების ბუტბუტს წმინდა პეტრეს ეკლესიაში, რომში, და უნებურად პირზე მოადგებოდა ადამიანს ციცერონისეული სიტყვები: O tempora, o mores! ო, დრონო, ო, ჩვევანო!

**ვალერი კვარაცხელია:** — კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ამ სიტყვების დაწერიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, ქრისტეფორე კოლუმბსა და მის პატივსაცემად აღმართულ ძეგლებს თითქოს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ, აგერ უკვე ჩვენს დროში, 2020 წლის მაისში, არაფრით გამორჩეულ ერთ დღეს, რომელიღაც თეთრკანიანმა ამერიკელმა პოლიციელმა რომელიღაც ფერადკანიანი ამერიკელი მოქალაქე გაგუდა და... **მსოფლიო დემოკრატიის ბასტიონად შერაცხილ ამ უზარმაზარ სახელმწიფოში ყველაფერი თავდაყირა დადგა, კონსტანტინე გამსახურდიას მიერ დიდი ხნისწინანდელი წინასწარმეტყველება ახდა. ამერიკის აღმომჩენ ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლებს სულ ბდღვირი ადინეს — ზოგი დაამტვრიეს, ზოგი დაწვეს, ზოგი წყალში გადააგდეს, ცარიელ კვარცხლბეკებზე კი განაჩენივით წააწერეს: კოლუმბი — გენოციდის სიმბოლო!**

ქაოსისა და ნგრევის ამერიკული ჟინი ევროპასაც გადაედო და დასავლურ კაპიტალიზმს ერთიანი გაუნელებელი ხანძარი წაეკიდა. უკვე აღარავის ინდობენ. გუშინდელ გმირებს დღეს სამარცხვინო ბოძზე აკრავენ, ისტორიის მიერ ჯერ კიდევ გუშინ გაფეტიშებულ-გაღმერთებულთა ძეგლებს დღეს მიწაზე ანარცხებენ.

**GOLOS-AMERIKI.RU:** — დემონსტრანტებმა რიჩმონდში (ვირჯინიის შტატი) კონფედერაციის პრეზიდენტ **დევის ჯეფერსონის** ძეგლი ჩამოაგდეს. ეს ქალაქი ოდესღაც ამერიკის კონფედერაციული შტატების დედაქალაქი იყო. ინციდენტს რიჩმონდის პოლიციაც ესწრებოდა.

**ვალერი კვარაცხელია:** — ჩამოგდებით დაემუქრნენ **უინსტონ ჩერჩილის** ძეგლსაც კი, რომელიც ლონდონში პარლამენტის შენობის წინ დგას. მას დამცავი ჯებირები შემოავლეს. ბრიტანეთის ლეგენდარულ პრემიერმინისტრს რასისტული გამონათქვამები ამოუქექეს, მაგალითად, ასეთი:



**უინსტონ ჩერჩილი:** — ვერ ვიტან ინდიელებს. ეს არის ნახირი, ნახირის რელიგიით.

**ვალერი კვარაცხელია:** — დიდი ბრიტანეთის დღევანდელი პრემიერმინისტრი თავის დიდ წინაპარ-კოლეგას ასე გამოექომაგა.



**ბორის ჯონსონი, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი:** — პარლამენტის მოედანზე მდგარი უინსტონ ჩერჩილის ძეგლი მუდმივად გვახსენებს მის მიღწევებს ამ ქვეყნისა და დანარჩენი ევროპის გადარჩენაში ფაშისტური და რასისტული ტირანიისგან. აბსურდული და სამარცხვინოა, რომ ეს ეროვნული მონუმენტი ახლა აგრესიული მომიტინგეების თავდასხმის საფრთხის წინაშეა. დიახ, ის ხანდახან გამოთქვამდა მოსაზრებას, რომელიც დღეს ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ ის გმირი იყო და ამ მემორიალს იმ- ►

**კონსტანტინე გამსახურდია: — ფაშიზმსა და რასისტულ თეორიას გერმანელ ფაშისტებზე ადრე ჰყავდა თავისი აპოლოგეტები ამერიკაში. ოკეანისგადაღმელ ინგლის-საქსების საარსებო საქმე იყო რასისტული თეორიების არამხოლოდ ქადაგება, არამედ თანმიმდევრული გატარება წარმოების, ინდუსტრიის, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ყველა დარგში**

**ბორის ჯონსონს, სამწუხაროდ, მიდგომის ორი განსხვავებული რაკურსი და ორი სიმართლე აღმოაჩნდა: ერთი, როდესაც იგი, ვთქვათ, უინსტონ ჩერჩილის მოღვაწეობას აფასებს; და მეორე, როდესაც იგი, ვთქვათ, იოსებ სტალინის მოღვაწეობას აფასებს. უინსტონ ჩერჩილი, რომელიც საკუთარი რასისტული შეხედულებების საჯაროდ გამოთქმას არც კი თაკილობდა, მისთვის ისტორიული გმირია; ხოლო იოსებ სტალინი, რომელსაც არათუ რასისტული, საერთოდ, რამე სახის დისკრიმინაციული აზრი გულშიც კი არასოდეს გაუვლია, მისთვის ანტიგმირის სიმბოლოა.**

## პროცესების ანალიზი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სახურებს. ჩვენ ვერ შევცვლით და დავაცენზურებთ ჩვენს ისტორიას. ვერ მოვაჩვენებთ თავს, თითქოს განსხვავებული ისტორია გვაქვს. ჩვენს ქალაქებში მდგარი ქანდაკებები ჩვენმა წინა თაობებმა აღმართეს. მათ განსხვავებული ხედვა ჰქონდათ, განსხვავებული გაგება მართებულის და არამართებულის, მაგრამ ეს ძეგლები გვასწავლის ჩვენს წარსულს ყველა თავისი ნაკლით. მათი დანგრევა ისტორიის გაყალბება იქნება და მომავალ თაობებს განათლების საშუალებას წაართმევს.

**ვალერი კვარაცხელია:** — რაღაცაში მართალია ეს კაცი. ისტორიის მართალ გაგებასთან სწორედ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ისტორიულ პიროვნებათა შეხედულებებს, გადაწყვეტილებებს, ქმედებებს იმ ისტორიულ კონტექსტში გავიაზრებთ, რომელ ისტორიულ პერიოდშიც ისინი მოღვაწეობდნენ. ყველა სხვაგვარი მიდგომა სუბიექტური და ტენდენციურია.

ამაში ბატონ ჯონსონს სრულიად ვეთანხმები, მაგრამ იგი ბოლომდე მართალი მაშინ იქნებოდა, მის ამ მიდგომას ყველა ისტორიულ შემთხვევასა და პიროვნებაზე რომ ავრცელებდეს. **ბორის ჯონსონს, სამწუხაროდ, მიდგომის ორი განსხვავებული რაკურსი და ორი სიმართლე აღმოაჩნდა: ერთი, როდესაც იგი, ვთქვათ, უინსტონ ჩერჩილის მოღვაწეობას აფასებს; და მეორე, როდესაც იგი, ვთქვათ, იოსებ სტალინის მოღვაწეობას აფასებს. უინსტონ ჩერჩილი, რომელიც საკუთარი რასისტული შეხედულებების საჯაროდ გამოთქმას არც კი თაკილობდა, მისთვის ისტორიული გმირია; ხოლო იოსებ სტალინი, რომელსაც არათუ რასისტული, საერთოდ, რამე სახის დისკრიმინაციული აზრი გულშიც კი არასოდეს გაუვლია, მისთვის ანტიგმირის სიმბოლოა.**

**ბორის ჯონსონი:** — თანამედროვე ლეიბორისტული პარტიის ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ისეთ სახეს იღებენ, თითქოს მათი სიძულვილი მიმართული იყოს რომელიმე კონკრეტული მილიარდერის წინააღმდეგ. ისინი ისეთი ტკბობითა და შურისძიებით მიგვითითებენ ცალკეული ადამიანებისკენ, რომლის მსგავსი არავის უნახავს მას შემდეგ, რაც სტალინი კულაკებს დევნიდა.

**ვალერი კვარაცხელია:** — დააკვირდით, **იოსებ სტალინი, რომელმაც პლანეტის ერთ მეექვსედზე სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე აგებული პირველი სახელმწიფო გადაჭიმა, მთელი ცხოვრება მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე იდგა, ყოველგვარი ექსპლოატაციისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ხმალამოღებული იბრძოდა და ინტერნაციონალიზმს ქადაგებდა, ბატონი ჯონსონისთვის დევნის, შურისძიებისა და ვიღაცების შევიწროვების სიმბოლოა; ხოლო უინსტონ ჩერჩილი, რომლისთვისაც ინდიელები ნახირს, ხოლო მათი რელიგია ნახირის რელიგიას წარმოადგენდა და, საერთოდ, ადამიანებს ყველანაირი ნიშნით ყოფდა და ახარისხებდა, ისტორიული გმირია. ასეთია დასავლური ორმაგი სტანდარტი,** რომლითაც ისინი არამხოლოდ ცხოვრებაში ხელმძღვანელობენ, არამედ რომლის დანერგვასაც მთელ მსოფლიოში ასე დაუღალავად და გამწარებით ცდილობენ.

იქნებ, მართლა დასაძრახია ადამიანური შურისძიება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი სავსებით სამართლიანია, მაგრამ ადამიანური შურისძიების გარდა არსებობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზეგარდმო სამართლით განპირობებული შურისძიება, უფრო კი შედეგი (გნებავთ, ღმერთი უწოდეთ მას და, გნებავთ, ისტორიული კანონზომიერება), რომელიც, ბოლოს აუცილებლად მოდის და თავის საკეთებელს აკეთებს. **საბჭოთა კავშირის „ბოროტების იმპერიად“ (პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ტერმინი) მომნათლავი აშშ და კოლექტიური დასავლეთი მისი აღსასრულის თუნდაც ამ წინარე პერიოდში გამოიყურება თუ არა „სიკეთის იმპერიად“, თვითონ განსაჯეთ, მაგრამ, როგორც უნდა გამოიყურებოდეს იგი, ფაქტია, რომ სასიკვდილო აგონიაში შესული ბორგავს, შფოთავს, ციებიანივით ცახცახებს და თანდათანობით ქანცი ეცლება.** საბჭოთა კავშირში ძეგლთა შემუსრვის იდეოლოგიის შემომტანი, ახლა თვითონ დამდგარა ძეგლთა და კერპთა შემუსვრის ვანდალური რეალობის წინაშე და, დემოკრატიის (ხალხის ძალა-უფლების) სახელით პლანეტაზე ჯოჯოხეთური უბედურების მთესველი, აქამდე ასე თუ ისე დაფარულ თავის შინაარს მსოფლიოსთვის საცნაურს თავადვე ხდის. **ბოლო პერიოდში, ერთი მხრივ, კორონავირუსის პანდემიამ თუ წარმოაჩინა ამერიკული იმპერიალიზმის**

**ახლა ისე აშკარაა დასავლური კაპიტალიზმის გარდაუვალი კრახი, ქართველი პოლიტიკოსებივით თვალებზე დოლარის ლიბრი უნდა გქონდეს გადაკრული, ეს რომ ვერ დაინახო; ან იმ კონგრესმენებივით ტუტუცი უნდა იყო, ქვეყანა თავზე რომ ენგრევათ და საქართველოში წერილს წერილზე აგზავნიან, ბიძინა ივანიშვილი პუტინის კაციაო**

**უთავბოლობა, არაორგანიზებულობა და ქაოსური ბუნება, მეორე მხრივ, ასე მასშტაბურად აფეთქებულმა სიძულვილმა არა მხოლოდ რასისტულ ნიადაგსა და დონეზე, არამედ სოციალურ ნიადაგსა და დონეზე, გააშიშვლა მისი ველური, სრულიად არაჰუმანური და არაადამიანური ბუნება.**

აშშ-ის დამფუძნებელ მამათა შორის რამდენიმე მონათმფლობელიც იყო, მაგალითად, ჯორჯ ვაშინგტონი, თომას ჯეფერსონი და სხვ. აშშ მონათმფლობელობისა და სოციალურ-რასობრივი დისკრიმინაციის ფსიქოლოგიის მქონე ქვეყანაა. ეს სახელმწიფო ასე ჩამოყალიბდა და ასეთად რჩება. იქ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მოხდა, მაგრამ სოციალური თვალსაზრისით თვისებრივი ნახტომი, ანუ სოციალისტური რევოლუცია არ მომხდარა. ამიტომ, **მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული ტექნიკური ნახტომი გააკეთა, მენტალიტეტით, მსოფლმხედველობით, საზოგადოებრივი ცნობიერებით, სოციალური ფსიქოლოგიითა და ზნეობრივი მახასიათებლებით ეს უზარმაზარი და უძლიერესი ქვეყანა წარსულში ჩარჩა.**

არ მიკვირს, ამას აქამდე რომ ვერ ხედავდნენ საქართველოში, რადგან ამის დანახვას მეცნიერული დაკვირვებისა და ღრმა სოციოლოგიური ანალიზის უნარი სჭირდებოდა. აწ განსვენებულ **ვახტანგ გოგუაძესთან** ერთად მეოთხედი საუკუნე შევალიე ამ ჭეშმარიტების ქადაგებას და ხალხის გამოღვიძებას, რაც ძალიან რთული აღმოჩნდა. საბედნიეროდ, **მოვლენები ისე ვითარდება, რომ აქამდე ამის დანახვა თუ იყო ძნელი, ახლა ამის დაუნახავობაა ძნელი. ახლა ისე აშკარაა დასავლური კაპიტალიზმის გარდაუვალი კრახი, ქართველი პოლიტიკოსებივით თვალებზე დოლარის ლიბრი უნდა გქონდეს გადაკრული, ეს რომ ვერ დაინახო. ან იმ კონგრესმენებივით ტუტუცი უნდა იყო, ქვეყანა თავზე რომ ენგრევათ და საქართველოში წერილს წერილზე აგზავნიან, ბიძინა ივანიშვილი პუტინის კაციაო.**

**რესპუბლიკელი 13 კონგრესმენის წერილიდან:** — საქართველოს უმდიდრესი ადამიანი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც პუტინის მოკავშირეა, რუსეთის სასარგებლოდ საქართველოს დესტაბილიზაციაშია ჩართული.

**ვალერი კვარაცხელია:** — ეს უკვე მკვეთრად გამოხატული ფსიქიკური აშლილობის სინდრომია. ამერიკელი კანონმდებელი, რომელიც დღეს საქართველოს დესტაბილიზაციაზე საუბარს იწყებს, ან შეშლილია, ან, სულ ცოტა, რეალობას მოწყვეტილი. **ბიძინა ივანიშვილი პუტინის კაცი კი არ არის, საკუთარი კაპიტალის კაცია. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, საკუთარი კაპიტალის ისეთივე მძევალია, როგორც ყველა მილიარდერი. რა პუტინი, რის პუტინი?! საქართველოში დღეს ამერიკული ცხოვრების წესი მოქმედებს, რომელმაც არც პუტინი იცის, არც ტრამპი, არც ჯონსონი და არც მერკელი. ქართველი მდიდრები და პოლიტიკოსები ამერიკელების მიერ შექმნილ ერთადერთ ღმერთს ეთაყვანებიან, რომელსაც დოლარი ჰქვია. ამერიკელთა უბედურება ის კი არ არის, რომ ამა თუ იმ რეგიონში კონკრეტულად პუტინისკენ ან, ზოგადად, რუსეთისკენ ორიენტირებული ლიდერები არიან, არამედ ის, რომ ამერიკელებს მსოფლიოზე გავლენის ყველა ბერკეტი ეცლებათ ხელიდან. მეტიც, მათ საკუთარი ქვეყნის მართვის ბერკეტებიც აღარ შერჩათ ხელთ, რადგან ეს ბერკეტები ყალბ ღირებულებებზე იყო ჩამოყალიბებული.** ამერიკული დემოკრატიისგან აღარაფერი დარჩა, ამერიკული თავისუფლება ლიმიტის მომგვრელ კატეგორიად იქცა, ამერიკული ოცნება უდაბნოში ნანახი მირაჟი გამოდგა. ამგვარ ვითარებაში ეს კორუფციაში ჩაფლული კონგრესმენები, რომლებიც სააკაშვილის მიერ საქართველოში ნაყაჩაღარ ფულს დახარბდნენ, კვლავ საქართველოს ეპოტინებიან და პუტინს ებრძვიან მაშინ, როდესაც საქართველო და პუტინი კი არა, საკუთარი შტატები და საკუთარი გუბერნატორები აღარ ემორჩილებიან. მათ რომ ჰკითხო, ივანიშვილი კი არა, ტრამპიც პუტინის კაცია, რადგან ამერიკული იმპერიალიზმის კრიზისების განმაპირობებელი საფუძვლების მეცნიერული ახსნა არ შეუძლიათ და ყველაფერს პუტინს აბრალებენ. **ქართულ ე.წ. ოპოზიციას კი ერთი ჟივილ-ხივილი აქვს, ამერიკა ივანიშვილს სანქციებს დაუწესებს, იძულებულს გახდის, რომ საქართველოდან გაიქცეს და ხელისუფლება ჩვენ დაგვრჩებაო.**

**დათა თუთაშხიასი არ იყოს, მეტი ფიქრი არ იცის მგელმა, ნადირია და იმიტომ. არც ამათ იციან მეტი ფიქრი, ნადირის ინსტინქტებით ცხოვრობენ და იმიტომ. სხვა პროცესები მიდის მსოფლიოში — ნგრევის ხელოვნურად გამოწვეული ტალღა, ოცდაათი წლის წინათ საბჭოთა კავშირს რომ გადაუარა,** ამერიკასა და ევროპას ისტორიული კანონზომიერების ბუნებრივ ტალღად მიუბრუნდა და კაპიტალისტურ სამყაროს წალეკვით ემუქრება. ეს მძლავრი ტალღა, რომელიც უფრო და უფრო გაძლიერდება, დასავლური კაპიტალიზმის შემდეგ რუსულ კაპიტალიზმსაც მოიყოლებს. რუსეთში ეს გაცილებით ადვილად მოხდება, ვინაიდან რუსული კაპიტალიზმი ბუნებრივი მოვლენა არაა, დასავლური კაპიტალიზმის კლონია, მისი ასლი და სუროგატი. თუმცა, რუსეთს დასავლეთთან ერთი დიდი უპირატესობა აქვს — რუსეთში ჯერ ახალგაზრდა კაპიტალიზმია. აი, ეს პროცესი მიდის მსოფლიოში. პლანეტას მოახლოებული რევოლუციის გრიგალი წეწავს, რომელიც ქართველ პოლიტიკოსთა სმენას ჯერჯერობით ვერ სწვდება...

ამერიკასა და ევროპაში კი მომრავლდა ცარიელი კვარცხლბეკები, რომლებიც, წესისამებრ, ცარიელი არ რჩება. ისინი მზად არიან თავიანთი მძლავრი ბეჭებით ახალი კერპები და ღმერთკაცები ზიდონ. მთავარია, ამ ახალმა კერპებმა და ღმერთკაცებმა არ დააგვიანონ და დროულად მოევლინონ ან უკვე უპატრონოდ მიგდებულსა და ქაოსისთვის განწირულ ყოფილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს.

ვინ შეიძლება იყვნენ ისინი, ვინც ამ მოცარიელებულ კვარცხლბეკებზე უნდა შემოდგნენ?

აშშ-ის ქალაქ სიეტლში დგას მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის — ვლადიმერ ლენინის ხუთმეტრიანი ქანდაკება, რომელიც ერთმა მოხალისე ამერიკელმა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლისთანავე ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პოპრადიდან სიეტლში გადაიტანა. ჩეხოსლოვაკიაში ჯართად ჩაბარების არასახარბიელო ხვედრს სასწაულებრივად გადარჩენილი ლენინის ძეგლი, რომლის პალტოს კალთები, ავტორის ჩანაფიქრის შესაბამისად, რევოლუციის ქარ-ცეცხლშია გახვეული, ამერიკულ ქალაქში ამაყად თავაწეული მოაბიჯებს და ძეგლებთან ომის ნიშნით აღბეჭდილ ამ უგუნურ დროშიც კი ჯერჯერობით მისთვის ხელის ხლებას ვერავინ ბედავს.

გასაოცარი ფაქტია.

ამერიკელები ამერიკის ტრადიციულ სიმბოლოებს დაერივნენ, **ლენინი** კი მისი გამჭრიახი და ოდნავ ცინიკური მზერით აღნუსხავს ამ ეპოქალური ცვლილებების პერიპეტიებს. ისტორიიდან ვიცით, რომ, სადაც ლენინია, იქ სტალინიცაა, ხოლო, სადაც ლენინი და სტალინია, იქ პროლეტარიატის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაა ყველა ჯურის სისხლისმსმელსა და ექსპლოატატორთან.

გრანდიოზული ისტორიული ბუმერანგის ეფექტი შედგა. ამერიკელების მიერ ხრუშჩოვის ხელით განადგურებული სტალინის ძეგლები ექვსი ათეული წლის შემდეგ ლენინის რევოლუციურ ძეგლად მიუბრუნდა მსოფლიოში ჯოჯოხეთის მთესველ კაპიტალისტურ იმპერიას და მახსენდება აშშ-ის რიგით მესამე პრეზიდენტის — თომას ჯეფერსონის მიერ ორი საუკუნის წინათ ნათქვამი უცნაურად დამაფიქრებელი წინადადება: **„მე შიშით ვცახცახებ ჩემი ქვეყნის მომავლის წინაშე, როდესაც ვფიქრობ, რომ ღმერთი სამართლიანია!“**

ვნახოთ, რა ახალ სიურპრიზებს გვიმზადებს მომავალი...

ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“. მომავალ შეხვედრამდე!

**ქართულ ე.წ. ოპოზიციას კი ერთი ჟივილ-ხივილი აქვს, ამერიკა ივანიშვილს სანქციებს დაუწესებს, იძულებულს გახდის, საქართველოდან გაიქცეს და ხელისუფლება ჩვენ დაგვრჩებაო. დათა თუთაშხიასი არ იყოს, მეტი ფიქრი არ იცის მგელმა, ნადირია და იმიტომ. არც ამათ იციან მეტი ფიქრი, ნადირის ინსტინქტებით ცხოვრობენ და იმიტომ. სხვა პროცესები მიდის მსოფლიოში — ნგრევის ხელოვნურად გამოწვეული ტალღა, ოცდაათი წლის წინათ საბჭოთა კავშირს რომ გადაუარა**

P.S. 12 ივნისს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტს გადაეცა სტრატეგიული დანიშნულების ახალთახალი წყალქვეშა ატომური ხომალდი „კნიაზ ვლადიმირი“, რომელიც აღჭურვილია კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტებით „ბულავა“.

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში რუსეთს ექნება ჰიპერბგერითი შეიარაღების საწინააღმდეგო საშუალება. მისი თქმით, რუსეთის ფედერაციას შესაძლებლობა ექნება, „სასიამოვნოდ განაცვიფროს“ პარტნიორები, რომლებიც შეძლებენ ჰიპერბგერითი შეიარაღების შექმნას. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ რუსეთი პირველ ადგილზეა შეიარაღების ახალი სახეობების შექმნის საქმეში.**

**ვალერი კვარაცხელია**

ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ლამის ანათემას გადასცეს ჯეკ ლონდონი, რედიარდ კიპლინგი, ჰარიეტ ბიჩერ-სტოუ, რომელთა წიგნებიდან სიტყვა ზანგი უნდა ამოიღონ, რაც იგივეა, საჯაროდ დაწვა „ბიძია თომას ქოხი“....იგივე პროცესები ვითარდება ჰოლივუდში, სადაც უკვე აკრძალეს ყველა დროის ერთ-ერთი კინოშედევრი „ქარწაღებულნი“... მსგავსი შტერობების სრულად ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.**




# ეს არის შეშლილი, შეშლილი ნეოლიბერასტული დემოკრატია

**რა არ მინახავს და მსმენია ჩემი სიცოცხლის არც ისე ხანმოკლე (მე-7 ათეულის „დახურდავება“ კაი ხნის დაწყებული მაქვს) პერიოდში. ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ მე-20 საუკუნის მიწურვის ჟამიდან დღემდე რაც კი უბედურება (9 აპრილი, ცხინვალი, სოხუმი, აგვისტოს ომი და ა.შ.) დაატყდა საქართველოს, ყველაფერმა ჩემი თაობის კისერზე გადაიარა და, მომავალში რაც გველის, უფალს ვთხოვ, ისიც ჩემი თაობის კისერზე იყოს, რადგან იმქვეყნად ისე წასვლის უფლება არ გვაქვს, რომ ქვეყანა სამართავად „სააკაშვილის ბუჩქების“ იდეოლოგიით აღზრდილ თაობას დავუტოვოთ; იდეოლოგიით, რომლის დევიზია: „დღეს ვიყო კარგად და მერე ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა!“**

რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ და სიმართლეს, თუნდაც მწარეს, თვალი გავუსწოროთ — ჯერჯერობით ოჯახში აღზრდილებს რაოდენობრივად „სააკაშვილის ბუჩქებში“ გაზრდილი ახალგაზრდები სჭარბობენ... სამშობლო, პატრიოტიზმი, ქართველობა, ღმერთი, ერთი სიტყვით, „მამული, ენა, სარწმუნოება“, რომელიც, როგორც „ერთარსება წმინდა სამება“, ანდერძად დაგვიტოვა დიდმა **ილიამ** და, შესაბამისად, მათი მოვლა-პატრონობა „გვიბრძანა“, რბილად რომ ვთქვათ, სულ ფეხებზე ჰკიდიათ ზემოხსენებულ „სააკაშვილის ახალგაზრდებს“...

მიუხედავად წინამდებარე წერილის ერთობ ვრცელი და ეროვნულ-პატრიოტული შესავლისა, იქნებ პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ წერილის მთავარი თემა საქართველოში მიმდინარე პროცესები კი არა, ბოლო პერიოდში ჩვენს „სტრატეგიულ მოკავშირე“ (თუ პარტნიორი, — ველარ გავიგე, როგორ მოვიხსენიო) ამერიკაში დატრიალებული ტრაგიკომიკური მოვლენებია.

ტრაგიკული იმიტომ, რომ უკეთეს შემთხვევაში უდანაშაულო ხალხის ქონება ნადგურდება, ხოლო უარესში — მათ სიცოცხლეს ხელყოფენ.

ხოლო კომიკური იმიტომ, რომ მსოფლიო წესრიგის დამყარების პრეტენზიის მქონე აშშ-ს თავის ქვეყანაში წესრიგი ვერ აღუდგენია. ამას ვინღა დაეძებს, ეს მსოფლიოში ყველა მაჩვენებლით ლიდერი სახელმწიფო ანარქიით არის მოცული და სამოქალაქო ომის რეალური საფრთხის წინაშე დგას.

ყველაფერი ერთობ ტრივიალურად დაიწყო აშშ-ის ქალაქ მინეაპოლისში.

ამონაწერი ვიკიპედიიდან:

**„მინეაპოლისი — (ინგლ. Minneapolis) ქალაქი აშშ-ის შტატ მინესოტაში. ამ შტატის უდიდესი ქალაქი მდებარეობს მდ. მისისიპის ორივე ნაპირზე, მდ. მინესოტას შესართავთან, შტატის დედაქალაქ სენტ-პოლის გვერდით. ცნობილი როგორც ტყუპი ქალაქები, ეს ორი ქალაქი ქმნის აშშ-ის სიდიდით მე-16 აგლომერაციას 3.2 მილიონი მოსახლეობით. 2006 წლის მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 369 051 ადამიანს“.**

ზევით, ტრივიალური-მეთქი საშინელ ტრაგიკულ მოვლენებზე ნიშნის მოგებით არ მითქვამს.

უბრალოდ, ისე ხშირია ამ „დემოკრატიის მექა“ ამერიკაში მანიაკების (ან ფსიქიკურად სრულიად ჯანმრთელი ადამიანების) შეჭრა სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში და იქ მასობრივად ხალხის ხოცვა-ჟლეტა, რომ პოლიციელის მიერ ვიღაც მრავალჯერ ნასამართლევი ნარკომანისა და მძარცველის მკვლელობას ტრივიალური რომ ვუწოდო, დიდ ცოდვად არ მიმაჩნია. მით უმეტეს იმ რეალობაში, როცა პირიქითაც ხშირად ხდება და კრიმინალებთან შეტაკებაში პოლიციელი იღუპება. **მეტიც, იმ დღეების განმავლობაში, როდესაც მართულ (დიახ, მართულ, მაგრამ ამაზე ქვემოთ) ქაოსში მყოფი ამერიკა ოქროს კუბოთი მარხავდა რიგით კრიმინალს, რამდენიმე პოლიციელი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, მაგრამ...**

„მაგრამ“ ნიშნავს იმას, რომ, საზოგადოდ, მინესოტას შტატს და, კონკრეტულად, შტატის უდიდეს ქალაქ მინეაპოლისს, რომელშიც ეს ყველაფერი დაიწყო, პრაქტიკულად, ხელისუფლება აღარ ჰყავს, რადგან ამ შტატის გუბერნატორი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელია და, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა **ტრამპმა** არაერთგზის მოსთხოვა გუბერნატორს, წესრიგი აღედგინა, გუბერნატორმა შტატის პოლიციას სპეცტექნიკა (ცრემლმდენი აირი, რეზინის ტყვიები) ჩამოართვა და, სართოდაც, „მშვიდობიანი“ მომიტინგეების ხელის ხლება აუკრძალა.

ქალაქის ერთ-ერთმა, დაახლოებით ჩვენი საბურთალოს ზომის უბნის წარმომადგენლებმა გააკეთეს ისტორიაში უპრეცედენტო განცხადება აშშ-ის შემადგენლობიდან გასვლაზე და უბნიდან გააძევეს „ცვედანი“ პოლიცია, შემდეგ ლგბტ ფერებში გადაღებეს მთელი უბანი... აი, ეს არის შეშლილი, შეშლილი, ნეოლიბერასტული დემოკრატია, ანუ მართული ქაოსი. ვინ არის ასეთი რაღაცების დიდოსტატი? ბავშვმაც კი იცის, მაგრამ, არასრულწლოვნის, რომ იტყვიან, შარში გახვევა არ მინდა, ამიტომ სრულწლოვან წყაროს მოვიშველიებ — საქართველოს განვითარების ლაბორატორიის ხელმძღვანელმა **ირაკლი გოგავამ** განაცხადა, რომ **მინეაპოლისში (აშშ) ჯორჯ ფლოიდის დაკავებისას სიკვდილის შემდეგ დაწყებულ პროტესტს, რომელიც არეულობაში გადაიზარდა, ჯორჯ სოროსი აფინანსებს და ხელმძღვანელობს.**

ლგბტ ფერებით, „მალიარობის“ გარდა, სხვა რამითაც „დაიწვა“ ჯორჯ სოროსი და გამჟღავნდა, რომ ამერიკაში მიმდინარე სპექტაკლის მთავარი რეჟისორი ბრძანდება...

მინესოტაში დაწყებული არეულობების მეორე დილასვე აშშ-ის სხვადასხვა ქალაქიდან სპეციალური ავტობუსებით საეჭვო ოპერატიულობით ჩამოიყვანეს ე.წ. მშვიდობიანი მომიტინგენი, რომლებიც ღამღამობით ყაჩაღობდნენ და მაროდიორობდნენ.





ამერიკაში მიმდინარე მოვლენების პარალელურად იგივე პროცესები დაიწყო ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში და სხვა განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში. გასულ წლებში არაერთხელ გვისაუბრია იმაზე, თუ რაზე დგას ნეოლიბერასტული იდეოლოგია. უფრო ზუსტად, რას უარყოფს ეს აგრესიული ნეოლიბერასტობა:

**აი 4 ძირითადი „არა“, რომლებიდანაც შემდეგ მომდინარეობს პატარ-პატარა, „უმნიშვნელო „არუკები“: „არა ეროვნებას“, „არა სამშობლოს“, „არა ღმერთს“ და „არა სქესს“. ამ 4 ძირითადი „არა“-დან იჩეკებიან პატარ-პატარა გველის წიწილები, რომლებიც ქადაგებენ: „არა პატრიოტიზმს“, „არა ისტორიას“, „არა წინაპართა ხსოვნას“, „არა უფროსის პატივისცემას“, „არა სინდის-ნამუსს“, „არა მორალს“, „არა ღირსებას“ და ა.შ.**

ვერ წარმომედგინა ისედაც მცირე ხნის ისტორიის (მოსკოვის დიდი თეატრი ამერიკის სახელმწიფოზე უფროსია წლოვანებით) საკუთარი ხელით ნგრევა, მხედველობაში მაქვს ისტორიული ძეგლების ნგრევა, იმ მოტივით, რომ 200 წლის წინათ მონები ჰყავდათ.

ლამის ანათემას გადასცეს **ჯეკ ლონდონი, რედიარდ კიპლინგი, ჰარიეტ ბიჩერ-სტოუ,** რომელთა წიგნებიდან სიტყვა ზანგი უნდა ამოიღონ, რაც იგივეა, საჯაროდ დაწვა „ბიძია თომას ქოხი“....იგივე პროცესები ვითარდება ჰოლივუდში, სადაც უკვე აკრძალეს ყველა დროის ერთ-ერთი კინოშედევრი „ქარწაღებულნი“... მსგავსი შტერობების სრულად ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ძეგლებთან ბრძოლა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, განსაკუთრებული გააფთრებით პოლონეთსა და უკრაინაში დაიწყო, სადაც ლამის კვალიც აღარ დატოვეს იმისა, რომ 75 წლის წინათ საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს ეს ქვეყნები გერმანელი ფაშისტებისგან. რაღა გვეთქმის ნორმალურ ხალხს, გარდა იმისა, რომ საყოველთაო ნეოლიბერასტულ ფსიქოზში ვცხოვრობთ?

**ამერიკაში მიმდინარეობს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ნეოლიბერასტებსა და კონსერვატორებს შორის. ამ ბრძოლაში გამარჯვებას დონალდ ტრამპს ვუსურვებ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი მსოფლიო გალიბერასტდება (თუ ასე თქმა შეიძლება). არადა, დონალდ ტრამპის მოწინააღმდეგე ე.წ. ოკეანისპირეთის ამერიკაა, ლგბტ თემის სამოთხე — ნიუ-იორკი და ლოს-ანჯელესი თავისი ჰოლივუდით. თუმცა, თუ სამოქალაქო ომამდე მივა საქმე, გადამწყვეტ სიტყვას კბილებამდე შეიარაღებული ნამდვილი ამერიკა იტყვის, შუა ამერიკა, რომელმაც გააპრეზიდენტა დონალდ ტრამპი, მაშინ კი ჩვენი შინაური ლიბერასტი ასოებიც მოკეტავენ...**

ერთი რამის თქმა ახლავე შეიძლება დაბეჯითებით — ჯორჯ სოროსი აშშ-ში „ფერადი რევოლუციის“ მოწყობას ცდილობს. ამის თქმა სხვანაირადაც შეიძლება — ამერიკაში მიმდინარეობს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ნეოლიბერასტებსა და კონსერვატორებს შორის. ამ ბრძოლაში გამარჯვებას **დონალდ ტრამპს** ვუსურვებ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი მსოფლიო გალიბერასტდება (თუ ასე თქმა შეიძლება). არადა, დონალდ ტრამპის მოწინააღმდეგე ე.წ. ოკეანისპირეთის ამერიკაა, ლგბტ თემის სამოთხე — ნიუ-იორკი და ლოს-ანჯელესი თავისი ჰოლივუდით. თუმცა, თუ სამოქალაქო ომამდე მივა საქმე, გადამწყვეტ სიტყვას კბილებამდე შეიარაღებული ნამდვილი ამერიკა იტყვის. შუა ამერიკა, რომელმაც გააპრეზიდენტა დონალდ ტრამპი, მაშინ კი ჩვენი შინაური ლიბერასტი ასოებიც მოკეტავენ.

**დავით მხეიძე**

**P.S. სახალხო დამცველმა ყველა მორწმუნისთვის შეურაცხმყოფელად ახსნა ქრისტეს გარდაცვალების მიზეზი — თურმე უკვე დადგენილია, რომ ქრისტე ზეცად კი არ ამაღლდა და თავისი უმანკო სული უფალს კი არ მიაბარა, არამედ ასფიქსიით გარდაიცვალა... ამაზე მეტი მკრეხელობა გაგონილა?!**

**P.P.S. წინამდებარე წერილზე მუშაობისას წავიკითხე საინფორმაციო პორტალ NEWS.On.ge-ს მიერ გავრცელებული ცნობა, რომ სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას განუცხადებია, პოემა „ვეფხისტყაოსანი“ რასისტულია და უნდა აიკრძალოს, რადგან მასში ხშირად არის ნახსენები მონა და ზანგიო... თუ ეს ფეიკია, ბოდიშს მოვიხდი, თუ არადა, თვითონ ლომჯარიაა ასაკრძალავი სასწრაფოდ...**

**დ.მ.**

დასავლეთი თვალთმაქცობს და ორმაგ თამაშს ეთამაშება რუსეთს. ნატო არის ინსტრუმენტი, რომელიც პოლიტიკურად უნდა რაზმავდეს პოსტსაბჭოთა (ისევე, როგორც მთლიანად პოსტკომუნისტურ) ქვეყნებს რუსეთის წინააღმდეგ. ეს, ვიმეორებთ, პოლიტიკური ფაქტორია. მაგალითად, უკრაინა და საქართველო არ არიან ნატოს წევრები, მაგრამ არანაკლებ ანტირუსულ პოლიტიკას ატარებენ ნატოს წაქეზებითა და ნატოში „ინტეგრაციის“ სახელით, ვიდრე საკუთრივ ნატოს წევრი ბალტიისპირელები, პოლონელები და სხვები.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თანამედროვე «დრანგ ნახ ოსტენ» და რუსეთი

**გერმანულენოვანი ტერმინი „დრანგ ნახ ოსტენ“ (Drang nach Osten) ნიშნავს „შეტევა აღმოსავლეთისკენ“ და მე-19 საუკუნის შუა პერიოდში გავრცელდა. ეს ტერმინი, პირველ რიგში, ასახავდა გერმანელი კოლონიზატორების მიერ გერმანული ტერიტორიების აღმოსავლეთით მდებარე სლავური მიწების ათვისებასა და კოლონიზაციას, რომლის მცდელობაც, წარმატებულიც და ნაკლებად წარმატებულიც, ბევრი იყო საუკუნის განმავლობაში.**




მესამე რაიხის ნაცისტური იდეოლოგია თავისთავად იზიარებდა აღმოსავლეთის კოლონიზაციის იდეას და ეს მისი ქვაკუთხედი იყო (ამაზე პირდაპირ წერდა **ჰიტლერი** „მაინ კამპფში“). 22 ივნისს 79 წელი გადის საბჭოთა კავშირზე ნაცისტების თავდასხმიდან. საბჭოთა კავშირში შემავალმა ევრაზიის ხალხებმა, სტალინის ხელმძღვანელობით, დაამარცხეს ეს ბოროტება და გათავისუფლებულ გერმანიას თავისი ადგილი მიუჩინეს ევროპის საზღვრებში.

მაგრამ **„შეტევა აღმოსავლეთზე“ არსად გამქრალა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაკონსერვებული, მთვლემარე ხასიათი მიიღო. იგი, როგორც პოლიტიკური კონცეფცია, გერმანულ ექსპანსიონიზმთან აღარ იყო დაკავშირებული. გერმანული ექსპანსიონიზმის ნაცვლად გაჩნდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი — დასავლეთის გაერთიანებული სამხედრო-პოლიტიკური მანქანა, რომელიც ევრაზიასა და რუსეთს უნდა აღდგომოდა წინ. სანამ არსებობდა საბჭოთა კავშირი, დასავლეთს აღმოსავლეთისკენ შესატევად მხოლოდ ოცნება შეეძლო, მაგრამ საბჭოეთის დაშლის შემდეგ დასავლეთს მადა გაეღვიძა. მკითხველმა კარგად იცის დანარჩენი მოვლენები — ნატოს გაფართოება, ომები, სეპარატიზმი, „ფერადი რევოლუციები“ და სხვა უბედურებები, რომლებზეც სიტყვის გაგრძელება არ ღირს.**

ცხადია, რომ თანამედროვე მსოფლიოში, თუნდაც მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს ბირთვული იარაღი, ამ იარაღის მფლობელი ქვეყნები ერთმანეთში პირდაპირ ომებს არ აწარმოებენ. სამაგიეროდ, დაპირისპირება მიდის **„რბილი ძალის“** საშუალებით, რომელიც მრავალ ელემენტთან ერთად მოიცავს და გარკვეულწილად შეესაბამება შინაარსს ახალგაჩენილი ტერმინისა — **„ჰიბრიდული ომი“**, რომელმაც მცირეხნიანი პაუზის შემდეგ **„ცივი ომი“** ჩაანაცვლა.

აშშ-ისა და მის მიერ კონტროლირებული ნატოს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან აქტიური თანამშრომლობა (ზოგიერთის, კერძოდ, სამი ბალტიისპირა ქვეყნის ნატოში გაწევრების ჩათვლით) გამოკვეთილად ანტირუსულ ხასიათს ატარებს. ამას ვაშინგტონსა და ბრიუსელში უარყოფენ, მაგრამ მოსკოვში დარწმუნებულნი არიან და საამისო არგუმენტებიც არაერთხელ თქმულა რუსი დიპლომატების მიერ.

დასავლეთი თვალთმაქცობს და ორმაგ თამაშს ეთამაშება რუსეთს. ნატო არის ინსტრუმენტი, რომელიც პოლიტიკურად უნდა რაზმავდეს პოსტსაბჭოთა (ისევე, როგორც მთლიანად პოსტკომუნისტურ) ქვეყნებს რუსეთის წინააღმდეგ. ეს, ვიმეორებთ, პოლიტიკური ფაქტორია. მაგალითად, უკრაინა და საქართველო არ არიან ნატოს წევრები, მაგრამ არანაკლებ ანტირუსულ პოლიტიკას ატარებენ ნატოს წაქეზებითა და ნატოში „ინტეგრაციის“ სახელით, ვიდრე საკუთრივ ნატოს წევრი ბალტიისპირელები, პოლონელები და სხვები.

**ალიანსს ხელს არ აძლევს, რომ უკრაინა და საქართველო თავის წევრებად აღიაროს, რადგან ამ შემთხვევაში ამერიკამ და ნატოს სხვა წამყვანმა წევრებმა უნდა აიღონ გარკვეული ვალდებულებები მათ წინაშე, ამჟამინდელი ურთიერთობის მოდელით კი, უკრაინა და საქართველო ვაშინგტონ-ბრიუსელის ყველა მოთხოვნის უპირობო შემსრულებლები არიან, ისე, რომ აშშ და ნატო უსაფრთხოების არანაირ იურიდიულ გარანტიას არ იძლევიან. მაგალითად, კიდევ ერთი შეიარაღებული კონფლიქტი რომ დაიწყოს რუსეთთან, აშშ და ნატო, უბრალოდ, „შეშფოთდებიან“, რადგან მათ რაიმე ვალდებულება არ აქვთ თავიანთი ნახევრად კოლონიების მიმართ. ეს მათთვის ძალიან ხელსაყრელი მდგომარეობაა, ჩვენთვის კი — დამღუპველი.**

**ალიანსს ხელს არ აძლევს, რომ უკრაინა და საქართველო თავის წევრებად აღიაროს, რადგან ამ შემთხვევაში ამერიკამ და ნატოს სხვა წამყვანმა წევრებმა უნდა აიღონ გარკვეული ვალდებულებები მათ წინაშე. ამჟამინდელი ურთიერთობის მოდელით კი, უკრაინა და საქართველო ვაშინგტონ-ბრიუსელის ყველა მოთხოვნის უპირობო შემსრულებლები არიან, ისე, რომ აშშ და ნატო უსაფრთხოების არანაირ იურიდიულ გარანტიას არ იძლევიან. მაგალითად, კიდევ ერთი შეიარაღებული კონფლიქტი რომ დაიწყოს რუსეთთან, აშშ და ნატო, უბრალოდ, «შეშფოთდებიან», რადგან მათ რაიმე ვალდებულება არ აქვთ თავიანთი ნახევრად კოლონიების მიმართ. ეს მათთვის ძალიან ხელსაყრელი მდგომარეობაა, ჩვენთვის კი — დამღუპველი**

სიმართლე სრულად რომ ითქვას, არც ნატოს წევრობა იძლევა უსაფრთხოების სრულ გარანტიას. დააკვირდით, რა დიდია რუსოფობია ნატოს წევრ ბალტიისპირეთში ან პოლონეთში. ამ ქვეყნების ამბიციური პოლიტიკური კლასი ვერ დამშვიდდა, რადგან იციან, რუსეთს აქვს საკმარისზე მეტი ძალა საიმისოდ, რომ შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში მათ და მათ უკან მდგომ ნატოსა და ამერიკას საკადრისი პასუხი გასცეს...

**ნატოსთან თანამშრომლობა, რომელიც თანასწორ პარტნიორობას გულისხმობს, საქართველოს არ გამოუვა — ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, ჩვენ ვართ დასავლეთის „რბილი ძალის“ ნაწილი რუსეთის წინააღმდეგ. დასავლეთს შეუძლია ჩვენი გაწირვა „ჰიბრიდული ომის“ ფარგლებში, საქართველო დიდი პოლიტიკური და, ასევე, სამხედრო რისკის წინაშე დგას იმის გამო, რომ ნატოსთან კონტაქტების გაღრმავებით, რომელსაც ახლავს ვაშინგტონის პირდაპირი ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე, რუსეთის სამხედრო მანქანის სამიზნეში ვართ (გარდა იმისა, რომ რუსეთთან ერთად, აშშ და ნატო აუცილებლად შეეცდებიან და უკვე ცდილობენ კიდეც, დაგვაპირისპირონ ირანთან; რაიმე პროვოკაციის შემთხვევაში, ირანის სამხედრო პასუხი იქნება მძაფრი და ყველაფერი საქართველოს თავზე გადაივლის).**

რუსული სამხედრო განათლება და შეიარაღებული ძალების მომზადება მთელ რიგ უპირატესობას ავლენს დასავლური ანალოგების წინაშე, რაც დამტკიცდა კიდეც სირიაში, მაშინ, როდესაც ალიანსის მოღვაწეობა ავღანეთსა და ერაყში ფიასკოთი დასრულდა. გარდა ამისა, რუსეთი უპირატესობას ფლობს ბირთვული შეიარაღებების სფეროში, განსაკუთრებით, ტაქტიკური ბირთვული რაკეტების რაოდენობით (რუსეთს 1500-2000 ასეთ რაკეტა აქვს, ხოლო აშშ-ს — მხოლოდ 150-200), რასაც ადასტურებენ თვითონ ამერიკელი სამხედრო ექსპერტები.

გარდა სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორებისა, დასავლეთის იდეური მიმზიდველობაც გახუნდა, წარსულს ჩაბარდა. დასავლეთი არც ეკონომიკურად აალორძინებს ჩვენს ქვეყანას და არც სამხედრო ძალით იცავს. დიდი ხანია, დრო დადგა, რომ რუსეთთან ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვით ორივე მხარისთვის სასარგებლო დიალოგი ვაწარმოოთ და, ბოლოს და ბოლოს, რუსეთი ბალანსად მაინც გამოვიყენოთ, საქართველოს საშინაო საქმეებში დაუოკებელი ამერიკული ჩარევების საპირწონედ. რამდენჯერ უნდა გავუშვათ ხელიდან ასეთი შესაძლებლობა?

**გარდა სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორებისა, დასავლეთის იდეური მიმზიდველობაც გახუნდა, წარსულს ჩაბარდა. დასავლეთი არც ეკონომიკურად აალორძინებს ჩვენს ქვეყანას და არც სამხედრო ძალით იცავს. დიდი ხანია, დრო დადგა, რომ რუსეთთან ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვით ორივე მხარისთვის სასარგებლო დიალოგი ვაწარმოოთ და, ბოლოს და ბოლოს, რუსეთი ბალანსად მაინც გამოვიყენოთ, საქართველოს საშინაო საქმეებში დაუოკებელი ამერიკული ჩარევების საპირწონედ. რამდენჯერ უნდა გავუშვათ ხელიდან ასეთი შესაძლებლობა?**

თანამედროვე „დრანგ ნახ ოსტენს“, დასავლეთის მიერ აღმოსავლეთის დამორჩილების „ჯვაროსნულ“ მიზანს, წარმატების შანსი არ აქვს არც „რბილი ძალის“ და არც ნამდვილი სამხედრო ძალების თანაფარდობის გათვალისწინებით.

**გიორგი რაზმაძე**

ხალხი და ხელისუფლება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლებამ აღნიშნულ თანხას „ჯიგრულ პონტში“ მისცა მიმართულება და, როგორც მოგახსენეთ, თავისი მაღალჩინოსნების ბიზნესების მოფრთხილება დაიწყო. მიიღებენ ისინი ახლა სუბსიდიებს სახელმწიფოსგან, სუფთა ფულს ჩაიდებენ ჯიბეში და წინასაარჩევნოდ ამ ფულიდან ცალკე პარტიას შესწირავენ ცოტაოდენს, ცალკე ხალხს მიუგდებენ ხმების სანაცვლოდ, თანაც დაამადლიან: ჩვენ რომ არ გყავდეთ, რა გეშველებოდათო.**

# შეკითხვა «ჯიგრულ პონტში»: თქვენ თუ გყავთ დედები, ბატონებო?

**„რა კორუფცია, ხალხო?! შეიძლება ვიღაცამ ვიღაცას ქართულ ჯიგრულ პონტში რამე... მაგრამ რა კორუფცია, რას ამბობთ“, — თქვა საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ პარლამენტში გამოსვლისას. ერთი შეხედვით, ცოტა უცნაურია, როცა ქვეყნის პირველი პირი კორუფციის შესაძლო არსებობას „ჯიგრულ პონტში“ ამართლებს, მეორე მხრივ...**

მინისტრთა კაბინეტში თითქოს არსაიდან მოსული **გიორგი ქობულია** თავის დროზე ისე წავიდა, ვერც ის გავიგეთ, რისთვის მოიყვანეს და ვერც ის, რისთვის გაუშვეს. სამაგიეროდ, ექსმინისტრი ახლა ალაპარაკდა და საინტერესო რაღაცებიც თქვა.

**„სახელმწიფო სექტორში არიან ჩამჯდარი სქემისტები, რომლებიც რაღაც სქემებს ატრიალებენ. რკინიგზაში, ელექტროენერგიაში და ასე შემდეგ. და მაქსიმალურად იბრძვიან იმისთვის, რათა არანაირი რეფორმა არ მოხდეს. იქ რაღაც მოდერნიზაცია და რეფორმა რომ მოხდეს — ეს მათ ხელს არ აძლევთ, რადგან მაშინ თავის სქემებს დაკარგავენ. მოგიყვანთ მაგალითს: საქართველოს რკინიგზა არის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელსაც ესაჭიროება მოდერნიზაცია, რაც მოგვცემს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ბიძგს. ამ რკინიგზაში არის მიკერძოებული კონტრაქტები, ექსკლუზივები არის გაცემული რაღაც ტვირთების გადაზიდვებზე და ასე შემდეგ. ჩვენ თუ გვინდა, რომ რკინიგზა წავიყვანოთ ეფექტიანობის ამაღლებისკენ, ნაწილობრივი პრივატიზებისკენ, მაშინ ეს სქემები დაიშლება. იგივე ხდება ელექტროენერგეტიკის სფეროში“,** — განაცხადა ქობულიამ.

ვერ გეტყვით, ეს ყველაფერი „ჯიგრულ პონტში“ ხდება თუ არა, მაგრამ ფაქტია, ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ამ განცხადების შემდეგ ქობულიას დაჰკითხავდნენ, უფრო მეტი რომ გაეგოთ, და „ჩამჯდარი სქემისტების“ ვინაობასაც გაარკვევდნენ, მაგრამ ჩვენთან არა. ჯერ კიდევ **მიხეილ სააკაშვილის** პერიოდში იყო, რკინიგზაში მრჩევლად ნაციონალების აქტივს რომ ასაქმებდნენ და 5-ათასლარიან ხელფასსაც რომ უნიშნავდნენ. თანაც ისე, რომ ეს აქტივი სამსახურში არ დადიოდა და ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადებიდან იღებდა ჯამაგირს. მაშინაც ასე იყო — **„ჯიგრულ პონტში...“**

სხვათა შორის, მთავრობამ უკვე დააანონსა, რომ, დიდი ალბათობით, ტურისტული სეზონი ჩავარდება, რადგან საზღვრების გახსნა სერიოზულ საფრთხეს შეიცავს. თუმცა იქვე დააყოლა, რომ ჩავარდნა ხმამაღალი ნათქვამია, რადგან სასტუმროების მფლობელები სახელმწიფოსგან მაინც მიიღებენ დახმარებასო. **სასტუმროების მფლობელებს არ ეყოლებათ სტუმრები, შესაბამისად, არ დასჭირდებათ პერსონალი, გადაიხდიან მინიმალურ კომუნალურ გადასახადებს და... სახელმწიფო მისცემს დაახლოებით იმდენს, რამდენიც მათ ტურისტული სეზონის პერიოდში უნდა აეღოთ. ჰო, ესეც „ჯიგრულ პონტში“ იქნება, რადგან აბსურდია სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ნაბიჯი. ვინმე აგვიხსნის, რატომ იხდის სახელმწიფო ჩვენი გადასახადებიდან ვიღაცის მოგების თანხას?** იმიტომ, რომ კონკრეტული პირები არ გაკოტრდნენ? და ჩვენ, რიგითი ადამიანები, გაკოტრებული რომ ვართ და მაინც წელზე ფეხის დადგმით რომ ვიხდით გადასახადებს, ჩვენ არაფერი? ძაღლის თავი სწორედ აქ არის დამარხული — სასტუმროების მფლობელთა შორის, ძირითადად, ძლიერნი ამა ქვეყნისანი არიან — მინისტრების ოჯახის წევრები, პარლამენტარები, სხვა სახელმწიფო მოხელეები და სახელმწიფო სწორედ მათ ბიზნესს უფრთხილდება. დაახლოებით იგივე სქემაა, კონკრეტულ კომპანიებს ბინათმშენებლობის გაგრძელება რომ აღარ შეუძლიათ და სახელმწიფო, მობინადრეთა დახმარების საბაბით, ამ კომპანიებს მშენებლობის დასრულებაში დახმარებას რომ დაჰპირდა. **ვიღაც უბინაო, რომელიც ცხოვრობს ნაქირავებში, იხდის გადასახადს და ძლივს ირჩენს თავს, ვალდებულია, ამ გადასახადებით ბინა უყიდოს სხვას და ეს მაშინ, როცა საკუთარი ჭერი არ აქვს.**

კარგად გვესმის, რომ სწორებას დასავლეთისკენ ვაკეთებთ და ვცდილობთ, კაპიტალიზმი ავაშენოთ — მაქსიმალურად დავემსგავსოთ ამერიკას და იმას კი არავინ ამბობს, რომ კაპიტალიზმში, პრაქტიკულად, არ არის **საშუალო ფენა;** ან არიან მდიდრები, ან არიან ღარიბები და ღატაკები. დაახლოებით 80% გადარჩენისთვის იბრძვის, 15 პროცენტი მდიდარია და მხოლოდ 5%-ია საშუალო ფენა, თუმცა სხვაობა ამერიკელ და ქართველ ღატაკს შორის ძალიან დიდია. იქ ღარიბების შემოსავალი თვეში 1000 დოლარია, ჩვენთან კი 1000 დოლარი ერთი წლის პენსიაა.

ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ სახელმწიფო, კრიზისის დაძლევის საბაბით, მხოლოდ მაღალჩინოსნებს ეხმარება. თავად განსაჯეთ, **ბიუჯეტის ფულით, ჩვენი ფულით, რატომ უნდა ფინანსდებოდეს ვიღაცების სახლების მშენებლობა? რატომ უნდა ჩაიდოს სასტუმროს მეპატრონემ ჯიბეში ის ფული, რომელიც მე გადასახადებში გადავიხადე? რატომ არის, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში შეიძლება 30 ადამიანი ერთდროულად იყოს, მაშინ, როცა ტაქსის მძღოლი წინა სკამზე მგზავრს ვერ სვამს? სად არის პირბადეების დაპირებული იაფი პარტია? 7-თეთრიანი პირბადე რატომ ღირს 1,20 ლარი, აგვიხსნის ვინმე?** ხომ არ სჯობდა, ეგ ფული სუბსიდიის სახით სწორედ პირბადეებში დაგეხარჯათ — ნივთში, რომელიც ქუჩაში გამოსულ ადამიანს, საუკეთესო შემთხვევაში, ყოველდღიურად ერთი ცალი მაინც სჭირდება, ხშირად კი 5 ცალიც არ არის საკმარისი? **5 პირბადე რომ იყიდო, დღეში 6 ლარი გამოდის, თვეში —**



**ბიუჯეტის ფულით, ჩვენი ფულით, რატომ უნდა ფინანსდებოდეს ვიღაცების სახლების მშენებლობა? რატომ უნდა ჩაიდოს სასტუმროს მეპატრონემ ჯიბეში ის ფული, რომელიც მე გადასახადებში გადავიხადე? რატომ არის, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში შეიძლება 30 ადამიანი ერთდროულად იყოს, მაშინ, როცა ტაქსის მძღოლი წინა სკამზე მგზავრს ვერ სვამს? სად არის პირბადეების დაპირებული იაფი პარტია? 7-თეთრიანი პირბადე 1,20 ლარი რატომ ღირს, აგვიხსნის ვინმე?**

**180 ლარი და ამ დროს ხელისუფლების წარმომადგენლები შთაგონებული სახეებითა და დამაჯერებელი ტონით გვარწმუნებენ: გადავრჩით, ხალხო, კრიზისის დაძლევის პროგრამა გვაქვსო. და მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მაცივარში, უკვე წლებია, კრიზისი რომ არის და ვერაფერს ვშველით, მაგას მოევლება ოდესმე?** თუ ისევ არჩევნების იმედად ვართ, ყველა პარტია რაღაცას რომ გადმოუგდებს ამომრჩეველს, რა თქმა უნდა, ხმების სანაცვლოდ და მერე ისევ მოსახლეობისგან ამოიღებს ორმაგად და სამმაგად?!

სხვათა შორის, ისიც დაივიწყა ყველამ, რომ **თვითდასაქმებულებისთვის გამოყოფილი 300-ლარიანი დახმარება 90%-მა ვერ აიღო და იმიტომ, რომ საბუთი ვერ წარადგინა.** მაგალითად, აგრარულ ბაზარში, მებარგულები რომ არიან, ურიკას რომ დაატარებენ აქეთ-იქით და ბარგის გადატანაში ეხმარებიან ხალხს, როგორ უნდა მოეტანათ საბუთი? ბაზრის ადმინისტრაცია ამ საბუთს ვერ გასცემდა, არ არიან მისი თანამშრომლები, თვითდასაქმებულები არიან და მეგობრად სწორედ ის ურიკა ჰყავთ. არადა, ბაზრები არ მუშაობდა. ვიღაც რომ რეგიონებში ბოსტნეულს იაფად ყიდულობდა და დედაქალაქში ფასნამატით ყიდდა, იმან საიდან უნდა მოიტანოს საბუთი? ჰოდა, ვერც მოიტანა, შესაბამისად, ვერც დახმარება მიიღო. ამას გარდა, **ოფიციალურად დასაქმებულები და შემდეგ უმუშევრად დარჩენილები, საერთოდ, მასხრად აიგდეს. ხომ თქვეს, თითოეული მათგანი 1200 ლარს, ანუ ნახევარი წლის განმავლობაში თვეში 200 ლარს მიიღებსო? არ მოხდა ასე, ბატონებო. როგორც კი უმუშევრად დარჩენილებს სახელფასო ბარათზე პირველი თანხა ჩაერიცხათ, 200-ლარიანი დახმარება ოფიციალურად გაუჩერეს, აქაოდა, უმუშევრები აღარ ხართ და აღარ გერგებათო. ამიტომ, 2-3 თვის ფული აიღეს ოფიციალურად დასაქმებულებმაც და სახელმწიფომ ამ შემთხვევაშიც ხელი დაიბანა. ახლა საინტერესო ის არის, ამ პროგრამებისთვის გამოყოფილი თითქმის მეოთხედი მილიარდი ლარი სად წავიდა და რა ბედი ეწია.**

**ოფიციალურად დასაქმებულები და შემდეგ უმუშევრად დარჩენილები მასხრად აიგდეს. ხომ თქვეს, თითოეული მათგანი 1200 ლარს, ანუ ნახევარი წლის განმავლობაში თვეში 200 ლარს მიიღებსო? არ მოხდა ასე, ბატონებო. როგორც კი უმუშევრად დარჩენილებს სახელფასო ბარათზე პირველი თანხა ჩაერიცხათ, 200-ლარიანი დახმარება ოფიციალურად გაუჩერეს, აქაოდა, უმუშევრები აღარ ხართ და აღარ გერგებათო. ამიტომ, 2-3 თვის ფული აიღეს ოფიციალურად დასაქმებულებმა და სახელმწიფომ ამ შემთხვევაშიც ხელი დაიბანა**

არ გინდათ მკითხაობა — **ხელისუფლებამ აღნიშნულ თანხას „ჯიგრულ პონტში“ მისცა მიმართულება და, როგორც მოგახსენეთ, თავისი მაღალჩინოსნების ბიზნესების მოფრთხილება დაიწყო. მიიღებენ ისინი ახლა სუბსიდიებს სახელმწიფოსგან, სუფთა ფულს ჩაიდებენ ჯიბეში და წინასაარჩევნოდ ამ ფულიდან ცალკე პარტიას შესწირავენ ცოტაოდენს, ცალკე, ხმების სანაცვლოდ, ხალხს მიუგდებენ და თანაც დაამადლიან: ჩვენ რომ არ გყავდეთ, რა გეშველებოდათო.**

სხვათა შორის, კანონიც ამიტომ შეცვალეს, პრემიერის გადაწყვეტილებაა მხოლოდ საჭირო კონკრეტული შეზღუდვებისთვის და არა პარლამენტის თანხმობა. ბატონ **გიორგი გახარიას „ჯიგრულ პონტში“ შეუძლია, ერთ მშვენიერ დღეს აკრძალვები კვლავ დააწესოს და თანაც ისეთი, მაგალითად, არჩევნების ჩატარება რომ იყოს შეუძლებელი.** აკი ითქვა კიდეც, ოქტომბერში თუ არა, დეკემბერში გავმართავთ არჩევნებს, პრობლემას ვერ ვხედავთო. საზოგადოდ, ასეთ პირობებში ხელისუფლების წარმომადგენლები პრობლემას საერთოდ თუ ხედავენ, ეგ არის საინტერესო და მოსაკითხი.

ამ ყველაფერს ერთი პლუსიც აქვს. **ამას წინათ თქვა ერთმა ქალბატონმა: ბავშვს ვეუბნები, პირბადე არ მაქვს და ამ მიზეზით მაღაზიაში აღარ მიმყავს; აღარ ვარ იძულებული, საჭმლის ფულს მოვაკლო და ტკბილეული ვუყიდო ან სალაროსთან გავწითლდეო. ჰო, ამაშიც საშველი ნახა გაჭირვებულმა ხალხმა, ბავშვები მაღაზიებში არ დაჰყავთ, პატარები რომ არ გაჯიუტდნენ და შეწუხებულ დედებს პურისთვის გადადებული ფულით ტკბილეული არ აყიდინონ.**

ისე, **თქვენ თუ გყავთ დედები, ბატონებო?** ეს ისე ვიკითხე, „ჯიგრულ პონტში“...

**ბესო ბარბაქაძე**

**„რად მინდა ისეთი სარგებელი, თუ სანაცვლოდ ჩემი ქვეყნისთვის დამანგრეველ ცვლილებებს მოითხოვ; და მეორე — დამისახელოს ვინმემ ერთი კონკრეტული სიკეთე და სარგებელი, რომელიც ამ ასოცირების ხელშეკრულებით მიიღეს რიგითმა მოქალაქეებმა. ახლა თუ მეტყვიან, რომ უვიზო მიმოსვლაა და ხალხი თავისუფლად დადის ევროპაშიო, ეს სარგებელი არ არის. ევროპაში მიდიან მონებად და შავ მუშებად, თორემ მაჩვენეთ თუნდაც ერთი მოქალაქე, რომელიც იტყვის, რომ იქ ნორმალური სამსახური იშოვა“.**

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა გიორგი (რაზმაძე):

# ევროკომისრების უკმაყოფილების მიზეზი ისაა, რომ ეკლესიის წიაღში განხეთქილება ვერ გააჩინეს

**სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა ოლივერ ვარჰეიმ რამდენიმე დღის წინათ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მინისტერიალის დასრულების შემდეგ მედიასთან საქართველოზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ, მიუხედავად მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, რომლებიც ქვეყანამ ბოლო წლებში დასავლეთთან აქტიური თანამშრომლობით განახორციელა, ჯერ კიდევ ვრცელია გასატარებელი რეფორმების ჩამონათვალი. მისი თქმით, ეს ცვლილებები აუცილებელია ქვეყნის შემდგომი დემოკრატიული განვითარებისთვის, რათა არსებული გამოწვევების ფონზე აქამდე მიღწეულ პროგრესსა და წარმატებებს ჩრდილი არ მიადგეს. ვარჰეის არ განუმარტავს, კონკრეტულად რა ცვლილებებს გულისხმობდა და როგორ წარმოუდგენია მას ადამიანის უფლებების კიდევ უფრო მომატებაზე ორიენტირებული რეფორმები.**

მისივე განმარტებით, ევროკავშირი ყველანაირი დახმარებისთვის მზად არის და ამას უახლოეს მომავალში კიდევ ერთხელ დაამტკიცებს. საუბარია ფინანსურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და სხვა სახის მხარდაჭერებზე, რომლებზეც ევროკომისარმა თავის გამოსვლაში მიანიშნა.

**ცნობისთვის:** რამდენიმე დღის წინათ ევროკავშირის ელჩმა საქართველოში **კარლ ჰარცელმა** განაცხადა, რომ, მიუხედავად მიღწევებისა, რომლებიც საქართველოს ბოლო წლებში აქვს დემოკრატიული რეფორმების თვალსაზრისით, რიგი მიმართულებებით გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ჰარცელს არ დაუმალავს, რომ აღფრთოვანებულია ლგბტ თემის უფლებების დასაცავად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი გაკეთდება ამ თვალსაზრისით.

რას გულისხმობენ ევროპელი მაღალჩინოსნები „განუხორციელებელ რეფორმებში“ და რა ცვლილებებს შეიძლება ველოდოთ დასავლეთის ამ რიტორიკის ფონზე უახლოეს მომავალში?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, ამასწინათ ევროკავშირის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ოლივერ ვარჰეიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ვრცელია განუხორციელებელი რეფორმების ჩამონათვალი. მისი შეფასებით, ეს რეფორმები ქვეყნის შემდგომი დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელია, მაგრამ მას კონკრეტულად არ განუმარტავს, რა რეფორმებს გულისხმობდა. რა ცვლილებების ხილვა სურს დღეს ევროკავშირს საქართველოში? რა დარჩათ განუხორციელებელი?**

— პირველი და უმთავრესი, რაც მათ ყოველთვის სურდათ, არის **ე.წ. ეკლესიის რეფორმა,** რომლის შესახებაც ჯერ კიდევ წლების წინათ საუბრობდნენ და ამის გეგმაც არსებობდა. სხვათა შორის, **სააკაშვილმა თავის დროზე პატრიარქს უთხრა: როდესაც ბრიუსელში ვნახე საქართველოს ეკლესიის რეფორმის გეგმა, თმა ყალყზე დამიდგაო. წარმოიდგინეთ, სააკაშვილი რომ გაოგნდა, რა შეიძლება, ყოფილიყო. ცხადია, ეს იყო შორს მიმავალი გეგმა, რომელსაც ეკლესია და საპატრიარქო, როგორც ინსტიტუცია, საერთოდ უნდა მოეშალა.** თუმცა, რა თქმა უნდა, ამის ასე ერთი ხელისმოსმით განხორციელება ვერ მოხერხდა, იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, არანაირი კომპრომატი არ ჰქონდათ ანტისაეკლესიო კამპანიისთვის; და მეორე — თვითონ უწმინდესია შეუვალი ყველა პრინციპულ საკითხში. ეს კი უმთავრესია ეკლესიის ავტორიტეტისთვის. აი, ეს იყო მიზეზები იმისა, რომ ევროკომისრები აქამდე განხორციელებული „რეფორმებით“ კმაყოფილნი არ არიან და **სურთ, უფრო მეტი იხილონ კონკრეტული მიმართულებებით, მათ შორის, თვით ეკლესიის წიაღში გახეთქილება, ქრისტიანული სწავლების დამახინჯება და ა.შ., რომლებიც არაერთ მართლმადიდებელ ქვეყანაში უკვე მოახერხეს, მაგალითად, საბერძნეთში... კიდევ ვიმეორებ, ერთადერთი გეგმა, რომელიც მათ ვერ შეასრულეს და არა მხოლოდ ვერ შეასრულეს, პირიქით, მიიღეს საზოგადოების უმძაფრესი უკურეაქცია მისი შესრულების ყოველი მცდელობისას, არის ეკლესიის რეფორმა.** ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ ისინი ამაზე ხელს აიღებენ და მომავალში აღარ იქნება იმავე „ციანიდის საქმის“ ან ცრუ **პეტრე ცაავას** მიერ უწმინდესის მიმართ აგორებული ცილისწამებების ბინძური კამპანია...

**— რას შეიძლება გულისხმობდეს დღევანდელ ვითარებაში „ეკლესიის რეფორმა“, რა ცვლილებების განხორციელებას გეგმავენ?**

— აქ საუბარია იმ ტიპის ცვლილებებზე, რომლებიც თავის დროზე განხორციელდა დასავლეთის მწვალებლურ ეკლესიაში. იმ ცვლილებების შემდეგ კათოლიკური ეკლესია დღემდე ეწევა მწვალებლობას.

ახლა რას ნიშნავს ჩვენს რეალობაში „საეკლესიო რეფორმები“. მაგალითად, ამას წინათ შევიტყვე, რომ მუხიანში მდებარე ერთ-ერთ ტაძარში მღვდელი, ვინმე ათანასე (გვარი, სამწუხაროდ, არ მახსოვს) თურმე ყოველი ზიარების შემდეგ სპირტით წმენდს კოვზს და ვითომ დეზინფექციას უტარებს. ხვდებით, რაზეა საუბარი?.. **განცხადებები, რომ თურმე ერთი კოვზით ზიარება საფრთხის შემცველია და უნდა შეიცვალოს, რომ ტაძარი შეიძლება ეპიდემიის ბუდე გახდეს და ა.შ., არის მცდელობა, შეიქმნას „ძირეული საეკლესიო რეფორმების“ წინაპირობები. აქ საუბარია ისეთ „რეფორმებზეც“, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგება სახარებას და თავდაყირა აყენებს ქრისტიანულ სწავლებას...**

**— შეგიძლიათ, დაასახელოთ რომელიმე მსგავსი ცვლილება, რომელიც ქრისტიანულ სამყაროში განხორციელდა?**

— არაერთი. მაგალითად, 2016 წლის ივნისში კუნძულ კრეტაზე ჩატარებულ მერვე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე იყო საკითხი დაყენებული, რომ, თუ სასულიერო პირი დაქვრივდება, მას უნდა ჰქონდეს მეორედ ქორწინების უფლება, ეს კი ეწინააღმდეგება მოციქულთა კანონებს. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ პრაქტიკულად ეკუმენიზმი დაკანონდა და მართლმადიდებელი ქრისტიანი კათოლიკესთან, პროტესტანტთან, ლუთერანთან, ევანგელისტთან და კიდევ, კაცმა არ იცის, ვისთან ლოცულობდა, რაც თურმე, ჭეშმარიტი შემწყნარებლობაა. სხვათა შორის, კვიპროსის ეკლესიამ (კერძოდ, ეპისკოპოსებმა) უკვე დანერგა ტრადიცია, რომელიც მართლმადიდებელ ადამიანს უფლებას აძლევს, იქორწინოს სხვა რჯულის წარმომადგენელზე. ხვდებით, რაზეა საუბარი? და პირობად აყენებენ იმას, რომ ასეთმა ოჯახმა ბავშვი აუცილებლად მართლმადიდებლურად უნდა მონათლოს, თუმცა არ ყოფილა შემთხვევა, ეს პირობა შესრულებულიყო და რომელიმე ასეთ ოჯახს ბავშვი მართლმადიდებლად მოენათლოს. ის, რაც საბერძნეთის ეკლესიაში მოხდა ან სადმე სხვაგან, აქ შეიძლება ზუსტად არ განმეორდეს, მაგრამ მიზანი ერთია — **ეკლესია ყველაზე ავტორიტეტული, ცოცხალი, ქმედითი ინსტიტუტიდან უნდა გარდაიქმნას რაღაც კულტურულ ეგზოტიკად, რომელსაც არანაირი ძალა და საზოგადოებაზე პრაქტიკული ზემოქმედების უნარი არ ექნება.**

რაც შეეხება იმას, რომ **თურმე საქართველო მის მიერ გატარებული „დემოკრატიული რეფორმების“ სანაცვლოდ დასავლეთისგან დიდ სარგებელს იღებს და ამის ყველაზე ნათელი მაგალითი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ყოფილა. ჯერ ერთი, რად მინდა ისეთი სარგებელი, თუ სანაცვლოდ ჩემი ქვეყნისთვის დამანგრეველ ცვლილებებს მოითხოვ; და მეორე — დამისახელოს ვინმემ ერთი კონკრეტული სიკეთე და სარგებელი, რომელიც ამ ასოცირების ხელშეკრულებით მიიღეს რიგითმა მოქალაქეებმა.** ახლა თუ მეტყვიან, რომ უვიზო მიმოსვლაა და ხალხი თავისუფლად დადის ევროპაშიო, ეს სარგებელი არ არის. ევროპაში მიდიან მონებად და შავ მუშებად, თორემ მაჩვენეთ თუნდაც ერთი მოქალაქე, რომელიც იტყვის, რომ იქ ნორმალური სამსახური იშოვა. საერთოდ, ჩემი აზრით, **თუ ვინმეს ჩვენი დახმარება სურს, საზღვრები კი არ უნდა გაგვიხსნას აქედან შავი მუშების გასადენად, წარმოების განვითარებაში უნდა შეგვიწყოს ხელი; ტექნოლოგიების, ფაბრიკა-ქარხნების, სოფლის მეურნეობის და ა.შ. — ეს არის დახმარება, თორემ, აქედან ჩასულ, ბანკის ვალებში დამხრჩვალ, დამშეულ ადამიანს სამათხოვრო ჯამაგირზე რომ ამუშავებ, რომელზეც ადგილობრივი ხელს არ გაანძრევს, ეს დახმარება კი არა, 21-ე საუკუნის ნებაყოფლობითი მონობაა...**

**«საქართველოში ძალიან მალე დადგება ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ურთიერთობის დაკანონების საკითხი და ამ საქმეში ხელისუფლებასთან ერთად ჩართული იქნება დასავლეთის მიერ მართული ე.წ. ოპოზიციაც»**

**— დავუბრუნდეთ ისევ რეფორმების თემას. საქართველოში მოქმედი „ლიბერალური“ პარტიები (მაგალითად, „გირჩი“, რესპუბლიკური პარტია და სხვები) ბოლო პერიოდში სოციალურ ქსელში აქტიურად წერენ, რომ დროა, ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგში დადგეს ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონების საკითხი. როგორ ფიქრობთ, ესეც ხომ არ არის დასავლეთიდან ნაკარნახევი „განუხორციელებელი თუ განსახორციელებელი დემოკრატიული რეფორმების“ ერთ-ერთი შემადგენელი?**

— ვფიქრობ, ეს არის უმთავრესი საკითხი, რომელიც უახლოეს მომავალში დადგება ქვეყანაში და მას მოჰყვება შესაბამისი პროცესები. როდესაც ევროკავშირის მესვეურები ასე დაჟინებით საუბრობენ განუხორციელებელ რეფორმებზე, რომლებიც თურმე ადამიანის უფლებების დაცვას აფერხებს ამ ქვეყანაში, უპირველესად, აქ იგულისხმება სწორედ ე.წ. სექსუალური უმცირესობები. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: საქართველოში ძალიან მალე დადგება **ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ურთიერთობების დაკანონების საკითხი და ამ საქმეში ხელისუფლებასთან ერთად ჩართული იქნება დასავლეთიდან მართული ე.წ. ოპოზიციაც, თუმცა მათ იციან, რომ მსგავს მცდელობას მოჰყვება უპრეცენდენტო მასშტაბის სამოქალაქო აფეთქება და იციან ისიც, რომ ეკლესია ამ პროცესის ავანგარდში იქნება.** აი, ამიტომ უნდათ ჯერ ეკლესიის ეს ე.წ. რეფორმა, რომ წინააღმდეგობის ძალა აღარ არსებობდეს ქვეყანაში და ველარავინ შეძლოს უკმაყოფილო მოქალაქეების დარაზმვა, როცა, ვთქვათ, პარლამენტი მამათმავლური ურთიერთობების დასაკანონებლად კანონში ცვლილებების განხილვას დაიწყებს.

ხელისუფლება და ე.წ. ლიბერალური პოლიტიკური სპექტრი ახლა ატარებს მოსამზადებელ ეტაპს, რათა შემდგომ უკვე „რეფორმების“ ახალი ტალღა რაც შეიძლება მალე და უმტკივნეულოდ განახორციელოს. ამას ემსახურება ზიარების წესის შეცვლაზე აპელირება ვითომ პანდემიის ფონზე მოსალოდნელი გართულებების ასაცილებლად; ამას ემსახურება ბრალდებები ცალკეული სასულიერო პირების მიმართ. სხვათა შორის, **მძიმე მარხვის პერიოდში პატრულის ერთ-ერთმა ოცმეთაურმა, რომლის ვინაობასაც შეგნებულად არ ვასახელებ, გამივრცელა ხმა, რომ თურმე ეკლესიაში ნარკოტიკებს ვყიდდით და პოლიცია რეაგირებას ვერ ახერხებდა იმიტომ, რომ რაღაც სპეცსამსახურების აგენტი ვყოფილვარ.** თუმცა მერე, როდესაც პროკურატურაში უნდა შევხვედროდით, აღარ მოვიდა. დამემალა და მერე ბოდიშები შემომითვალა, გაუგებრობა იყოო...

რაც შეეხება იმას, თუ რა შეიძლება საზოგადოებამ გააკეთოს დაგეგმილი „ლიბერალური“ რეფორმების თავიდან ასაცილებლად, გავიმეორებ, რომ ჭეშმარიტ მორწმუნე მართლმადიდელ ქრისტიანს ვერანაირი დიქტატურა ვერ გატეხს. ვერ გატეხს ვერც იდეოლოგიურად, ვერც მორალურად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად ხომ, მით უმეტეს. ამიტომ არის აუცილებელი ამ ურთულეს დროში, რომ კიდევ უფრო დავუახლოვდეთ უფალს, ვიაროთ ტაძარში, ვილოცოთ, დავიცვათ მარხვა, ვთქვათ აღსარება, ვეზიაროთ და ჩვენი ცხოვრების წესით ვიყოთ ქრისტიანები.

**ჰარცელს არ დაუმალავს, რომ აღფრთოვანებულია ლგბტ თემის უფლებების დასაცავად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი გაკეთდება ამ თვალსაზრისით**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მათოხრებელი გზირი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოსადმი დასავლეთის აგდებული დამოკიდებულება იქიდანაც ჩანს, რომ კაცს, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით პატიმრობა აქვს მისჯილი, რომელიც იძებნება, საერთაშორისო ასპარეზზე ფართოდ უღებენ კარს. ეს მაშინ, როცა, თუ რომელიმე პრეზიდენტი არ მოსწონთ, დევნილობაში ისე ავიწროვებენ დასავლელი სამართალდამცავები, რომ გასაქანს არ აძლევენ, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი მის ლიკვიდაციაზეც არ ამბობენ უარს.**

# «დემოკრატიის შუქურას» სხივი ამერიკასაც გადასწვდა

## სააკაშვილი ახლა ამერიკელებს ასწავლის, როგორ მოაწყონ ქვეყანა

**მადა ჭამაში მოდისო, ამაზეა ნათქვამი. როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილს ლამის 50-მილიონიანი უკრაინა აღარ აკმაყოფილებს და ახლა თავისი რეფორმატორული ნიჭის გამოვლენა ამერიკის შეერთებულ შტატებში სურს. არ ვხუმრობთ, ახალი თანამდებობით აღტყინებულმა მიშამ ამერიკელებს ჭკუა დაარიგა: თქვენი პოლიცია გააუქმეთ, მერე ხელახლა შექმენით და ქვეყანა დალაგდებაო.**



**ევროპაში ვერ დაასახელებთ ვერც ერთ ქვეყანას, რომლის პრეზიდენტი კი არა, ყოფილი მინისტრი იძებნებოდეს და ის სხვა ქვეყანაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდეს. არ კადრულობენ ამას სხვა ქვეყნები, არ აკადრებენ «სტრატეგიულ პარტნიორს» იმას, რომ ძებნილი და მისჯილი კაცი სასათბურე პირობებში ჰყავდეთ, თუმცა საქართველო ხომ ბოლომდე დამონებულია და სააკაშვილი კი არა, ადეიშვილიც სამსახურში ჰყავთ, თან ამაყობენ: რეფორმების გატარებაში გვეხმარებაო**

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004 წელს, არშემდგარი სახელმწიფოს პრეზიდენტი გავხდი. სამართალდამცველი ორგანოები დანაშაულებრივი დაჯგუფებებისავით მოქმედებდნენ: ოფიცრები ითხოვდნენ ქრთამს, ვაჭრობდნენ ნარკოტიკებითა და იარაღით, მუშაობდნენ პოლიტიკური და საქმიანი ელიტისათვის დაქირავებულ ძალად, მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საქართველო „მძარცველი პოლიციელების ქვეყნის“ ქრესტომათიულ ნიმუშად მიიჩნეოდა: პოლიცია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ელემენტარულ მოვალეობასაც ვერ ასრულებდა, მდიდრდებოდა და თავის მფარველებსაც ამდიდრებდა მოსახლეობისაგან ფულის გამოძალვის გზით. გამოკითხვის თანახმად, პოლიციის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება ქართველების მხოლოდ 2,3%-ს ჰქონდა. სულ რაღაც, რამდენიმე წელიწადში ჩვენ სიტუაცია შევცვალეთ და ჩვენეული მოდელი ისეთ ქვეყნებს შევთავაზეთ, რომლებიც პოლიციის რეფორმის გატარებას ცდილობდნენ, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. გავაუქმეთ „კე-გე-ბეს“ მსგავსი სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, დავშალეთ საგზაო პოლიცია და ათიათასობით პოლიციელი სამსახურიდან გავათავისუფლეთ. საგზაო პოლიცია შეიცვალა საპატრულო პოლიციით, ახალ კადრებს ახლებური მოთხოვნები წავუყენეთ, მათ თავიანთი უფლება-მოვალეობა ღრმად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული... სამართალდამცველ ორგანოებში წესრიგის დამყარებისას უპირატესობა, რაოდენობის ნაცვლად, ხარისხს მივანიჭეთ: შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა რიცხვი 56 ათასიდან 33 ათასამდე შევამცირეთ. რეფორმის გატარების შემდეგ დანაშაულის რაოდენობამ 66%-ით იკლო. ადამიანებს პირდაპირ ეთერში სახლებში ვიჭერდით და ვაპატიმრებდით... ასეთი არატრადიციული ტაქტიკით, რომელიც დრომ გამოსცადა, ჩვენ პატრონაჟის პოსტსაბჭოურ სისტემას ხერხემალი გადავუმტვრიეთ. პოლიცია აღარ უწევდა ექსპლოატაციას ხალხს, არამედ მათ იცავდა. ქრთამის ნაცვლად პოლიცია მოსახლეობისაგან ნდობას იღებდა... ჩვენ საერთაშორისო აღიარება დავიმსახურეთ“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

**სააკაშვილს აშკარად „დაავიწყდა“ ეთქვა ისიც, რომ პოლიციას აბსოლუტური ძალაუფლება მისცა და პირდაპირ განუცხადა, რომ ყველაფერი ეპატიებოდა. ამის შემდეგ სამართალდამცველთა ნაწილმა დაიჯერა, რომ ქვეყანაში მართლაც ყველაფერი ეპატიებოდა და ქუჩაში ჩაცხრილული ადამიანების რიცხვი გაორმაგდა. პოლიციელთა ნაწილი პირდაპირ შუა ქუჩაში აწყობდა გარჩევებს და, როცა ამის განწყობაზე იყო, ომობანასაც თამაშობდა. ხელისუფლება ამ ყველაფერს მშვიდად ფუთავდა, იარაღს დებდა, ყველა მკვლელობას კრიმინალს უკავშირებდა და, სავარაუდოდ, სააკაშვილს აღაც ახსოვს გამცემლიძე, გირგვლიანი, რობაქიძე...** მას არც მაშინ აინტერესებდა მათი ბედი და მით უმეტეს — ახლა, როცა ამერიკელების დამოძღვრა დაიწყო.

„აშშ-ის ზოგიერთ ქალაქში პოლიციელებისაგან მომდინარე საფრთხის განეიტრალების მცდელობა გარდაქმნის მცდელობას წარმოადგენს — ისეთს, რომელიც ერთმა პატარა ქვეყანამ განახორციელა, მაგრამ, რევოლუციის შემდგომი საქართველოსგან განსხვავებით, ამერიკელთა უმეტესობა პოლიციის მიმართ ასეთი რადიკალური ზომის მიღებას არ ეთანხმება. მე პრეზიდენტად რომ ამირჩიეს, საქართველოს მოსახლეობამ ძველი სისტემის დანგრევის მანდატი მომცა, რომელიც ადამიანებისთვის აღარ მუშაობდა. მთავრობა ერთი მიზნის მისაღწევად გაერთიანდა. პოლიციისადმი უნდობლობა იმ ფართოდ გავრცელებული განწყობის სიმპტომია, რომლის თანახმად, „სისტემა ისეა აგებული, რომ ის მხოლოდ ელიტის ინტერესებს იცავს“. თუ ჩვენ საქართველოში შევძელით ამ პრობლემის გადაჭრა, მაშინ ამერიკელებიც შეძლებენ“, — განაცხადა სააკაშვილმა და ამერიკელებს უთხრა, **თქვენი სისტემა, შემთხვევით, მხოლოდ ელიტის ინტერესებს ხომ არ იცავსო?!**

მიშას მმართველობის პერიოდში ელიტა მამალი ნაციონალების სანათესავო იყო და სწორედ მას, ანუ პოლიტელიტას შეეწირა გირგვლიანის სიცოცხლე. პოლიტელიტა იმხობდა თავზე ღამის კლუბებს და, კოკაინი ცხვირის ერთ ნესტოში რომ არ ეტეოდა, მეორეში იტენიდა. ეს იყო ის რეალობა, რომელშიც ვცხოვრობდით, და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს ამერიკელებმა კარგად იციან. თუმცა, სწორედ ამერიკელებს აძლევდათ ხელს მაშინ მთელი ერის კრიმინალად გამოცხადება (და სააკაშვილმა ოფიციალურად თქვა: ქართველი ერი კრიმინალური მენტალიტეტის არისო), სწორედ დასავლეთს უნდოდა, რომ შიშში გვეცხოვრა და ერთი კაცის გადასაწყვეტი ყოფილიყო ყველაფერი.

**საქართველოსადმი დასავლეთის აგდებული დამოკიდებულება იქიდანაც ჩანს, რომ კაცს, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით პატიმრობა აქვს მისჯილი, რომელიც იძებნება, საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე ფართოდ უღებენ კარს. ეს მაშინ, როცა, თუ რომელიმე პრეზიდენტი არ მოსწონთ, დევნილსაც ისე ავიწროვებენ დასავლელი სამართალდამცველები, რომ გასაქანს არ აძლევენ და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მის ლიკვიდაციაზეც არ ამბობენ უარს.**

მაგალითისთვის ლიბიის პრეზიდენტი **მუამარ კადაფიც** კმარა, კაცი, რომელიც დასავლეთმა დიქტატორად გამოაცხადა და მისი ლიკვიდაციაც მარტივად მოახერხა. **კადაფის ლიკვიდაციის შემდეგ ლიბიაში მუდმივი არეულობაა. სამაგიეროდ, „დალაგდა“ ის რესურსები, რომლებიც ამ ქვეყანას აქვს და ისინი ამერიკელებმა და ევროპელებმა დაინაწილეს. საქართველო ბუნებრივი რესურსებით მდიდარი არაა, მისი რესურსი რუსეთთან საერთო საზღვარია და ამიტომ ის, როგორც ტერიტორია, როგორც რუსეთის მომიჯნავე ანტირუსული პლაცდარმი, ისე სჭირდებოდათ და სააკაშვილის ხელში მიიღეს კიდეც.** მიიღეს კი არა, ომი დააწყებინეს მეზობელთან, რომელთან დაპირისპირებასაც მთელი ცივილიზებული სამყარო ერიდება. **საქართველო კი გააბრიყვეს, ასროლინეს, აომეს, ტერიტორიები დააკარგვინეს, საუკუნეებით ნაშენები პოლიტიკური, ეკონომიკური, ადამიანური კავშირები მოაშლევინეს, სამაგიეროდ სააკაშვილი გმირად გამოგვიცხადეს. მერე რა, რომ „გმირმა“ გორში ოთხზე იფორთხა და, რომ არა ამერიკული პამპერსი, შარვალიც დაუსველდებოდა. ჰო, ტყვიაგაუმტარ ჟილეტთან ერთად მიშას პამპერსიც ეკეთა.**

ევროპაში ვერ დაასახელებთ ვერც ერთ ქვეყანას, რომლის პრეზიდენტი კი არა, ყოფილი მინისტრი იძებნებოდეს და ის სხვა ქვეყანაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდეს. არ კადრულობენ ამას სხვა ქვეყნები, არ აკადრებენ „სტრატეგიულ პარტნიორს“ იმას, რომ ძებნილი და მისჯილი კაცი სასათბურე პირობებში ჰყავდეთ. თუმცა საქართველო ხომ ბოლომდე დამონებულია და სააკაშვილი კი არა, ადეიშვილიც სამსახურში ჰყავთ, თანაც ამაყობენ: რეფორმების გატარებაში გვეხმარებაო.

სხვათა შორის, იმ რეფორმების, რომლებსაც ათასობით ადამიანის სიკვდილი მოჰყვა; იმ რეფორმების, რომლებმაც სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები სასაკლაოდ აქცია. **არავის, არც ერთ უცხოელ პარტნიორსა და უფლებადამცველს კითხვა არ გასჩენია, რატომ კვდებოდა ასეულობით ადამიანი ციხეში სააკაშვილის პერიოდში და რატომ არის ეს მონაცემი ახლა დასული ორ ათეულამდე. იმიტომ, რომ მათ ყველაზე კარგად იციან, რა ხდებოდა, როგორ ხდებოდა და ერის ხოცვაზე მიშას თვითონვე აქეზებდნენ. მთავარი იყო დასავლეთისადმი უსიტყვო მორჩილება, თორემ პირდაპირ ეთერში ხალხის დახვრეტა (კორტების სპეცოპერაცია გაიხსენეთ) ჩვეულებრივ ამბად იყო აღქმული.** რა რეაქცია ექნებოდა ამერიკელ საზოგადოებას, გირგვლიანის ისტორია იქ რომ მომხდარიყო, ვხედავთ დღეს განვითარებული პროცესების მაგალითზე. აქ კი მკვლელები ცალკე ჩასვეს და საჭმელ-სასმელს ვინ ჩივის, არც ქალების საზოგადოებას აკლებდნენ და არც საუკეთესო რესტორნებში დროსტარებას.

ამ ნაბიჯით კარგად ჩანს, რომ **დასავლეთის ინტერესში არ არის საქართველოს კეთილდღეობა. არც უკრაინელი ხალხის ლიდერს, „ხალხის მსახურ“ ზელენსკის აინტერესებს, რას იფიქრებენ საქართველოში, რადგან დასავლეთმაც იმ პირობით მოიყვანა უკრაინის ხელისუფლების სათავეში, რომ მეფეს ემსახუროს, მასხარას მოვალეობა ხომ სწორედ მეფის გართობა იყო ოდითგანვე და ახლა საქართველოსა და უკრაინის მეფეები ამერიკელები არიან.**

იმაშიც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ, თუ შესაბამისი პირობები შეიქმნება, დასავლეთი მიშას დაბრუნებას აუცილებლად შეუწყობს ხელს. მით უმეტეს, რომ საქმეში უკვე ნანახი ჰყავს ეს კაცი, ზუსტად იციან, რომ ის ისევ ისეთი მონა იქნება და ნებისმიერ დროს შეეძლება, რუსეთს შეუჩხიკინოს. იმას, რასაც ეს ხელისუფლება არ აკეთებს, მიშა უპრობლემოდ გააკეთებს და კვლავ გამარჯვებული მხედართმთავარივით გამოგვეცხადება რუსთაველზე საზეიმოდ. მერე რა, თუ მიშას დაბრუნების მცდელობას შეიძლება ჩვენთან სამოქალაქო დაპირისპირება მოჰყვეს? მღვრიე წყალში თევზის დაჭერა უფრო მარტივია, ადრეც დაუჭერიათ და მომავალშიც დაიჭერენ. მთავარია, მათი ინტერესები გატარდეს და შინააშლილობა და სამოქალაქო ომი პრობლემა არ არის, რაც ნაკლები იქნება ხალხი, მით ადვილი სამართავია.

**ვერ გეტყვით, რა რეაქცია ექნება საქართველოს დელეგაციას, უკრაინაში ვიზიტით ჩასულს მაგიდასთან სააკაშვილი რომ დახვდეს. მაინც გვგონია, რომ დასავლელი პარტნიორების შიშით ამასაც აიტანენ, ბოლომდე გადაყლაპავენ იმას, რაც მანამდეც არაერთხელ გადაუყლაპავთ და თავსაც გაიმართლებენ, — სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ვერ ჩავერევით, არ შეიძლებაო. ჰო, ის არავის გაახსენდება, ამერიკის ელჩმა ბავშვებივით რომ არბენინა ჩვენი ხელისუფალნი, კონსტიტუციას რომ აცვლევინებს მიშისტების თარგზე და აგერ, გასულ კვირას გენერალური პროკურორიც რომ მოინახულა და ჭკუა დაარიგა, ქცევის კოდექსი დაუდო წინ და გააფრთხილა, — ჩვენ დაგვემორჩილეო.**

**ბესო ბარბაქაძე**



**2007 წლის 24 ოქტომბერს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ცვლილებებს კანონში „სამხედრო დიდებისა და ხსოვნის დღეების შესახებ რუსეთში". ხსოვნის დღეების ჩამონათვალში შევიდა ახალი თარიღი — 22 ივნისი — დიდი სამამულო ომის დაწყების ხსოვნისა და მწუხარების დღე. ამ დღეს რუსეთის დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში — სანქტ-პეტერბურგში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, აგრეთვე, ბელარუსის ქალაქ ბრესტში იმართება ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, პატრიოტული აქციები, ყვავილებით ამკობენ უცნობი ჯარისკაცის საფლავს.**


თარიღი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




# 22 ივნისი — ხსოვნისა და მწუხარების დღე

**2020 წლის 22 ივნისს დიდი სამამულო ომის დაწყების 79 წლისთავია. სწორედ ამ დღეს, გამთენიისას, ფაშისტური გერმანია ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს. გერმანელთა ავიაციამ მასირებულად დაბომბა საბჭოთა აეროდრომები, სარკინიგზო ხაზები და სადგურები, სამხედრო-საზღვაო ბაზები, მშვიდობიანი ქალაქები და სსრკ-ის სიღრმეში 250-300 კმ-ის მანძილზე შეიჭრა.**

1941 წლის 22 ივნისს, დილის 4 საათზე, დაიწყო ყველაზე საშინელი ომი საბჭოთა კავშირის ისტორიაში, ომი, რომელიც 1939-1945 წლების მეორე მსოფლიო ომის ძირითადი ნაწილი იყო.

დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ფაშისტურ გერმანიას დაპყრობილი ჰყავდა ევროპის ბევრი ქვეყანა და ამ ქვეყნების რესურსების (ცოცხალი ძალა, ნედლეული) გამოყენებით შეუტია საბჭოთა კავშირს. სსრკ-ის წინააღმდეგ **გერმანიასთან** ერთად იბრძოდნენ **რუმინეთი, იტალია, სლოვაკეთი, ფინეთი, უნგრეთი** და **ნორვეგია.** საბჭოთა ხალხებმა ერთობლივი მძლავრი წინააღმდეგობით უპასუხეს ფაშისტებსა და მის მოკავშირეებს და გმირულად იცავდნენ თავიანთ სამშობლოს.

**უმძიმესი სისხლისმღვრელი ომი, რომელიც 1418 დღეს გაგრძელდა, 1945 წლის 9 მაისს დასრულდა ბერლინში ფაშისტური ბლოკის განადგურებით. ამ ომში საბჭოთა კავშირმა 26,6 მლნ ადამიანი დაკარგა, მათგან 8,7 მლნ ბრძოლის ველზე დაეცა, 7,42 მლნ ნაცისტებმა გაანადგურეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, 4,1 მლნ დაიღუპა საოკუპაციო რეჟიმის სასტიკი პირობების გამო, 5,27 მლნ ადამიანი კი კატორღული სამუშაოების შესასრულებლად წაიყვანეს გერმანიასა და მის მოკავშირე ქვეყნებში, მათგან მხოლოდ 2,65 მლნ დაბრუნდა სამშობლოში; 450 ათასი იმიგრანტად იქცა, 2,65 მლნ კი ტყვეობაში დაიღუპა.**

ალსანიშნავია, რომ ხსოვნისა და მწუხარების დღის აღნიშვნა 1992 წლიდან დაიწყო, თავდაპირველად ამ დღეს მამულის დამცველთა ხსოვნის დღე ეწოდებოდა. 1996 წლის 8 ივნისს კი რუსეთის პრეზიდენტ **ბორის ელცინის** განკარგულებით რუსეთის ფედერაციაში დაწესდა ხსოვნისა და მწუხარების დღე.

**2007 წლის 24 ოქტომბერს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ცვლილებებს კანონში „სამხედრო დიდებისა და ხსოვნის დღეების შესახებ რუსეთში", ხსოვნის დღეების ჩამონათვალში შევიდა ახალი თარიღი — 22 ივნისი — დიდი სამამულო ომის დაწყების ხსოვნისა და მწუხარების დღე. ამ დღეს რუსეთის დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში — სანქტ-პეტერბურგში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, აგრეთვე, ბელარუსის ქალაქ ბრესტში იმართება ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, პატრიოტული აქციები, ყვავილებით ამკობენ უცნობი ჯარისკაცის საფლავს.**

2009 წლიდან ხსოვნისა და მწუხარების დღეს ტარდება მემორიალური აქცია **„ხსოვნის სანთელი"** — სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები ანთებული სანთლებით მიდიან დიდ სამამულო ომთან დაკავშირებულ ადგილებზე. ამ აქციამ მოიცვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთი რესპუბლიკა. ახლახან ცნობილი შეიქნა, რომ რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობა „გამარჯვების ვოლონტიორების" წევრები მოსკოვის ოლქში 300 ათას სანთელს აანთებენ. სხვათა შორის, ამ თარიღს ბელარუსში დიდი სამამულო ომის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს უწოდებენ, უკრაინაში — მწუხარებისა და ომის მსხვერპლთა ხსოვნის პატივისცემის დღეს.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**





**უმძიმესი სისხლისმღვრელი ომი, რომელიც 1418 დღეს გაგრძელდა, 1945 წლის 9 მაისს დასრულდა ბერლინში ფაშისტური ბლოკის განადგურებით. ამ ომში საბჭოთა კავშირმა 26,6 მლნ ადამიანი დაკარგა, მათგან 8,7 მლნ ბრძოლის ველზე დაეცა, 7,42 მლნ ნაცისტებმა გაანადგურეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, 4,1 მლნ დაიღუპა საოკუპაციო რეჟიმის სასტიკი პირობების გამო, 5,27 მლნ ადამიანი კი კატორღული სამუშაოების შესასრულებლად წაიყვანეს გერმანიასა და მის მოკავშირე ქვეყნებში, მათგან მხოლოდ 2,65 მლნ დაბრუნდა სამშობლოში; 450 ათასი იმიგრანტად იქცა, 2,65 მლნ კი ტყვეობაში დაიღუპა**



# დონალდ ტრამპი: აშშ უარს ამბობს მსოფლიო პოლიციელის როლის შესრულებაზე



**„აშშ-ს აღარ სურს სხვა ქვეყნების აღდგენა და სხვისი კონფლიქტების მოგვარება", — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა.**

„თქვენ არმიაში კარიერას იწყებთ ამერიკის ისტორიის გადამწყვეტ მომენტში. ჩვენ ვაბრუნებთ ძირითად პრინციპებს, რომელთა თანახმადაც ამერიკელი ჯარისკაცის ამოცანა არის არა ის, რომ აღადგინოს სხვა ქვეყნები, არამედ ის, რომ მტკიცედ დაიცვას ჩვენი ქვეყანა გარე მტრებისგან. ჩვენ ვამთავრებთ უსასრულო ომების ერას", — თქვა **დონალდ ტრამპმა** ამერიკის სამხედრო აკადემია ვესტ პოინტის კურსდამთავრებულების წინაშე სიტყვით გამოსვლისას.

პრეზიდენტმა განმარტა, რომ აშშ დაუბრუნდა ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვას, ამიერიდან სამხედროების ამოცანები აღარ იქნება „ძველი კონფლიქტების" მოგვარება შორეულ ქვეყნებში, რომელთა შესახებაც მერიკელებს არაფერი სმენიათ.

**„ჩვენ არ ვართ მსოფლიო პოლიციელები, მაგრამ, დაე, ჩვენმა მტრებმა იცოდნენ, თუ ჩვენს ხალხს დაემუქრება საფრთხე, არასოდეს დავიწყებთ ყოყმანს და დავიწყებთ ბრძოლას. ამიერიდან ვიბრძოლებთ მხოლოდ იმისთვის, რომ გავიმარჯვოთ"**, — განაცხადა ტრამპმა და დასძინა, რომ შეძლებს გაერთიანებას ქვეყნისა, რომელშიც კვლავ გრძელდება მასობრივი პროტესტები და არეულობები.

vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მაშინ, როდესაც საბჭოეთის ცა გადაშავებული იყო გერმანული „მესერშმიტებითა" და ფაშისტური სიკვდილის მანქანა ნელ-ნელა უახლოვდებოდა ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვს, სტალინი კონსულტაციებს მართავდა საბჭოთა კავშირის წამყვან კონსტრუქტორებსა და მეცნიერებთან ისეთი დარგების განვითარების თაობაზე, როგორიც იყო ატომური რაკეტები, გამომთვლელი მანქანები, ელექტრონიკა და სხვ. აღნიშნულ დარგებში სსრკ არათუ ჩამორჩებოდა, არამედ ზოგიერთ მათგანში აშკარად წინ იყო ევროპის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაზე.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №20-21, 2020 წ.

# სტალინი და სახელმწიფო

**სტალინური სახელმწიფო სასწაულებრივად ვითარდებოდა. დღითიდღე ნათელი ხდებოდა მისი უპირატესობა მსოფლიო პოლიტიკისა და დიპლომატიის ბაზარზე. სისწრაფე, რომელსაც თანდათან კრეფდა სახელმწიფო სხვადასხვა მანამდე უცნობ დარგში, გამაოგნებლად მოქმედებდა გარეშე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებსა და მათ მეთაურებზე.**

1940-იან წლებში, სტალინის უშუალო მითითებით, ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა ბევრ ინოვაციურ დარგს, რომლებზეც ფიქრიც კი არ შეეძლოთ სტალინის თანამებრძოლებსა და მეგობრებს. სტალინი ამას ზებუნებრივი ნიჭითა და არაჩვეულებრივი ენერგიით ახერხებდა, რაც, რა თქმა უნდა, მიწიერი არ იყო.

მაშინ, როდესაც საბჭოეთის ცა გადაშავებული იყო გერმანული „მესერშმიტებითა" და ფაშისტური სიკვდილის მანქანა ნელ-ნელა უახლოვდებოდა ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვს, სტალინი კონსულტაციებს მართავდა საბჭოთა კავშირის წამყვან კონსტრუქტორებსა და მეცნიერებთან ისეთი დარგების განვითარების თაობაზე, როგორიც იყო ატომური რაკეტები, გამომთვლელი მანქანები, ელექტრონიკა და სხვ. აღნიშნულ დარგებში სსრკ არათუ ჩამორჩებოდა, არამედ ზოგიერთ მათგანში აშკარად წინ იყო ევროპის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაზე.

*** მართლია, ამერიკელებმა ოთხი წლით ადრე შეძლეს ატომური ბომბის გამოცდა, სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირმა პირველმა შექმნა კიდევ უფრო მძლავრი ბომბი (РДС-6с — წყალბადის ბომბი). სსრკ-მა პირველად მსოფლიოში ხალხის სამსახურში ჩააყენა ატომური ენერგია და შექმნა პირველი ატომური ელექტროსადგური, რომელსაც 2 წლის შემდეგ მოჰყვა ამერიკული ატომური ელექტროსადგური, ხოლო 1 წლის შემდეგ — ინგლისის ატომური ელექტროსადგური, ისიც სსრკ-ის ინოვაციების გამოყენებით.**

* საბჭოთა კავშირმა შეძლო პირველი ატომური ყინულმჭრელი ხომალდის შექმნა და ერთ-ერთმა პირველმა ჰაერში გაუშვა თვითმფრინავი ატომური ძრავით.

*** 1948 წელს, როდესაც ამერიკისა და ინგლისის სამეცნიერო ლაბორატორიებში დღედაღამ მუშაობდნენ კომპიუტერებზე (იმხანად მსოფლიოში არ არსებობდა კომპიუტერული ტექნიკის არც ერთი ნიმუში), სსრკ-ში, სტალინის განკარგულებით, შეიქმნა ზუსტი მექანიკისა და გამომთვლელი მანქანების ინსტიტუტი სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიასთან და დაარსდა საკონსტრუქტორო ბიურო №245 („СКБ 245"), როგორც მთავრობის დადგენილებაში იყო აღნიშნული, „თავდაცვითი ობიექტებისათვის გამოთვლითი მანქანების დასამუშავებლად და დასანერგად წარმოებაში".**

* 1951 წელს შეიქმნა პირველი საბჭოთა ციფრული გამომთვლელი მანაქანა (**МЭСМ**). მას მოჰყვა ჯერ ინგლისის, ხოლო შემდეგ ამერიკის ამავე ტიპის გამომთვლელი მანქანები. 1953 წელს სსრკ-მა სერიული გამოშვება დაიწყო კომპიუტერებისა სახელწოდებით „სტრელა" და М-2, რომელიც განკუთვნილი იყო სამხედრო საჭიროებისთვის და ტოლს არ უდებდა ცნობილ ამერიკულ კომპიუტერებს.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია საბჭოთა კავშირის მიღწევები ეკონომიკის დარგში. მიუხედავად იმისა, რომ სსრკ შეზღუდული იყო საგარეო სესხებისგან და ნავთის მრეწველობიდან ბევრი თანხა არ შემოდიოდა, ხოლო ბუნებრივი აირიდან ფული, საერთოდ, არ არსებობდა, **1947 წელს სრულიად აღდგა საბჭოთა კავშირის სამრეწველო პოტენციალი, ხოლო 1950 წელს მან 2-ჯერ გადააჭარბა ომის წინა, 1940 წლის, მაჩვენებელს. არც ერთ ქვეყანას, რომლებიც ომში მონაწილეობდნენ და მეტ-ნაკლებად დაზარალდნენ, არ მიუღწევია 1940 წლის ეკონომიკური დონისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებს დიდად ეხმარებოდა აშშ.**

იაპონია ომის დაწყების წინა, 1940 წლის ეკონომიკურ დონეს მხოლოდ 1955 წელს გაუთანაბრდა. ორი ქალაქის განადგურების გარდა (ჰიროსიმა და ნაგასაკი), იაპონიას დიდი დანაკლისი არ განუცდია მეორე მსოფლიო ომში.

*** პროდუქტების ლიმიტირებული გაცემა (ე.წ. კარტოჩკები) სსრკ-ში 1947 წელს მოიხსნა, ინგლისში კი, აშშ-ის უდიდესი დახმარების მიუხედავად, პროდუქტების ლიმიტირებული გაცემა მხოლოდ 1954 წელს გაუქმდა. ინგლისურმა გაზეთმა „ნეიშენელ ბიზნესმა" 1953 წელს გამოაქვეყნა სტატია სათაურით „რუსებმა გაგვასწრეს".**

* სსრკ-ის ეკონომიკის ზრდის ტემპი აღემატებოდა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპს, აშშ-ის ეკონომიკურ ზრდის ტემპს კი 2-ჯერ აღემატებოდა. **აშშ-ის პრეზიდენტობის იმჟამინდელი კანდიდატი სტივენსონი ამბობდა: „თუ სტალინურმა რუსეთმა შეინარჩუნა ეკონომიკური ზრდის დღევანდელი ტემპი, 1970 წელს აშშ-ის საერთო შემოსავალს სტალინური რუსეთის შემოსავალი 3-4-ჯერ გადააჭარბებს"** (1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან სსრკ-ის ეკონომიკაში სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა. მკვეთრად შემცირდა ეკონომიკის ზრდის ტემპი, ზოგიერთ მხარეში აშკარად შეიმჩნეოდა რყევა).



**ზოგიერთი მკვლევარი ეჭვის თვალით უყურებდა საბჭოთა კავშირის სტალინური პერიოდის ამ გამაოგნებელ შედეგებს, მაგრამ ფაქტი ხომ აშკარაა?! ჩვენ, ვინც ომის შემდგომ აღმშენებლობას მოვესწარით, საკუთარი თვალით ვნახეთ, სად და რა პირობებში ვცხოვრობდით, როგორ გარდავიქმენით ომის შემდგომ, როგორი ამაყი და ბედნიერი სტუდენტობა და სიყრმე გამოვიარეთ და როგორც სიბერეს (არა მხოლოდ ფიზიკურს, არამედ მორალურსაც) მოვესწარით. მოდი, ერთად გადავხედოთ, ჩემო მკითხველო, ჩვენს უახლოეს წარსულს, რომელზეც სრულიად ამაოდ ხუჭავთ თვალს. ხელის გულით მზეს ვერ დაფარავ. ხელის გულით მხოლოდ თვალს დაიბნელებ. ისტორია თავის კვალს ტოვებს და საუკუნეების შემდეგ თავის შრეებში მიმალულს მაინც გამოაჩენს.**

მიუხედავად იმისა, რომ სსრკ შეზღუდული იყო საგარეო სესხებისგან და ნავთის მრეწველობიდან ბევრი თანხა არ შემოდიოდა, 1947 წელს სრულიად აღდგა საბჭოთა კავშირის სამრეწველო პოტენციალი, ხოლო 1950 წელს მან 2-ჯერ გადააჭარბა ომის წინა, 1940 წლის, მაჩვენებელს. არც ერთ ქვეყანას, რომლებიც ომში მონაწილეობდნენ და მეტ-ნაკლებად დაზარალდნენ, არ მიუღწევია 1940 წლის ეკონომიკური დონისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებს დიდად ეხმარებოდა აშშ



დნეპროჰესი — პირველი ჰიდროელექტროსადგური საბჭოთა კავშირში. აშენდა 1932 წელს

## 1941–1945 წლებში ომისგან მიყენებული ზარალი

**გერმანულმა ფაშიზმმა დიდი სამამულო ომის დასაწყისშივე დაიკავა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელზეც ცხოვრობდა 88 მლნ საჭოთა მოქალაქე (ეს 45%-ია იმ პერიოდის სსრკ-ის მოსახლეობის — გრ. ონიანი.), სადაც იწარმოებოდა სსრკ-ის მიერ გამოშვებული პროდუქციის 53 % და თავმოყრილი იყო მეცხოველეობის 47 %. საბჭოთა მიწაწყალზე ჰიტლერელებმა დაანგრის 1710 დიდი თუ პატარა ქალაქი, 70 ათასი სოფელი, 32 ათასი სამრეწველო ობიექტი, ააფეთქეს და დატბორეს 1135 შახტი, გაძარცვეს 98 ათასი კოლმეურნეობა, 1876 — საბჭოთა მეურნეობა, 2890 — მანქანა-ტრაქტორების სადგური. ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი, 1940 წელთან შედარებით, შემცირდა 70 პროცენტით.** ოკუპანტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 65 ათასი კმ სარკინიგზო ხაზი. სსრკ-ში 1945 წელს სახნავი ფართობი შემცირებული იყო 113 მლნ ჰექტრამდე, ნაცვლად 150 მლნ ჰექტრისა. განუსაზღვრელი იყო ადამიანთა დანაკარგი, რაც აუნაზღაურებელი ზარალი იყო ქვეყნისთვის.

მსოფლიო უყურებდა ამ უკიდეგანო სივრცეს, რომელიც ასე ველურად დაანგრიეს ბარბაროსებმა. ისინიც კი, ვისაც სძულდა საბჭოეთი და საბჭოთა ხალხი, სინანულით შეჰყურებდნენ ნაცარტუტად ქცეულ ქალაქებსა თუ სოფლებს.

ამის ნათელი დადასტურებაა სსრკ-ის არცთუ ისე დიდად მოყვარული ინგლისელი პუბლიცისტის, „ბი-ბი-სი"-სა და „სანდი თაიმსის" კორესპონდენტის, **ალექსანდრე ვერტის,** ჩანაწერი: **„რუსეთი საშინლად დანგრეული იყო ომისგან და პირველი გადაუდებელი ამოცანა იყო ომის ჭრილობების მოშუშება, მაგრამ როდემდე გაგრძელდებოდა ეს: 10-20 თუ 30 წელს?"** და თვითონვე პასუხობს: **„1940 წლის დონეს სსრკ-მა 3-4 წელიწადში მიაღწია. რამდენიმე ახალი დარგი ომის მიმდინარეობის მძიმე პერიოდში შეიქმნა და განვითარდა; სოფლები რამდენიმე თვეში შენდებოდა, ხოლო დიდი ქალაქები ომის შემდგომ 5-6 წელიწადში აღდგა, უფრო ლამაზი და მშვენიერი".**

ბევრი უცხოელი ისტორიკოსი და მკვლევარი ფანტასტიკად მიიჩნევდა საბჭოთა სასწაულს, რომელსაც გულუბრყვილოდ ზებუნებრივ ძალებს მიაწერდა. უნდა დაუჯეროს ახალგაზრდა მკით- ▶

მართლია, ამერიკელებმა ოთხი წლით ადრე შეძლეს ატომური ბომბის გამოცდა, სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირმა პირველმა შექმნა კიდევ უფრო მძლავრი ბომბი (РДС-6С — წყალბადის ბომბი). სსრკ-მა პირველად მსოფლიოში ხალხის სამსახურში ჩააყენა ატომური ენერგია და შექმნა პირველი ატომური ელექტროსადგური, რომელსაც 2 წლის შემდეგ მოჰყვა ამერიკული ატომური ელექტროსადგური, ხოლო 1 წლის შემდეგ — ინგლისის ატომური ელექტროსადგური, ისიც სსრკ-ის ინოვაციების გამოყენებით

# 1951 წელს შეიქმნა პირველი საბჭოთა ციფრული გამომთვლელი მანქანა (МЭСМ). მას მოჰყვა ჯერ ინგლისის, ხოლო შემდეგ ამერიკის ამავე ტიპის გამომთვლელი მანქანები. 1953 წელს სსრკ-მა სერიული გამოშვება დაიწყო კომპიუტერებისა სახელწოდებით „სტრელა“ და M-2, რომელიც განკუთვნილი იყო სამხედრო საჭიროებისათვის და ტოლს არ უდებდა ცნობილ ამერიკულ კომპიუტერებს.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ხველმა თვითმხილველს, რომ ეს არ იყო ზეციური ძალა, ეს იყო სრულიად ახალი ქვეყნის ახალ გარემოში აღზრდილი საზოგადოების ძალა, რომელსაც არა ვირტუალურად, არამედ ხილულად ყველა ჩვენს წარმატებასა და გამარჯვებას განაგებდა და წინ მიუძღვოდა კრემლში მობინარე ღმერთკაცი **სტალინი.**

## ქვეყნის აღორძინების პროგრამა

1946 წლის თებერვალში ამომრჩევლის წინაშე ტრიბუნაზე ასულმა სტალინმა განაცხადა: **„ჩვენ აღვადგენთ ომისგან დაზარალებულ რაიონებს, ომის დაწყების წინა წლის დონეზე, ავაღორძინებთ სოფლის მეურნეობას. ამას ჩვენ უახლოეს პერიოდში შევძლებთ, შემდეგ კი ვნახოთ. ეს უკვე ჩვენს შემართებაზე იქნება დამოკიდებული“.**

იქნებ ვინმეს ეჭვი ეპარებოდა სტალინის ამ გამონათქვამის აღსრულებაში, მაგრამ „სტალინის სიტყვა და საქმე ერთი იყო“. დაიწყო ქვეყნის განვითარების სტალინური გეგმის მეტად რთული, მაგრამ ხალისიანი დღეები.

**სტალინს მტკიცედ ეჭირა ხელში ქვეყნის მართვის სადავე, განსაზღვრული ჰქონდა მოქმედების გეგმა — „ან გამარჯვება, ან სიკვდილი!“. 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესრულება საბჭოთა ხალხის უპირველეს მიზნად იქცა. გეგმის ძირითადი მიმართულება იყო ის, რომ 1950 წლისთვის მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 148%-ით გაზრდილიყო 1940 წელთან შედარებით. სოფლის მეურნეობაში საერთო პროდუქციის ზრდის ტემპი 27 %-ით განისაზღვრა, ნაციონალური შემოსავალი 1940 წელთან შედარებით 1950 წელს 38% -ით უნდა მომატებულიყო.**

1945 წელს, 1940 წელთან შედარებით, წარმოება შემცირებული იყო 77%-მდე, სახნავი ფართობები — 75 %-მდე. მანქანა-ტრაქტორების სადგურებიდან და სხვა სასოფლო-სამეურნეო უწყებებიდან გერმანიაში გაზიდული იყო ტრაქტორები და კომბაინები. სრულ სამხედრო ყაიდაზე გადაყვანილი ფაბრიკები და ქარხნები ისევ დასაბრუნებელი იყო სახალხო მეურნეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებელ რეჟიმზე. მანქანათმშენებლობა გადაყვანილი იყო 7-8 სახის მანქანების წარმოებაზე. მშვიდობიანობის პერიოდში კი ქვეყნის აღმშენებლობისთვის საჭირო იყო 40 სახეობის მანქანა-დანადგარები.ყოველივე ეს უდიდეს შრომასა და დროს მოითხოვდა. უკვე 1946 წლის ბოლოსთვის აღდგენილი და რეკონსტრუირებული იყო 800 დიდი საწარმო. 1947 წლისთვის რეკონსტრუირებული და ახალაშენებული იყო კიდევ 1100 მსხვილი საწარმო.

## ინდუსტრიალიზაცია

ქვეყნის ძირითად მიმართულებად აღებული იქნა ინდუსტრიალიზაციის განვითარების კურსის გაგრძელება, განსაკუთრებით, მეტალურგიის. დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე განთავსებული იყო ქარხნების თითქმის 68%, ხოლო თუჯის წარმოების — 58%, თავგანწირული შრომის შედეგად რკინის ჩამოსხმაში 1940 წლის დონეს 1948 წელს მიაღწიეს, ხოლო თუჯის ჩამოსხმაში — 1949 წელს. სენსაციური მაჩვენებელი მიიღეს მეტალურგიაში, ამ დარგში არათუ მიაღწიეს ომამდელ დონეს, არამედ 25%-ით გადააჭარბეს გეგმას, რაც იმით იყო განპირობებული, რომ საგრძნობლად ამაღლდა რკინის ხარისხი, ამასთანავე, წარმოებაში დაინერგა 150 სხვადასხვა სახის ლითონის გამოშვება, ამაღლდა შრომისნაყოფიერება.

* თუ მეფის რუსეთს ფერადი ლითონების მოპოვებაში დეფიციტის შევსება სჭირდებოდა, მაგალითად, სპილენძის — 30-35%-ით, თუთიის — 70%-ით, ტყვიის — 98%-ით, ნიკელისა და ალუმინის — 100%-ით, საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაკეთდა დიდი ნახტომი და ეს დეფიციტი აღმოიფხვრა. ფაშიზმთან ბრძოლის პერიოდში სსრკ-ს კვლავ დასჭირდა დეფიციტის შევსება, მაგრამ 1940 წელთან შედარებით ალუმინის წარმოებამ 44%-ით მოიმატა, მაგნიუმის — 45%-ით, ნიკელის — 67%-ით, კალიუმის — 2-ჯერ მეტით, მოლიბდენის — 4-ჯერ. **სწრაფი ტემპით განვითარდა ჩარხმშენებლობა. აითვისეს 500 სხვადასხვა სახის ლითონსაჭრელი ჩარხები. თუ 1940 წელს გამოშვებული იყო 58 ათასი ჩარხი, 1941 წელს ჩარხების გამოშვებამ 70 ათასს გადააჭარბა, სამჭედლო პრესების რაოდენობამ კი 4 000-დან 7 000-მდე მოიმატა. ომის შემდგომ, მხოლოდ ერთ ხუთწლედში, 1940 წელთან შედარებით, მოიმატა: მეტალურგიული მოწყობილობების რაოდენობამ — 5-ჯერ, ნავთობის მოსაპოვებლად საჭირო მოწყობილობების — 3-ჯერ, ქვანახშირის კომბინატების რაოდენობამ — 15-ჯერ, ორთქლისა და გაზის მილების წარმოებამ — 2-ჯერ, ტურბოგენერატორების — 2-ჯერ.**

* 1950 წელს 1940 წელთან შედარებით მოიმატა სახაზო ელმავლების რაოდენობამ — 11-ჯერ, საზახო ორთქლმავლების — 23-ჯერ, სატვირთო ვაგონების — 64%-ით, ავტომობილების — 3-ჯერ, მათ შორის, მსუბუქი ავტომობილების — 11-ჯერ. 1940 წელს სსრკ-ის მრეწველობა უშვებდა 84 დასახელების სასოფლო-სამეურნეო მისაბმელებს, 1950 წელს კი მათმა რაოდენობამ 200 დასახელებამდე მოიმატა, 5,5-ჯერ — ტრაქტორების რაოდენობამ. თუ 1940 წელს მშენებლობისთვის იწარმოებოდა მხოლოდ 244 ექსკავატორი, 1950 წელს მათმა რაოდენობამ 3 540 ერთეულამდე მოიმატა, ბულდოზერების — 118-დან 3 788 ერთეულამდე. ისეთმა მსხვილმა სამეურნეო ობიექტებმა, როგორებიც იყო კალუგის ტურბინებისა და რიაზანის ჩარხმშენებლობის ქარხნები, ქუთაისის ავტოქარხანა და ანდიჟანის სამშენებლო მანქანების ქარხანა, სრული გადაიარაღებისა და რეკონსტრუქციის შედეგად პროდუქციის გამოშვება 3-ჯერ გაზარდეს.

* კვების მრეწველობის ამუშავებით 1950 წელს, 1940 წელთან შედარებით, ხორცის მიწოდებამ მოსახლეობისთვის მოიმატა 4-ჯერ, ზეთის — 3-ჯერ, საპნის — 16-ჯერ, შაქრის ფხვნილის — 2-ჯერ, ზღვის პროდუქტების მიწოდება გაიზარდა 25%-ით, საკონდიტრო ნაწარმის — 25%-ით, რძის პროდუქტების — 30-%-ით, კონსერვების — 40%-ით.



პირველი ელექტროგამომთვლელი მანქანა სსრკ-ში. 1951 წელი



ობნინსკის ატომური ელექტროსადგური



ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პროდუქტი — ავტომობილი „კოლხიდა“

**პროდუქტების ლიმიტირებული გაცემა (ე.წ. კარტოჩკები) სსრკ-ში 1947 წელს მოიხსნა, ინგლისში კი, აშშ-ის უდიდესი დახმარების მიუხედავად, პროდუქტების ლიმიტირებული გაცემა მხოლოდ 1954 წელს გაუქმდა. ინგლისურმა გაზეთმა «ნეიშენელ ბიზნესმა» 1953 წელს გამოაქვეყნა სტატია სათაურით «რუსებმა გაგვასწრეს»**

## ენერგეტიკა

* რუსეთის იმპერიაში „შავი ოქროს“, ანუ **ქვანახშირის** მოპოვება შეადგენდა 29 მლნ ტონას, მათ შორის საზღვარგარეთ გაჰქონდათ 8 მლნ ტონა. ომის წინა, 1940 წელს, სსრკ აწარმოებდა 165 მლნ ტონა ქვანახშირს, 1950 წელს კი მოპოვებამ 261 მლნ ტონას მიაღწია.

* 1913 წელს მეფის რუსეთი მოიპოვებდა 10 მლნ ტონა ნავთობს. 1940 წელს სსრკ მოიპოვებდა 31 მლნ ტონას, ხოლო 1950 წელ მოპოვებამ 38 მლნ ტონას გადააჭარბა.

* 1913 წელს რუსეთი 17 მლნ კუბ. მ **ბუნებრივ აირს** მოიპოვებდა. ეს მოცულობა 1940 წელს სსრკ-მა 3,4 მლრდ კუბ. მ-მდე გაზარდა. ბუნებრივი აირის პირველი მაგისტრალი 1946 წელს გაიყვანეს სარატოვი-მოსკოვი, კოხტლა-იარველენინგრადი (1948 წელს), შემდეგ იყო სავა-კიევი-მოსკოვის (1951 წელს), კოხტლა-იარვე-ტალინის (1953 წელს). როგორც ჩანს, სტალინისთვის პრიორიტეტი იყო, ბუნებრივ აირი ჯერ საკუთარ ქვეყნისთვის მიეწოდებინა, შემდეგ — სხვებისთვის.

* თუ ქვეყანაში არ განვითარდება ელექტრო-ენერგეტიკული ბაზა, ოცნებაც კი არ შეიძლება ქვეყნის განვითარებაზე. სწორედ ამისთვის საბჭოეთმა შექმნა ქვეყნის ელექტროფიკაციის პირველი პრეცენდენტი. თუ რუსეთი 1913 წელს 2 მლრდ კვტ/სთ ელექტროენერგიას აწარმოებდა, 1940 წელს სსრკ-ში იწარმოებოდა 49 მლრდ კვტ/ სთ ელექტროენერგია, 1950 წელს კი მისი წარმოება 91 მლრდ კვტ/სთ-ით განისაზღვრა.

1949 წლის პლენუმზე სკკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა: „ათწლიანი გეგმა სსრკ-ის ელექრტოფიკაციის“ შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული იყო დიდი ელექტროსადგურების მშენებლობა აღმოსავლეთ რეგიონებში.

პირველი ატომური ელექტროსადგურის — **ობნინსკის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა 1951 წლის 1 იანვარს დაიწყო და 1954 წლის 27 ივნისს დასრულდა.**

## სოფელი

დიდმა სამამულო ომმა ყველაზე მეტად სოფელი და სოფლის მეურნეობა დააზარალა. სოფლიდან გავიდა ძირითადი მუშა ძალა, ასევე — გენოფონდი. სოფელმა დაკარგა ცხენი, ტრაქტორი, მანქანა და ყველა ის საშუალება, რომლებითაც შეეძლო ეშრომა და ეცოცხლა. **სტალინმა იცოდა სოფლის მდგომარეობა, რომელშიც ის ომმა ჩააგდო და 1946 წლის საშინელმა გვალვამ, ამიტომ ომის დამთავრების შემდეგ ქვეყნის პრიორიტეტად სოფელი და სოფლის მეურნეობა გამოაცხადა, რისთვისაც კოლოსალური თანხა გაილო — საერთო შემოსავლების 11,8 %.** დოტაციაზე აიყვანა 8400 მანქანა-ტრაქტორების სადგური (მტს), რომლებიც ტექნიკითა და კადრებით ემსახურებოდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. მტს-ის დირექტორი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ნომენკლატურა იყო, ამასთანავე, რაიკომებს დაემატა რაიკომის მდივნის ერთი საშტატო ერთეული, რომელიც კურატორობას უწევდა მხოლოდ მანქანა-ტრაქტორების სადგურებს. 1946-1950 წლებში სახნავმა ფართობებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით 20%-ით მოიმატა. ფაშისტებმა საბჭოთა კოლმეურნეობებიდან და მეურნეობებიდან გარეკეს 17 მლნ მსხვილფეხა პირუტყვი, 20 მლნ — ღორი, 27 მლნ — ცხვარი, 110 მლნ — ქათამი. 1950 წლისთვის ყველა კოლმეურნეობასა და მეურნეობაში მთლიანად იქნა აღდგენილი სულადობა. მთავრობისა და, კერძოდ, სტალინის განსაკუთრებული ყურადღების შედეგი იყო ის, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებამ 1950 წელს, 1940 წელთნ შედარებით, 2-ჯერ მოიმატა.

1940 წელს კოლმეურნეობისა და მეურნეობის ფულადი შემოსავალი 20 მლრდ მანეთს შეადგენდა, 1950 წელს კი შემოსავალმა 40 მლრდ მანეთს გადააჭარბა.

**გრიგოლ ონიანი**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

«წმინდა ტახტი»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვატიკანი მსხვილი მიწათმფლობელია, ამასთანავე, აქვს უამრავი კომპანიის აქციები. იტალიელი კარდინალები დაკავებულნი არიან ბირჟაზე სპეკულაციებით, მიწისა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით, გარიგებების დიდი ნაწილი აშშ-ის ბანკების გავლით ხორციელდება. ვატიკანის ბანკს დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა წარმოშობით ამერიკელი კარდინალი პოლ მარცინკუსი.**



# როგორ ათეთრებდნენ შავ ფულს რომის პაპის გარემოცვის წევრები

## ლონდონში მდებარე სასახლისა და ვატიკანის სხვა სკანდალები

**ვატიკანის პრესსამსახურის განცხადებით, ამ მინისახელმწიფოს ჟანდარმერიამ დააპატიმრა ბროკერი ჯანლუიჯი ტორცი, მას ბრალი ედება ფინანსურ და უძრავი ქონების მაქინაციებში, რომლებშიც მონაწილეობდა ვატიკანის სახელმწიფო სამდივნოს (მთავრობის) ზოგიერთი წევრი.**

**ჯანლუიჯი ტორცის** დაპატიმრების ორდენი გაიცა „ლონდონში უძრავი ქონების შეძენის გახმაურებული ისტორიის გამო, რომელშიც მონაწილეობდა ვატიკანის სახელმწიფო მდივნის ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი“. დაკავებულს ადანაშაულებენ გამოძალვაში, დატაცებაში, თაღლითობასა და ფულის გათეთრებაში.

გამოცემა La Stampa-ს მტკიცებით, ლონდონში ვატიკანის კუთვნილი სასახლის გაყიდვაში შუამავლის როლის შემსრულებელი **ჯანლუიჯი ტორცი დაკავებული იყო გამოძალვით და ცდილობდა „წმინდა ტახტისთვის“ 15 მილიონი ევრო წაეგლიჯა. ახლა მას 12-წლიანი პატიმრობა ელის. დაკავებული ბროკერი ამჟამად ვატიკანის ჟანდარმერიის ყაზარმაში იმყოფება.**

ეს სკანდალი 2019 წელს აგორდა, როცა ოქტომბერში ვატიკანის სახელმწიფო სამდივნოს ზოგიერთი ქვედანაყოფიდან და ფინანსური სამსახურიდან ამოიღეს დოკუმენტები. მოვალეობის შესრულებას ჩამოაშორეს რომის კურიის (რომის პაპის სასახლე და მას დამორჩილებული ცენტრალური და სასამართლო დაწესებულებები, რომელთა მეშვეობითაც იმართება რომის კათოლიკური ეკლესია) 5 გავლენიანი მაღალჩინოსანი. მიმდინარე წლის თებერვალში ვატიკანის ხელისუფლებამ დოკუმენტები და საინფორმაციო მოწყობილობები ამოიღო ვატიკანის კიდევ ერთი გავლენიანი უმაღლესი სასულიერო პირისგან — **ალბერტო პერლასკისგან.**

„ლონდონში მდებარე სასახლის გარშემო ატეხილი სკანდალი ფართოვდება. გუშინ დააპატიმრეს ტორცი, დღეს კი გავრცელდა ინფორმაცია შვეიცარიაში ვატიკანის ანგარიშების გაყინვის შესახებ, — წერდა 6 ივნისს იტალიური Il Ciornale — ამ ისტორიამ შეიძლება, შეძრას ვატიკანი... მაგრამ როლები, რომლებსაც თამაშობენ ამ საქმის მონაწილეები, ჯერჯერობით გაურკვეველია“.

აღსანიშნავია, რომ **ვატიკანი მსხვილი მიწათმფლობელია, ამასთანავე, აქვს უამრავი კომპანიის აქციები. იტალიელი კარდინალები დაკავებულნი არიან ბირჟაზე სპეკულაციებით, მიწისა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით, გარიგებების დიდი ნაწილი აშშ-ის ბანკების გავლით ხორციელდება.**

ვატიკანის ბანკს დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა წარმოშობით ამერიკელი კარდინალი **პოლ მარცინკუსი.** სადაც ბევრია ფული, იქ სკანდალიც ბევრია, **ვატიკანის ფინანსების გარშემო სკანდალი გამუდმებით გორდებოდა, მათგან ყველაზე ხმაურიანმა 1970-იან წლებში იტალია შეძრა, როცა ციხეში ჩასვეს ბანკირი მიკელე სინდონა, მას შემდეგ, რაც ჩაიძირა მისი ბანკი „ბანკა უნიონე“, რომლის აქციების ნაწილიც ვატიკანს ეკუთვნოდა.** ეჭვი მიიტანეს პოლ მარცინკუსზეც, რომ ის მაქინაციებში მონაწილეობდა. **პაპმა იოანე პავლე I-მა განკარგულება გასცა სკანდალის გამოძიების შესახებ, მაგრამ მალე უცნაურ გარემოებებში გარდაიცვალა. ინგლისელი ჟურნალისტი დევიდ იალოპი ამტკიცებდა, რომ პაპი მოწამლეს.**

მეორე ხმაურიანი სკანდალი დაკავშირებული იყო „ბანკო ამბროზიანოსთან“, იტალიის ერთ-ერთ დიდ ბანკთან, რომელშიც 1,4 მლრდ დოლარის დეფიციტი გაჩნდა. **რობერტო კალვი,** ბანკის ხელმძღვანელი და პოლ მარცინკუსის მეგობარი, ქვეყნიდან გაიქცა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ლონდონში, „შავი ბერების“ (ასე ჰქვია ინგლისში მოქმედ ერთ-ერთ მასონურ ლოჟას) ხიდის ქვეშ ჩამომხრჩვალი იპოვეს. გაკოტრებული ბანკის ძირითადი აქციონერი იყო ვატიკანი, რომელმაც მილიარდ დოლარამდე გადარიცხა ყალბი კომპანიების ანგარიშებზე.

**2009 წელს გამოქვეყნდა ჯანლუიჯი ნუცის წიგნი „შპს ვატიკანი“, რომელშიც ახსნილია ვატიკანის ბანკის მიერ შავი ფულის გადარიცხვის სქემები. წიგნში გამოაშკარავებულია საიდუმლო ანგარიშების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ათეთრებდნენ ფულს იტალიელი მაფიოზები, ბიზნესმენები და მაღალი დონის პოლიტიკოსები. შელახული რეპუტაციის აღსადგენად ვატიკანმა იმხანად მიიღო არაკანონიერი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კანონი.**

„წმინდა ტახტს“ (ეს წოდება ნამდვილად იმსახურებს ბრჭყალებს) ურტყამენ ვაშინგტონიდანაც. როგორც აშშ-ის პრეზიდენტ **ბარაკ ობამასთან** აფილირებული გამოცემა Monday Vatican-ი 2011 წელს წერდა, **ფირმა Jeff anderson and Associates**-მა ათასობით სარჩელი შეიტანა კათოლიკე მღვდელმთავრების წინააღმდეგ სხვადასხვა ქვეყანაში. მათ სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებდნენ. ფირმამ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში შეიტანა სარჩელი რომის პაპ ბენედიქტე XVI-ისა და რომის კათოლიკური ეკლესიის კიდევ 3 უმაღლესი ფუნქციონერის წინააღმდეგ. ფირმის საბრალდებო დოსიე 20 ათას გვერდს მოიცავდა. პაპ ბენედიქტეს მეორედ 2012 წელს შეუტიეს — ვატიკანის კონფიდენციალური დოკუმენტების მოპარვისთვის დააპატიმრეს პაპის სასახლის მსახური პაოლო გაბრიელე — ამ სკანდალის უკან იდგა თეთრი სახლის ინფორმაციისა და რეგულირების განყოფილების ხელმძღვანელი კას სანსტეინი — ბარაკ ობამას მთავარი იურიდიული მრჩეველი. სანსტეინს ეკუთვნის ფრაზა „არაბული გაზაფხულის შემდეგ ჩვენ ვატიკანის გაზაფხული გვექნება“.



ვატიკანის ბანკის შენობა



ვატიკანის ფინანსებს მრავალი წლის განმავლობაში მართავდა ამერიკელი კარდინალი პოლ მარცინკუსი

**ფირმა Jeff anderson and Associates-მა ათასობით სარჩელი შეიტანა კათოლიკე მღვდელმთავრების წინააღმდეგ სხვადასხვა ქვეყანაში. მათ სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებდნენ. ფირმამ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში შეიტანა სარჩელი რომის პაპ ბენედიქტე XVI-ისა და რომის კათოლიკური ეკლესიის კიდევ 3 უმაღლესი ფუნქციონერის წინააღმდეგ. ფირმის საბრალდებო დოსიე 20 ათას გვერდს მოიცავდა**



რომის პაპი ფრანცისკე

ამბობდნენ, რომ პაპ ბენედიქტე XVI-ზე თავდასხმის მიზეზი იყო მისი მხარდაჭერა ბრიქსის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკა) ქვეყნებისადმი მსოფლიო ფინანსური სისტემის რეორგანიზაციისა და საკუთარი საბანკო ანგარიშსწორების სისტემის შექმნის თაობაზე. 2013 წელს ბენედიქტე XVI იძულებული შეიქნა, ტახტზე უარი ეთქვა. სწორედ მაშინ გაიხსენეს იოანე პავლე I, რომელმაც 1978 წელს ტახტზე ასვლისთანავე დაიწყო ვატიკანის საფინანსო სტრუქტურის რეფორმირება, მაგრამ პონტიფიკოსობის დაწყებიდან 33-ე დღეს მოულოდნელად გარდაიცვალა.

2013 წელს რომის პაპის ტახტი ფრანცისკემ (არგენტინელი კარდინალი **ხორხე მარიო ბერგოლიო**) დაიკავა და მან პირობა დადო, რომ გაწმენდდა ვატიკანის ფინანსების ავგიას თავლას. თავის ერთ-ერთ პირველ გამოსვლაში ფრანცისკემ კათოლიკე მღვდელმსახურები სიხარბესა და პირფერობაში დაადანაშაულა. არც ერთ პონტიფიკოსს არ წარმოუთქვამს ასეთი მწვავე საბრალდებო სიტყვა. მიუხედავად ამისა, ვატიკანის გარშემო ხმაურიანი სკანდალები არ წყდება და არც შეწყდება: მომაკვდინებელ ცოდვებში ჩაძირული პაპის კურია ყოველთვის იქნება ეკლესიის მტრების სამიზნეში.

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

რისთვის სცემდნენ ადრე ამ გამოცემებს პატივს? ბევრი იმისთვის, რომ ისინი, გარკვეულწილად, იცავდნენ ჟურნალისტიკის ძირითად პრინციპს. სახელდობრ, იმას, რომ ფაქტები უნდა ყოფილიყო ფაქტები, თუმცა როგორ უნდა შეირჩეს საჭირო ფაქტები და დაიმალოს არასასიამოვნო — ეს თამაშები ბევრმა იცის; მიმომხილველთა და სხვა ავტორების აზრები კი უნდა იყოს მათი აზრები. თანაც, სასურველია, იყოს სხვადასხვა, ხოლო მკითხველმა თვითონ უნდა გამოიტანოს დასკვნები

მედიის კრახი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სიმართლე არ არის, ობიექტურობა მოკვდა

## ამერიკული მასმედიის კატასტროფა

**გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში“ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა ამერიკელი სენატორის, ტომ კოტონის, სტატია. რამდენიმე დღის წინათ კი, 8 ივნისს, თვალსაზრისის განყოფილების რედაქტორი — ჯეიმს ბენეტი, რომლის ხელშეწყობითაც ზემოაღნიშნული სტატია გამოქვეყნდა, გაზეთის კოლექტივმა აიძულა, რედაქცია დაეტოვებინა.**

რაზე წერდა რესპუბლიკელი სენატორი? უწინარესად, იმაზე, რომ, როდესაც დემოკრატიული პარტიის წევრების მიერ მართულ შტატებსა და ქალაქებში პოლიცია უძლურია, შეაჩეროს დარბევები, ძარცვა-გლეჯა და მაროდიორობა (იმიტომ, რომ ამის უფლებას ადგილობრივი ხელისუფლება არ აძლევს), იქ ჯარი უნდა შეიყვანონ.

**ქალაქ ნიუ-იორკს, რომელიც საშინლად დაარბია და გაანადგურა ბრბომ (რომელშიც შავკანიანებთან ერთად თეთრი ამერიკელებიც იყვნენ), სწორედ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები მართავენ. ზემოაღნიშნული გაზეთიც დემოკრატებს ეკუთვნით, ისე, როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ და კიდევ რამდენიმე ოდესღაც პატივსაცემი გამოცემა.**

რისთვის სცემდნენ ადრე ამ გამოცემებს პატივს? ბევრი იმისთვის, რომ ისინი გარკვეულწილად იცავდნენ ჟურნალისტიკის ძირითად პრინციპს.

სახელდობრ, იმას, რომ **ფაქტები უნდა ყოფილიყო ფაქტები**, თუმცა როგორ უნდა შეირჩეს საჭირო ფაქტები და დაიმალოს არასასიამოვნო — ეს თამაშები ბევრმა იცის; მიმომხილველთა და სხვა ავტორების აზრები კი უნდა იყოს მათი აზრები. თანაც, სასურველია, იყოს სხვადასხვა, ხოლო მკითხველმა თვითონ უნდა გამოიტანოს დასკვნები.

**ეს საბაზისო პრინციპია ჟურნალისტისთვის, თუმცა, როგორ იყენებდნენ ამ პრინციპს, სხვა საქმეა. ეს პრინციპი რატომღაც იდეალის სახით არსებობდა: ის ნიშნავდა, რომ არსებობს ისეთი რამ, როგორიც არის სიმართლე, იგივე რეალობა. მედიასაშუალებები არსებობს იმისთვის, რომ ეს სიმართლე მიიტანონ ნებისმიერ ადამიანამდე, მოსწონს თუ არა ის ჟურნალისტს, ანუ რეპორტიორი ვალდებულია, იყოს ობიექტური და თავისი იდეები მკითხველს (მაყურებელს) თავს არ მოახვიოს.**

რაც შეეხება იდეებს, ისინი ცალკე არიან. აზრთა სხვადასხვაობა ნებისმიერი ადამიანისთვის განათლების მიღების გაგრძელებაა: ცხოვრება რთულია, ადამიანები განსხვავდებიან, უნდა გაეცნო მათ იდეებს და გამოიმუშავო შენი. და ახლა **„ნიუ-იორკ თაიმსის“ ჟურნალისტები აღტაცებით ყვებიან, როგორ გაუსწორდნენ ჯეიმს ბენეტს. გაირკვა, რომ ყველაფერი დაიწყო 2014 წელს ფერგიუსონში მომხდარი დარბევებისა და ამბოხების პერიოდში. იქ იმხანად, აგრეთვე, პოლიციელმა მოკლა შავკანიანი მოქალაქე (ის, მინეაპოლისელი ჯორჯ ფლოიდისგან განსხვავებით, რეციდივისტი არ ყოფილა, არც ნარკომანი) და გაზეთში დაიწყო შავკანიანი რეპორტიორების ბუნტი — გაგვიშვით პოლიციელების სისასტიკისა და შავკანიანთა მრისხანების გასაშუქებლად. არ გაუშვეს, არ მისცეს ვითარების გამწვავების საშუალება, თუმცა რაც სურდათ, ყველაფერს აკეთებდნენ სოციალურ ქსელ „ტვიტერის“ მეშვეობით, ანუ ებრძოდნენ თავიანთ გამოცემას.**

ახლაც ანალოგიური რამ ხდება, ოღონდ 10-ჯერ უფრო დიდი მასშტაბით. ბენეტის დევნაში მონაწილეობდა გაზეთის ათასამდე თანამშრომელი და ამას ისინი თავიანთი რედაქტორების დავალებით არ აკეთებდნენ. „ნიუ-იორკ თაიმსი“ (The New York Times) **სულცბერგერების** დინასტიის კუთვნილებაა, მაგრამ გაზეთის წერილებიდან ჩანს, რომ სხვადასხვა ფერის კანის მქონე რეპორტიორებმა აიძულეს მფლობელები, არა მხოლოდ დაეთხოვათ ბენეტი, არამედ დაფიქრებულიყვნენ სარედაქციო პოლიტიკის ცვლილებაზე. აი სადამდე მივიდა იმ ადამიანების დევნა, რომლებიც საერთო აზრს არ ეთანხმებიან ან ნეიტრალურ პოზიციაზე არიან.

**ცვლილებები გაზეთში? მეტი ცვლილება რაღა უნდა იყოს — ეს ხომ დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიური შტაბია და ყოველდღე ცდილობს რესპუბლიკელების, მათი იდეოლოგიის განადგურებას, რაც პრეზიდენტად რესპუბლიკელ დონალდ ტრამპის არჩევისთანავე დაიწყო? ამ პროპაგანდისტული საშინელების წაკითხვა შეუძლებელია, თუმცა ზოგჯერ — ასიდან ერთ შემთხვევაში — სხვა ამერიკიდანაც ქვეყნდებოდა აზრი.**

და აი ტომ კოტონიც გამოჩნდა. საზოგადოდ, ის მმართველი პარტიის წარმომადგენელია, მაგრამ, როცა ამერიკის მეორე ნახევარი ისე ფიქრობს, როგორც კოტონი, დემოკრატებმა, სულ ცოტა, ოპონენტების არგუმენტები მაინც ხომ უნდა გაითვალისწინონ? თუმცა უკვე აღარ უნდათ, უფრო მეტიც — აღარ შეუძლიათ.

**ბენეტის საწინააღმდეგო ჟურნალისტურმა მოძრაობამ კი ეს ასე ახსნა: კოტონის თვალსაზრისის გამოქვეყნებამ „საფრთხე შეუქმნა გაზეთის თანამშრომლების სიცოცხლეს“ — გვცემენ. ეს მიუთითებს ორი ამერიკის ურთიერთსიძულვილზე. ისინი ცხოვრობენ ორ შეურიგებელ რეალობაში. ამ ორი რეალობიდან ერთში არ შეიძლება თქვა, რომ მინეაპოლისელი ფლოიდი „ანგელოზი არ იყო“, და ბევრი სხვა რამ. საშუალო პოზიცია არ გამოდის.**

გაზეთში ძალაუფლება ხელთ იგდეს დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერმა ჟურნალისტებმა და მათმა აუდიტორიამ. სხვათა შორის ანალოგიური რამ ხდება დემოკრატების სხვა წამყვან სამ გაზეთში, რომლებშიც ხმას აკმენდინებენ და ანადგურებენ ნებისმიერს, ვინც სიტყვას დაძრავს მიუკერძოებლობასა და ჭეშმარიტებაზე. თუმცა ისიც არავინ უნდა იფიქროს, რომ რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერ მედიაში სრული მიუკერძოებლობა და ჭეშმარიტების ძიებაა.







ჯეიმს ბენეტი


ტომ კოტონი

როდის დაიწყო ეს ყველაფერი? აი რა თქვა **გორდონ საუტერმა** — არხ CBS News-ის ყოფილმა ხელმძღვანელმა: „რაღაცის გაკეთება უკვე 35 წლის წინათ იყო გვიან. მედიასაშუალებები ან ერთ მხარეს იყვნენ, ან მეორე“.

„თქვენ ვისთან ხართ, კულტურის ოსტატებო?“ — ჰკითხა 1932 წელს **მაქსიმ გორკიმ** ამერიკელ ჟურნალისტებს მათი წერილის საპასუხოდ (ჩვენ ხომ ვთანხმდებით, რომ ჟურნალისტები, თუნდაც თეორიულად, კულტურის სფეროს მიეკუთვნებიან?!). ეს იყო ძალიან ჭკვიანური, ძალიან ძლიერი წერილი, რომლის წაკითხვაც ახლაც სასარგებლო იქნება: იქ ბევრი რამ არის ნათქვამი სიძულვილსა და შეურიგებლობაზე, ისევე, როგორც რასიზმზე მსოფლიოში.

გორკის ნათქვამის მთავარი აზრი, რომელიც სათაურში აისახა, იყო ასეთი: **„კლასობრივი მახასიათებლების მქონეთა გარდაუვალი ფიზიკური შეტაკების გარდა, პროლეტარიატის გამარჯვების გარდა, მსოფლიოს ვერაფერი გაათავისუფლებს სიძულვილისგან“. ინტელიგენტებმა, კულტურის ოსტატებმა უნდა გასცენ პასუხი კითხვას — ვისთან არიან? ისინი უნდა იყვნენ „კულტურის შავი მუშები სიცოცხლის ახალი ფორმების შესაქმნელად“.**

ეს სტატია შემდეგ არა აშშ-ში, არამედ სსრკ-ში კლასიკად იქცა მათთვის, ვინც ამბობდა: კულტურის ოსტატები, მათ შორის, ჟურნალისტები, ვალდებულნი არიან, ემსახურონ წინასწარ მოცემულ მართებულ იდეას. ისინი, ვინც ამას არ აკეთებს... „არამართებულ“ იდეებს 1930-იან წლებში, საუკეთესო შემთხვევაში, არ ამჩნევდნენ. **მედიასაშუალებების ობიექტურობა, სიმართლის ძიება? უკვე ნაპოვნია, სხვა რამ საჭირო არ არის. აი ამერიკაც მივიდა ამ წერტილამდე, ისე, რომ 100 წელიც არ გასულა.**

**გაზეთში ძალაუფლება ხელთ იგდეს დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერმა ჟურნალისტებმა და მათმა აუდიტორიამ. სხვათა შორის ანალოგიური რამ ხდება დემოკრატების სხვა წამყვან სამ გაზეთში, რომლებშიც ხმას აკმენდინებენ და ანადგურებენ ნებისმიერს, ვინც სიტყვას დაძრავს მიუკერძოებლობასა და ჭეშმარიტებაზე. თუმცა ისიც არავინ უნდა იფიქროს, რომ რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერ მედიაში სრული მიუკერძოებლობა და ჭეშმარიტების ძიებაა**

Ria.ru-ზე გამოქვეყნებული
დიმიტრი კოსირევის
მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

ბიო-ლაბორატორია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაც უნდა მოხდეს და ვინც უნდა გამოხატოს თავისი კრიტიკული პოზიცია ლუგარის ლაბორატორიის მიმართ, მის მცველად მყისვე გვევლინება აშშ-ის საელჩო. კიდევ ბევრი ფაქტია, რომელთა მიხედვით, ზუსტად ამერიკის შეერთებული შტატებია ლაბორატორიის რეალური მმართველი, მაგრამ ყველაზე უტყუარი ფაქტი 350-მილიონიანი ამერიკული ინვესტიციაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მივდივართ დასკვნამდე, რომ ვაშინგტონი ლუგარის ლაბორატორიის მეშვეობით, დიდი ალბათობით, საქართველოში ატარებს საიდუმლო და სახიფათო ექსპერიმენტებს, ხოლო პასუხისმგებლობას საქართველოს მთავრობას აკისრებს.**

# რამდენიმე კითხვა ლუგარის ლაბორატორიაზე

**მსოფლიოში კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის ფონზე უამრავი სენსაციური ინფორმაცია ვრცელდება, მაგალითად, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის არაკომპეტენტურობაზე, ბილ გეიტსის თაოსნობით მასობრივ სასიკვდილო ვაქცინაციაზე და ა.შ. ამიტომ აუცილებელია, გავერკვეთ, რა ხდება მსოფლიოში. ქართველი საზოგადოებისთვის კი, ალბათ, ყველაზე საინტერესო იქნება იმის გარკვევა, რა ხდება თბილისთან ახლოს მდებარე ლუგარის ლაბორატორიაში, რომლის მიმართაც უამრავი პასუხგაუცემელი კითხვაა. ზუსტად ამიტომ გადავწყვიტე, კიდევ ერთი ვრცელი სტატია მივუძღვნა ლუგარის ცენტრს და ვუპასუხო იმ კითხვებს, რომლებიც ყველაზე აქტუალურია:**

**კითხვა პირველი — რა მიზნით და ვისი კურატორობით აშენდა ლუგარის ლაბორატორია?**

— რამდენიმე კვირის წინათ **ამირან გამყრელიძემ** ლუგარის ლაბორატორიაზე გამოაქვეყნა დეტალური ინფორმაცია, რომლის მიხედვით, ბიოლოგიური ცენტრი არ არის მხოლოდ ერთი ლაბორატორია, ის არის ნაწილი ქვეყნის ლაბორატორიული ზედამხედველობის სისტემისა, რომელშიც შედის სხვადასხვა მასშტაბისა და ზომის 22 ლაბორატორია. მათგან 12 ექვემდებარება სოფლის მეურნეობის სამინისტროს, 10 — დაავადებათა კონტროლის ცენტრს. უფრო საინტერესოა ისტორია, რომლის მიხედვითაც, ამერიკელი კონგრესმენების ინიციატივით დაიგეგმა ლაბორატორიის მშენებლობა, ვითომდა რეგიონის ბიოუსაფრთხოებისთვის, რისთვისაც აშშ-მა 350 მილიონი დოლარი გამოყო. **ნუთუ მართლა კეთილშობილური მიზეზი ამოძრავებს აშშ-ს და გვიშენებს უმაღლესი სტანდარტების ლაბორატორიას, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოჰყავს სპეციალისტები და „უანგაროდ“ ზრუნავს ქართველი ხალხის ჯანმრთელობაზე? ალბათ, არც ისე გულუბრყვილოები ვართ, რომ მსგავსი სისულელე დავიჯეროთ. სამწუხაროდ, დღევანდელი მსოფლიო არ არის ასეთი გულუხვი და მსგავს კეთილშობილურ „საჩუქარს“ არავინ არავისთვის იმეტებს.** ლუგარის ლაბორატორიის მსგავსი ბიოლაბორატორიები, რომლებშიც ინახება ძალიან სახიფათო პათოგენები და ვირუსები, თვით აშშ-ის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არ შენდება, რადგან დიდია ვირუსის გაჟონვის რისკი. ასევე არის სხვა მიზეზებიც, რომლებზეც ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ.

ვისი კურატორობითა და სურვილით აშენდა ლაბორატორია, ალბათ, მისახვედრია, მაგრამ გაუგებარია, რეალურად რისთვის აშენდა და რა მიზნით. გადავიდეთ შემდეგ კითხვაზე.

**კითხვა მეორე — ტარდება თუ არა საეჭვო ცდები ლუგარის ლაპორატორიაში?**

— არსებობს უამრავი ვერსია, რომ ლუგარში ტარდება ექსპერიმენტები, რომელთა შესახებაც საზოგადოებას ძალიან მცირე ინფორმაცია აქვს. მაგალითად, ამერიკელი ჟურნალისტი **ჯეფრი სილვერმანი,** რომელიც, დიდი ხანია, აკვირდება და იკვლევს მსგავს ლაბორატორიებს, აცხადებს: **„ეს ყველაფერი ბიოლოგიური იარაღის ამკრძალავი კონვენციის გვერდის ავლის მიზნით კეთდება. აშშ-ს არ აქვს უფლება, განაგრძოს სახიფათო ბიოაგენტების (ნივთიერებების) კვლევა, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ იარაღად. ბიოლოგიური იარაღის შესახებ კონვენცია საკანონმდებლო ქარტიაა, რომელიც კრძალავს ბიოლოგიურ იარაღს, მის გამოყენებასა და ცდების ჩატარებას ადამიანებზე. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ადამიანებსა და ცხოველებზე სახიფათო ექსპერიმენტებს ატარებენ. თბილისის ლაბორატორიაში ამზადებენ ციმბირის წყლულს, შავ ჭირს და ე.წ. ღორის გრიპს. და, თუ მოხდება უბედური შემთხვევა, საქართველოს სერიოზული საფრთხე დაემუქრება“** (ციტატა მისი ინტერვიუდან).

**კითხვა მესამე — რეალურად ვინ აკონტროლებს ლუგარის ლაბორატორიას?**

— როდესაც ქვეყნის ტერიტორიაზე მსგავსი ლაბორატორია არსებობს და მის გარშემო ამდენი პასუხგაუცემელი კითხვაა, ბუნებრივია, უნდა ვიცოდეთ, ვის საკუთრებაშია ის და რეალურად ვინ არის პასუხისმგებელი ლაბორატორიის ფუნქციონირებასა და მისგან გამომდინარე შესაძლო საფრთხეებზე.

ზემოთ უკვე მოვიყვანეთ ციტატა ამირან გამყრელიძის განცხადებიდან, რომლის მიხედვით, ლუგარის ლაბორატორია ჯანდაცვის სამინისტროს ექვემდებარება, მაგრამ საკითხავი ის არის, მართლაც ექვემდებარება ჯანდაცვის სამინისტროს თუ ეს, უბრალოდ, ფორმალობაა, რეალური კურატორი კი აშშ-ის ერთ-ერთი სახელმწიფო სტრუქტურაა? ალბათ, მეორე მოსაზრება უფრო ახლოს არის სიმართლესთან და ამის ფაქტებიც საკმარისზე მეტია. აი ისიც: საქართველოს პარლამენტის წევრმა **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა: **„ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებული იქნება ამერიკელ პარტნიორებთან კონსულტაციების საფუძველზე“.** აღსანიშნავია ისიც, რომ, რაც უნდა მოხდეს და ვინც უნდა გამოხატოს თავისი კრიტიკული პოზიცია ლუგარის ლაბორატორიის მიმართ, მის


გიორგი ირემაძე

მცველად მყისვე გვევლინება აშშ-ის საელჩო. კიდევ ბევრი ფაქტია, რომელთა მიხედვით, ზუსტად ამერიკის შეერთებული შტატებია ლაბორატორიის რეალური მმართველი, მაგრამ ყველაზე უტყუარი ფაქტი 350-მილიონიანი ამერიკული ინვესტიციაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მივდივართ დასკვნამდე, რომ ვაშინგტონი ლუგარის ლაბორატორიის მეშვეობით, დიდი ალბათობით, საქართველოში ატარებს საიდუმლო და სახიფათო ექსპერიმენტებს, ხოლო პასუხისმგებლობას საქართველოს მთავრობას აკისრებს.

**კითხვა მეოთხე — რამდენად უსაფრთხოა ლუგარის ლაბორატორიის არსებობა „ალექსეევკის“ დასახლებისთვის, რომლის გვერდითაც მდებარეობს ლაბორატორია?**

— გარდა იმისა, რომ არსებობს ვარაუდები და არაპირდაპირი ფაქტები, რომელთა მიხედვით დასახლებულ პუნქტთან ლუგარის ლაბორატორიის არსებობა სახიფათო და ზიანის მომტანია მოსახლეობისთვის, ამის დამადასტურებელი პირდაპირი ფაქტებიც საკმარისზე მეტია. ამ თემაზე „პატრიოტი ტვ“-ზე ჯერ კიდევ 2018 წელს გავიდა ვრცელი სიუჟეტი, რომლის ნახვის შემდეგაც დარწმუნდებით, რომ ეს მართლაც ასეა. **ცნობისთვის:** სიუჟეტი, გარდა „იუთუბისა“, სხვა ინტერნეტრესურსზეც გამოქვეყნდა, მათ შორის სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ და საერთო ნახვის რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება მართლაც დაინტერესებულია, რა ხდება ლუგარში.

**მსგავსი ლაბორატორიების მუშაობა მსოფლიოში უმკაცრესად კონტროლდება, მაგრამ ლუგარის ცენტრის შემთხვევაში საფუძვლიანი ინსპექტირება რატომღაც არ ტარდება. ლაბორატორიის ხელმძღვანელობას, ალბათ, კარგად ესმის, რომ აუცილებელია მსოფლიო დონის ორგანიზაციების მოწვევა და ლაბორატორიის საფუძვლიანი შემოწმება, რათა ყველა კითხვას პასუხი გაეცეს და იმედია, ასეც იქნება**

**კითხვა მეხუთე — ლუგარის ლაბორატორია, წლებია, არსებობს, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც კომპეტენტურები არიან ბიოლაბორატორიების სფეროში, არც ერთხელ საფუძვლიანად არ შეუმოწმებიათ ის. რა არის ამის მიზეზი?**

— ეს, ალბათ, ყველაზე ლოგიკური კითხვაა. მსგავსი ლაბორატორიების მუშაობა მსოფლიოში უმკაცრესად კონტროლდება, მაგრამ ლუგარის ცენტრის შემთხვევაში საფუძვლიანი ინსპექტირება რატომღაც არ ტარდება. ლაბორატორიის ხელმძღვანელობას, ალბათ, კარგად ესმის, რომ აუცილებელია მსოფლიო დონის ორგანიზაციების მოწვევა და ლაბორატორიის საფუძვლიანი შემოწმება, რათა ყველა კითხვას პასუხი გაეცეს და იმედია, ასეც იქნება.






**კითხვა მეექვსე — რამდენად უსაფრთხოა ლუგარის ცენტრის შენობა და რატომ აშენდა ის აეროპორტთან ახლოს?**

— ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ისევ მოვიყვან ამერიკელი ჟურნალისტის, ჯეფრი სილვერმანის, ციტატას: **„ლუგარის ლაბორატორია აეროპორტთან ახლოსაა. ვირუსების გადატანას სხვადასხვა ობიექტზე იქიდან დიდი დრო არ დასჭირდება“.** შენობის უსაფრთხოებაზე სილვერმანი ამბობს: „შენობა რამდეჯერმე გადააკეთეს. კომპანია „ბეჩტელ ნეიშენალმა“, რომელიც დაკავშირებულია აშშ-ის ყოფილ ვიცეპრეზიდენტ **დიკ ჩეინისთან,** ქვეკონტრაქტორად დაიქირავა თურქული კომპანია, რათა სამუშაო მასალების ეკონომია გაეკეთებინა. თურქებმა კი ძალიან უხარისხოდ შეასრულეს სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ ამით ყველამ დიდძალი ფული იშოვა...“

▶

# როგორ გააგრძელებს ურთიერთობას ლუგარის ცენტრი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან ტრამპის განცხადების შემდეგ? ვისი რეკომენდაციებით იხელმძღვანელებს ბიოლაბორატორია მომავალში, მით უმეტეს პანდემიის ფონზე, და იქნება თუ არა ეს ცენტრი მასობრივი ვაქცინაციის ლობისტი, რაზეც ბევრი საუბრობენ და მასში ხიფათს ხედავენ?

ბიო-ლაბორატორია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კითხვა მეშვიდე — რამდენად კომპეტენტურია ლუგარის ლაბორატორიის ხელმძღვანელობა?**

— როგორც ცნობილია, ლუგარის ცენტრის ხელმძღვანელია **პაატა იმნაძე**, რომელიც არაადეკვატური განცხადებებით გამოირჩევა. საზოგადოებას კარგად ახსოვს, პანდემიის პიკის დროს მისი დამზაფრავი პროგნოზი: **„იტალია განმეორდება! ვეღარ დავითვლით კუბოებს! ეს გინდათ?!“.** მის კომპეტენციაზე რამდენიმე ფაქტიც საკმარისია: ცოტა ხნის წინათ ის ამბობდა, რომ საჭიროა, მასობრივად ჩატარდეს გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია; აგრეთვე, მისი თქმით, შემოდგომიდან პანდემიის მეორე ძლიერი ტალღა იქნება. ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოში მეცნიერებს ჯერ კიდევ ვერ გაურკვევიათ, რა ვირუსთან გვაქვს საქმე, არ შეუქმნიათ სამკურნალო პრეპარატი, არავინ იცის, როდემდე გაგრძელდება ან როდის დასრულდება ეს ყველაფერი, პაატა იმნაძე კი მოგვიწოდებს გრიპის საწინააღმდეგო საყოველთაო ვაქცინაციისკენ, პარალელურად აკეთებს პროგნოზებს და წინასწარ ქმნის მოლოდინებს... ცოტა ხნის წინათ საინტერესო ფოტო გავრცელდა სოციალურ ქსელში — ლუგარის ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების ფოტო, რომელზეც ასახული არიან ლაბორატორიის ეზოში ხის ნერგების დარგვის შემდეგ ამირან გამყრელიძე, პაატა იმნაძე და სხვა ექიმები დისტანციის დაცვისა და პირბადეების გარეშე. ამ ფოტოს გამოხმაურება მოყვა და ლოგიკური კითხვებიც გაუჩნდა ხალხს — **თვითონ ექიმები რატომ არ იცავენ იმ რეკომენდაციებს, რომლებსაც მოსახლეობისგან ითხოვენ?**

**კითხვა მერვე — რა ზეგავლენა აქვს ლუგარის ლაბორატორიაზე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას და რა კავშირი აქვს აღნიშნულ ლაბორატორიას რეგიონში მოქმედ მსგავს ლაბორატორიებთან, რომლებიც, ასევე, ამერიკელებმა ააშენეს?**

— მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, რომლის რეკომენდაციითაც მოქმედებს ლუგარის ლაბორატორია, ცოტა ხნის წინათ კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა აშშ-ის პრეზიდენტ **დონალდ ტრამპის** მხრიდან, რომელმაც განაცხადა, რომ ეს ორგანიზაცია არ ასრულებს თავის მოვალეობას, არ ატარებს საჭირო რეფორმებს და არაკომპეტენტურია, რის გამოც აშშ-მა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან ურთიერთობა განწყვიტა. საქართველო კი აშშ-ის სტრატეგიულ პარტნიორად ითვლება, ამიტომ საინტერესოა, **როგორ გააგრძელებს ურთიერთობას ლუგარის ცენტრი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან ტრამპის განცხადების შემდეგ; ვისი რეკომენდაციებით იხელმძღვანელებს ბიოლაბორატორია მომავალში, მით უმეტეს პანდემიის ფონზე, და იქნება თუ არა ეს ცენტრი მასობრივი ვაქცინაციის ლობისტი, რაზეც ბევრს საუბრობენ და მასში ხიფათს ხედავენ?** გარდა იმისა, რომ ამერიკელები ლუგარის ცენტრის საშუალებით საქართველოში აკონტროლებენ 22 ლაბორატორიას, აშშ-მა მსგავსი ლაბორატორიები ააშენა სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში და ა.შ. ანუ ვაშინგტონს ბიოლაბორატორიების ქსელი აქვს, რომელიც, დიდი ალბათობით, ფუნქციონირებს, როგორც ერთი სისტემა, და ამ ლაბორატორიებში ტარდება თვით აშშ-ში აკრძალული საიდუმლო ექსპერიმენტები. ამ საკითხზე ერთ-ერთმა გამოცემამ ძალიან საინტერესო სიუჟეტი გამოაქვეყნა. ამ სიუჟეტში სომეხი ექსპერტები ამხელენ აშშ-ის ბიოლაბორატორიების ქსელს, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საიდუმლო ექსპერიმენტების ჩასატარებლად აშენდა და ხიფათს უქმნის რეგიონის ბიოუსაფრთხოებას. იხილეთ ვიდეო: https://youtu.be/DQftIdBzST0

**ნუთუ მართლა კეთილშობილური მიზნები ამოძრავებს აშშ-ს და გვიშენებს უმაღლესი სტანდარტების ლაბორატორიას, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოჰყავს სპეციალისტები და «უანგაროდ» ზრუნავს ქართველი ხალხის ჯანმრთელობაზე? ალბათ, არც ისე გულუბრყვილონი ვართ, რომ მსგავსი სისულელე დავიჯეროთ. სამწუხაროდ, დღევანდელი მსოფლიო არ არის ასეთი გულუხვი და მსგავს კეთილშობილურ «საჩუქარს» არავინ არავისთვის იმეტებს. ლუგარის ლაბორატორიის მსგავსი ბიოლაბორატორიები, რომლებშიც ინახება ძალიან სახიფათო პათოგენები და ვირუსები, თვით აშშ-ის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არ შენდება, რადგან დიდია ვირუსის გაჟონვის რისკი. ასევე არის სხვა მიზეზებიც, რომლებზეც ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ**



ლუგარის ლაბორატორიის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

**კითხვა მეცხრე — ჩართულია თუ არა ლუგარის ლაბორატორია ბილ გეითსის ვაქცინაციის პროგრამაში?**

— ეს ძალიან საინტერესო კითხვაა, რომელიც წინა კითხვიდან გამომდინარეობს.

**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, როგორც ცნობილია, პირდაპირ უკავშირდება ბილ გეითსის ფონდს, რომელიც დაკავებულია ვაქცინის შექმნით მასობრივი ვაქცინაციისთვის. ცნობისთვის: ბილ გეითსს ტელევიზიით არაერთხელ განუცხადებია, რომ, რადგან მსოფლიო მოსახლეობა კრიტიკულად არის გაზრდილი, საჭიროა ადამიანის პოპულაციის შემცირება და ამისთვის უნდა გამოიყენებოდეს მასობრივი ვაქცინაცია. ლუგარის ცენტრი კი პირდაპირ არის დაკავშირებული მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან და ბილ გეითსის ფონდთან, რომლის ნებას გვაცნობს ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე და საზოგადოებას მოუწოდებს მასობრივი ვაქცინაციისკენ. ვაქცინა კი რას შეიცავს, არავინ იცის და არსად მოწმდება.**

**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, როგორც ცნობილია, პირდაპირ უკავშირდება ბილ გეითსის ფონდს, რომელიც დაკავებულია ვაქცინის შექმნით მასობრივი ვაქცინაციისთვის. ცნობისთვის: ბილ გეითსს ტელევიზიით არაერთხელ განუცხადებია, რომ, რადგან მსოფლიო მოსახლეობა კრიტიკულად არის გაზრდილი, საჭიროა ადამიანის პოპულაციის შემცირება და ამისთვის უნდა გამოიყენებოდეს მასობრივი ვაქცინაცია. ლუგარის ცენტრი კი პირდაპირ არის დაკავშირებული მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან და ბილ გეითსის ფონდთან, რომლის ნებას გვაცნობს ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე და საზოგადოებას მოუწოდებს მასობრივი ვაქცინაციისკენ. ვაქცინა კი რას შეიცავს, არავინ იცის და არსად მოწმდება**





**«ეს ყველაფერი ბიოლოგიური იარაღის ამკრძალავი კონვენციის გვერდის ავლის მიზნით კეთდება. აშშ-ს არ აქვს უფლება, განაგრძოს სახიფათო ბიოაგენტების (ნივთიერებების) კვლევა, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ იარაღად. ბიოლოგიური იარაღის შესახებ კონვენცია საკანონმდებლო ქარტიაა, რომელიც კრძალავს ბიოლოგიურ იარაღს, მის გამოყენებასა და ცდების ჩატარებას ადამიანებზე. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ადამიანებსა და ცხოველებზე სახიფათო ექსპერიმენტებს ატარებენ. თბილისის ლაბორატორიაში ამზადებენ ციმბირის წყლულს, შავ ჭირს და ე.წ. ღორის გრიპს. და, თუ მოხდება უბედური შემთხვევა, საქართველოს სერიოზული საფრთხე დაემუქრება»**

**კითხვა მეათე — რა არის საჭირო იმისათვის, რომ ლუგარის ლაბორატორია არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ ფაქტობრივად გადავიდეს ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში?**

— როდესაც საზოგადოება გაერკვევა, რასთან გვაქვს საქმე, ვფიქრობ, აუცილებელია, დადგეს საკითხი, რაც შეიძლება მოკლე ვადაში ლუგარის ცენტრი საქართველოს მთავრობის კონტროლს დაექვემდებაროს. ის უნდა ემსახურებოდეს საქართველოს ინტერესებს და არ უნდა იყოს აშშ-ის რომელიმე სტრუქტურას დაქვემდებარებული ობიექტი, რომელიც საშიშია ქვეყნის ბიოლოგიური უსაფრთხოებისთვის.

იმედია, საზოგადოებაში დასმულ კითხვებს პასუხი გაეცემა და შესაბამისი რეაგირება მოჰყვება საქართველოს მთავრობისგან, რომელიც მოსახლეობის ინტერესების დამცველი და უსაფრთხოების გარანტი უნდა იყოს.

**გიორგი ირემაძე,**
**საინფორმაციო სააგენტო „პატრიოტის“ მთავარი რედაქტორი**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## ამერიკელ ქალს 155-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს ხუთი წლის გოგონას გაუპატიურებისთვის

**ქალი მას შემდეგ დააპატიმრეს, რაც მან ვიდეოფირზე გადაღებული დანაშაული თავის მეგობრებს გაუგზავნა.**

დასავლეთ ვირჯინიის შტატის ქალაქ პრინსტონის მცხოვრებ 43 წლის **ელიზაბეთ ჰოუეის** 155 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს თავისი გოგონას გაუპატიურების გამო. იმ მომენტში გოგონა ხუთი წლისა იყო, — იუწყება Mirror.

გამოცემის ცნობით, ჩადენილი დანაშაულის შესახებ პოლიციას აცნობა „ფეისბუკის" მომხმარებელმა, რომელმაც, ამასთანავე, სამართალდამცველებს გაუგზავნა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილია ზრდასრული ქალის მიერ პატარა გოგონაზე სექსუალური ძალადობის სცენა. დაიწყო გამოძიება, პოლიციელები მიჰყვნენ ციფრულ კვალს და მიადგნენ დამნაშავეს.

მიუხედავად იმისა, რომ გადაღებულ კადრებში ქალის სახე არ ჩანს, დეტექტივმა **სტივ სომერსმა** შეძლო დაედგინა, რომ ვიდეოჩანაწერი ქალის სააბაზანოშია გაკეთებული, ხოლო მისი ტატუები ზუსტად ემთხვევა ელიზაბეთ ჰოუეის ტატუებს, რომლებიც ვიდეოზეა აღბეჭდილი.

— ამ ბავშვმა დაკარგა უბიწოება, რომლის აღდგენა ან ჩანაცვლება ყოვლად წარმოუდგენელია. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი დანაშაული, რომელიც ჩემი 30-წლიანი კარიერის განმავლობაში მინახავს, — განაცხადა მოსმენების დროს პროკურორმა **ჯორჯ სითლერმა** და ქალისთვის მაქსიმალური სასჯელი მოითხოვა.

ჰოუეის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. შეწყალების თხოვნა მას მხოლოდ 45 წლის შემდეგ შეეძლება. იმ დროისთვის მას 88 წელი შეუსრულდება.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## უკრაინა. აწყვეტილი პედერასტები ეკლესიას უკრძალავენ სოდომელთა გამოსწორებას



უკრაინის ლგბტ თემს სურს, აუკრძალოს ეკლესიას, დაეხმაროს ჰომოსექსუალებს, რომლებსაც ბუნებრივი სქესის დაბრუნება უნდათ.

უკრაინის „ფრიდომ ჰაუსის" ორგანიზაციის „ფეისბუკგვერდზე" გამოქვეყნებულია განცხადება, რომ ისინი იკვლევენ საკითხს, რა მასშტაბით არის გავრცელებული უკრაინაში კონვერსიული თერაპია, რომელიც მიზნად ისახავს ლგბტ ადამიანების სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტურობის შეცვლას ჰეტეროსექსუალურზე.

იგულისხმება თერაპია, რომლის დროსაც ექიმები ან რელიგიური ორგანიზაციები ჰომოსექსუალებს სულიერად ან ფსიქოლოგიურად ეხმარებიან ბუნებრივი სქესის (ჰეტეროსექსუალობა) დაბრუნებაში.

**აწყვეტილი პედერასტები, ერთი მხრივ, მოითხოვენ, რომ სკოლებში ბავშვებს მისცენ სექსუალური განათლება და პროპაგანდა გაუწიონ ერთი და იმავე სქესი პირთა შორის ურთიერთობას; მეორე მხრივ, ადამიანს, რომელიც ჰომოსექსუალი გახდა, აუკრძალონ ბუნებრივი სქესის დაბრუნება.**

## აშშ-ში კუ-კლუს-კლანელი ავტომანქანით შეიჭრა საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილეთა რიგებში



**ვირჯინიის შტატის ჰენრაიკოს ოლქის პოლიციამ დააკავა მამაკაცი, რომელსაც ბრალად წაუყენა საპროტესტო მიტინგის დროს ადამიანების ჯგუფში წინასწარგანზრახვით შეჭრა. დაკავებული ჰარი როჯერსი კუ-კლუკს-კლანელთა ლიდერი აღმოჩნდა.**



პოლიციის აზრით, ბრალდებული საჭეს მიუჯდა და წინასწარგანზრახვით შეიჭრა ადამიანების ჯგუფში, რომლებიც შეკრებილნი იყვნენ რასიზმის წინააღმდეგ გამართულ მიტინგში მონაწილეობისთვის. მანქანასის დაჯახების გამო დაშავდა ერთი ადამიანი. მას მედიკოსებმა ადგილზევე აღმოუჩინეს დახმარება, ჰოსპიტალიზაცია არ დასჭირვებია. როჯერსი პოლიციის უბანში მიიყვანეს და მთელი რიგი ბრალდებებისა წაუყენეს: თავდასხმა ჯანმრთელობის შერყევის გზით, ბოროტგანზრახვით თავდასხმა, ასევე, ვანდალიზმი. 36 წლის მამაკაცის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

„კიდევ კარგი, რომ მსხვერპლის ჭრილობები სერიოზული არ აღმოჩნდა, მშვიდობიან დემონსტრანტებზე თავდასხმა საზიზღრობაა, ჩვენ კვლავაც დავსჯით კანონის მთელი სიმკაცრით მსგავსი ქმედების ჩამდენს", — განუცხადა ტელეარხ „360"-ს პროკურორმა **შენონ ტეილორმა.**

პროკურორის ცნობით, როჯერსის კუ-კლუკს-კლანელობა დადგინდა მისი პირადი აღიარებით, ასევე, მისი აქაუნტების შესწავლით სოციალურ ქსელებში. ამჟამად წყდება მისთვის ბრალდების წაყენების საკითხი ფორმულირებით — დანაშაულის ჩადენა სიძულვილის ნიადაგზე.

მსგავსი ინციდენტი მოხდა სიეტლშიც. იქ მამაკაცი დემონსტრანტებში მანქანით შეიჭრა, შემდეგ კი გაისროლა.

## აშშ-ში გახსნეს 50 წლისწინანდელი მკვლელობა გაუპატიურებით





**ამერიკის კოლორადოს შტატში პოლიციელებმა გახსნეს სასტიკი მკვლელობა. სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა უცნობმა პირმა შორეულ 1970 წელს, მაგრამ გამოძიების დამთავრების მომენტში მკვლელი გარდაცვლილი აღმოჩნდა, — იუწყება CBS Denver.**

დადგინდა, რომ 1970 წლის 8 მარტს 23 წლის **ბეთი ლი ჯონსი** წაეჩხუბა ქმარს თავისი სახლის წინ. ინციდენტის შემდეგ ქმარი იქაურობას გაეცალა. ქალმა გააჩერა ცისფერი „სედანი" და ქმარს დაედევნა. ამის შემდეგ ქალი ცოცხალი არავის უნახავს. გარკვეული დროის შემდეგ ქალაქ დენვერის საზღვარზე იპოვეს მისი გაკოჭილი გვამი გაუპატიურების ნიშნებით. ბოროტმოქმედი ჯერ შეეცადა მსხვერპლის დახრჩობას, შემდეგ ესროლა და მოკლა. ეს საქმე წლების განმავლობაში გაუხსნელი საქმეების ჩამონათვალში იყო შეტანილი. 2006 წელს ჩაატარეს გვამის ექსჰუმაცია და ცხედარზე შესაძლო მკვლელის დნმ-ის კვალი იპოვეს. ექსპერტებმა შეადგინეს გენეალოგიური ხე და გამოთვალეს, რომ მკვლელობა ჩაიდინა **პოლ ლეროი მარტინმა,** რომელიც 2019 წელს გარდაიცვალა.

**„მარტინისა და ბეთი ლი ჯონსონს შორის შესაძლო კავშირის შესახებ არაფერია ცნობილი. მისი სახელი მითითებული არ არის არც ერთ პოლიციურ დოკუმენტში, მაგრამ, მისი ძმის განცხადებით, მარტინს ცისფერი „სედანი" მართლაც ჰყავდა",** — ნათქვამია წერილში.

გამომძიებლებმა განაცხადეს, არსებულ მტკიცებულებათა და დნმ-ის ანალიზზე დაყრდნობით, რომლებიც მოპოვებული იყო გამოძიების დროს, მკვლელობაში ბრალდებულს აუცილებლად მოსთხოვდნენ პასუხს, ცოცხალი რომ ყოფილიყო.




**ფლოიდს დარჩა მიმდევრები. მისი საქმე ცოცხლობს და ვითარდება. ჯორჯ ფლოიდის პატივისცემის ნიშნად, ამერიკის იმ შტატებში, რომლებსაც დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ, მასობრივი ძარცვა და ძალადობა დაიწყო. დანგრეულია ქალაქების, მათ შორის, ნიუ-იორკისა და ლოს-ანჟელესის, ულამაზესი რაიონები; მოკლეს 89 პოლიციელი, გააუპატიურეს 17 წლის გოგონა, დაწვეს პოლიციის (არა მხოლოდ) მანქანები, განადგურებულია ქუჩები, მოედნები, სკვერები, კისერი მოუგრიხეს ქალაქის პარკების წყალსატევებში მშვიდად მცურავ გედებს...**

ამერიკის «სინათლის სხივი»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თანამედროვე ამერიკის გმირი

## რეციდივისტი ოქროს კუბოში, როგორც აშშ-ის სიმბოლო

**პლანეტის ზემძლავრი სახელმწიფო ორი კვირის განმავლობაში გლოვობდა თავის საუკეთესო შვილს. ასე პრეზიდენტებიც კი არ დაუსაფლავებიათ. ოქროს კუბო, ასიათასობით დამწუხრებული და აქვითინებული, ზოგიერთ შტატში ათასობით მუხლმოყრილი იდიოტი პატიებას სთხოვდა შავკანიან მოსახლეობას.**

ამერიკის პატივსაცემ მოქალაქეთა შორის უპატივცემულესის კუბოს ჩაბღაუჭებული (მწუხარებისგან რომ არ წაქცეულიყო) მინეაპოლისის მერი ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებდა (ალბათ, ოსკარის მიღება სურს). მის ქვითინს არღვევდა შეძახილები: „მაპატიეეე"... ცრემლი ახრჩობდა მოკლულის ყოფილ ცოლს, რომელმაც ქმარყოფილი ბოლოს 6 წლის წინათ ნახა, როცა 3 თვის შვილთან ერთად მიატოვა. ამ ხნის განმავლობაში კი შვილისთვის ცენტიც არ გაუგზავნია, მაგრამ უბედური ქვრივი ერთი კვირის განმავლობაში გაჰყვიროდა, რომ მარჩენალის გარეშე დარჩა. გულჩვილმა ამერიკელებმა მას 20 მლნ დოლარი შეუგროვეს. თანხის შეგროვება კვლავ გრძელდება.

მასაჩუსეტსის უნივერსიტეტმა ჯორჯ ფლოიდის სახელობის სტიპენდია დააწესა, თუმცა, იცოდა თუ არა ფლოიდმა წერა-კითხვა, უცნობია, ალბათ, არა. ციხეში ამას არ ასწავლიან... თუ მოვლენები ასეთი ტემპით განვითარდება, შორს აღარ იქნება ის დღე, როდესაც ნობელის პრემიას სახელს შეუცვლიან და ფლოიდის პრემიას დაარქმევენ.

დიადი ფლოიდი ციხეში იჯდა ძარცვისთვის, ნარკოტიკების გასაღებისთვის, შეიარაღებული ყაჩაღობისთვის. ბოლო შემთხვევაში მისი მსხვერპლი იყო ფეხმძიმე ქალი, რომელსაც ყელში ხელი წაუჭირა, მუცელზე იარაღი მიადო და ფული მოსთხოვა... შემდეგ ითანამშრომლა გამოძიებასთან, ჩაუშვა თანამზრახველები და რამდენიმე წლით შეიმცირა პატიმრობის ვადა. ფლოიდის გვამის გაკვეთისას მის სისხლში აღმოაჩინეს ნარკოტიკი. აი ასეთია XXI საუკუნის ამერიკის ეროვნული გმირი. ვერ გაუფრთხილდა ამერიკა თავის სინათლის სხივს.



ფლოიდს დარჩა მიმდევრები. მისი საქმე ცოცხლობს და ვითარდება. ჯორჯ ფლოიდის პატივისცემის ნიშნად ამერიკის იმ შტატებში, რომლებსაც დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ, მასობრივი ძარცვა და ძალადობა დაიწყო. დანგრეულია ქალაქების, მათ შორის, ნიუ-იორკისა და ლოს-ანჟელესის, ულამაზესი რაიონები; მოკლეს 89 პოლიციელი, გააუპატიურეს 17 წლის გოგონა, დაწვეს პოლიციის (არა მხოლოდ) მანქანები, განადგურებულია ქუჩები, მოედნები, სკვერები, კისერი მოუგრიხეს ქალაქის პარკების წყალსატევებში მშვიდად მცურავ გედებს...

მოხუცებულობის დემენციის (გონებასუსტობის) მძიმე ფორმით დაავადებულმა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა **ჯო ბაიდენმაც** დაიჩოქა, თუმცა დამოუკიდებლად წამოდგომა ვერ მოახერხა, დახმარება დასჭირდა (ანალოგიური რამ დაემართა დემოკრატიული პარტიის კიდევ ერთ წევრს, ტრამპის მოძულე ნენსი პელოსისაც), მაგრამ ამ ამბავმა ვერ შეაშფოთა „წმინდა ფლოიდის" ასიათასობით თაყვანისმცემელი. ისინი არჩევნებზე სწორედ არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნს დაუჭერენ მხარს — ეს არის ის, რაც სწადიათ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს და რისთვისაც ყველაფერს კადრულობენ.

**მუხლებზე დაჩოქება?! პრობლემა არ არის. სახით ნეხვში?! ყველაფერს, შევასრულებთ, რასაც „ფლოიდები" გვიბრძანებენ; და რაც ყველაზე ამაზრზენია, აშშ-ის მთელი დემოკრატიული პარტიაა ასეთი.**


ჯო ბაიდენმა დაიჩოქა


მინეაპოლისის მერი ჯეიკობ ფრეი ფლოიდის ოქროს კუბოსთან აქვითინდა

**ალექსანდრა ანტოსიაკი,**
ნიუ-იორკი

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# რიჩმონდში კოლუმბის ძეგლი ტბაში გადააგდეს






**ქალაქ რიჩმონდში (ვირჯინიის შტატი) საპროტესტო აქციის მონაწილეთა ჯგუფმა ჩამოაგდო ქალაქის ერთ-ერთ პარკში აღმართული ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლი და ტბაში გადააგდო, — იუწყება ადგილობრივი ტელეარხი WPIC-ი.**

აქციის მონაწილეებმა ქანდაკება თოკების დახმარებით ჩამოაგდეს კვარცხლბეკიდან, შემდეგ ტბის ნაპირთან მიათრიეს და წყალში გადააგდო.

უფრო ადრე, 5 ივნისს, ვირჯინიის შტატის გუბერნატორმა **რალფ ნორთემმა** განკარგულება გასცა სხვა ქანდაკების აღების შესახებ, რომელიც საპროტესტო აქციაზე გამოსულთა აღშფოთებას იწვევდა — ეს იყო კონფედერაციის არმიის სამხრეთის შტატების სარდლის, გენერალ **რობერტ ლის** ქანდაკება.

დემოკრატიული პარტიის წევრმა გუბერნატორმა განაცხადა, რომ „ჩვენს დროში არ შეიძლება, პატივისცემით იყო განმსჭვალული სისტემის მიმართ, რომელიც ეფუძნებოდა დამონებული ადამიანების ყიდვა-გაყიდვას", მაგრამ 8 ივნისს სასამართლომ გააბათილა გუბერნატორის ბრძანება და ძეგლი ჯერჯერობით თავის ადგილზე დგას, თუმცა ქანდაკება შეურაცხმყოფელი წარწერებით შეამკეს. არ დაინდეს სამხრეთელთა კიდევ ერთი გენერლის, **თომას ჯექსონისა,** და ამერიკის კონფედერაციული შტატების ერთადერთი პრეზიდენტის, **ჯეფერსონ დევისის,** ქანდაკებები.

10 ივნისს აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** კატეგორიულად უარყო წინადადება იმ ამერიკული სამხედრო ბაზებისთვის სახელების შეცვლის თაობაზე, რომლებსაც ეს სახელები კონფედერანტების მხედართმთავრების პატივსაცემად დაარქვეს.

**„ჩემი ადმინისტრაცია არც კი განიხილავს ამ ლეგენდარული სამხედრო ობიექტებისთვის სახელების გადარქმევის საკითხს. მსოფლიოში ყველაზე დიადი ქვეყნის ისტორიას არავის დავამახინჯებინებ! პატივი ეცით ჩვენს არმიას!"** — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

სამხრეთ შტატების კონფედერაცია 1861 წელს გამოცხადდა, რამაც სამოქალაქო ომი გამოიწვია. ითვლება, რომ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ძირითადი უთანხმოება იყო მონობის ინსტიტუტის არსებობა ქვეყანაში. **სინამდვილეში კი მონების გათავისუფლების იდეა აშშ-ის პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნს ომის დაწყების შემდეგ შესთავაზეს და ის დათანხმდა, ეს ლოზუნგი გამოეყენებინა სამხრეთის ეკონომიკის დასანგრევად. ყველაფრის მიუხედავად, ამერიკის კონფედერაციული შტატების სიმბოლიკა ამჟამად აშშ-ში განიხილება, როგორც რასისტული.**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

სხვისი თვალით
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ისეთმა მოვლენებმა, როგორიცაა კორონავირუსის პანდემია, რომელსაც ამერიკა ვერ მოერია; როგორიც რასობრივი მღელვარებაა, რომელიც მთელ ქვეყანას მოედო; როგორებიც ეკონომიკური სიძნელეებია, რომლებიც ჩინეთის წინააღმდეგ დაწყებულმა უაზრო ეკონომიკურმა ომმა წარმოშვა და ა. შ.; ასუსტებს იმ მონოპოლიურ მდგომარეობას, რომელიც აშშ-მა მიითვისა და დღემდე არ თმობს“.**

# რა ხდება ამ «ერთხელ ამერიკაში»

# რასაც გახლეჩ, იმას მოიმკი

**განხეთქილება, გახლეჩა, გათიშვა, დაპირისპირება, არეულობა და ა.შ. და ა.შ. — ეს აშშ-ში ამჟამად მიმდინარე პროცესების ხშირად გამეორებული შეფასებებია. პერსევერაცია ერთგვარი, რომელიც მსოფლიოს დიდი საშიშროებით ემუქრება. ასე მიაჩნია იაკობ კედმის — ისრაელის საზოგადო მოღვაწესა და სამხედრო-პოლიტიკურ ექსპერტს.**

დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში შავი ფერის ცეცხლშეკეთებული საზოგადოებრივი უკმაყოფილება, იწვის ყველაფერი სთრიტებისა და ავენიუსების გასწვრივ, რისი დაწვაც შეიძლება — ავტომანქანები, მაღაზიები, ანუ მარკეტებისა და სუპერმარკეტების მაროდიორების მიერ (რამდენი ჰყოლიათ!) გაძარცვული დახლები... და კიდევ — „მოლოტოვის კოქტეილის“ დამსხვრეული ბოთლებიდან გადმოღვრილი სითხე, როგორც რასობრივი დისკრიმინაციის ნაპერწკლიდან ავარდნილი ალის სუბსტანცია.

**კედმის სიტყვებს თუ გავიმეორებთ, რასობრივი გახლეჩა, დაყოფა და დანაწევრება აშშ-ში სკოლიდან იწყება: „სკოლის მოსწავლეს არ სჯერა მასწავლებლის, რომელსაც სხვა ფერის კანი აქვს. ასეთ ბავშვებს სჭირდებათ სხვა მასწავლებლები, სხვა ენითა და სხვა იდეალებით“.**

აშშ-ში შავკანიან ბავშვებს თეთრკანიანი პოლიციელების შიში აქვთ გამჯდარი ძვალსა და რბილში. „ნებისმიერი აფროამერიკელი საღამოთი უშიშრად ვერ გაივლის ქუჩაში, იქ ორი-სამი პოლიციელი თუ დალანდა“, — დაიმოწმა კედმიმ აფროამერიკელი დამსახურებული მასწავლებელი, რომელმაც ეს აზრი განავითარა აშშ-ის ერთ-ერთი ტელეარხის მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში. მან ისიც დასძინა, რომ ამ მიზეზთა გამო თეთრკანიან მასწავლებელს არ შეუძლია შავკანიან ბავშვებთან მუშაობა. თეთრკანიანი მასწავლებელი ჩვენს ბავშვებს როცა ელაპარაკება, მოსწავლეებს მისი არ ესმით, არ სჯერათ და ეშინიათ კიდეც.

მისი აზრით, ასეთი რამ სუსტი და უძალო ხელისუფლების ბრალია, რომელსაც უნარი აქვს დაკარგული, ვერც სიტუაციის სიმწვავეს აღიქვამს, ვერც ვერაფერს იქმს მდგომარეობის გამოსასწორებლად, პრობლემის მოგვარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

**„ასეთი რამ 1929 წელსაც არ ყოფილა. ასეთ საშინელ საერთაშორისო მდგომარეობაში, ასეთი უნიჭო ხელმძღვანელებით, როგორებიც დღეს ჰყავს, არასოდეს აღმოჩენილა ამერიკა. ლაპარაკია მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოზე, რომელიც ბირთვული იარაღით არის აღჭურვილი და რომლის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე არა მხოლოდ ამერიკელი მოქალაქეების ბედი არის დამოკიდებული, არამედ უამრავი სხვა ადამიანის. ამერიკელი საზოგადოებრიობა და საერთაშორისო თანამეგობრობა დაბნეული და პროსტრაცირებულია. ეს, უწინარეს ყოვლისა, ითქმის მათზე, ვინც ამერიკას ისე აღიქვამს, როგორც მეწველს; ვისაც აშშ კვებავს და ისინიც ყურმოჭრილი მონებივით ემსახურებიან, ასეთმა ქვეყნებმა არ იციან და ვერც წარმოუდგენიათ, როგორი მომავალი ელით, ეს წყარო თუ დაშრება“,** — ასკვნის ექსპერტი.

„ის, რაც დღეს ხდება აშშ-ში, — აღნიშნავს იაკობ კედმი, — ადასტურებს, რომ დრო გადის, მაგრამ არაფერი იცვლება“. აირჩიეს აფროამერიკელი პრეზიდენტი, გენერალური შტაბის უფროსად აფროამერიკელი ჰყავდათ, მაგრამ ამან ვერავითარი როლი ვერ ითამაშა. კვლავ ძველი არხით მიედინება მოვლენები.

„თანაც მე არაფერი მითქვამს „ესპანენოსებზე“, სხვა ეთნიკურ ჯგუფებზე. დღეს ამერიკული საზოგადოება ისეა დაძაბული, იმდენად დაპირისპირებული და მტრულად განწყობილი, რომ აბსოლუტურად არ სჯერა ერთს მეორესი. ყველა ღონისძიება, რომელთაც განახორციელებს ამერიკის ხელისუფლება ამ პრობლემის დასაძლევად, — ამტკიცებს კედმი, — უხეშია და პრიმიტიული. **ვთქვათ, წაართვეს ფული სოროსს მის მიერ ჩადენილი ცოდვების მისატევებლად. მაგრამ ეს ვერ გადაწყვეტს ვერც ერთ ძირითად პრობლემას — როცა ბავშვი სკოლაში არ ენდობა მასწავლებელს, რომელიც აფროამერიკელების ენაზე არ ლაპარაკობს და რომელსაც სხვა ფერის კანი აქვს“.**

ის, რაც დღეს ამერიკაში ხდება, აჩქარებს პროცესს, რომელიც ამ სახელმწიფოში 1945 წლიდან დაიწყო, ხოლო 1991 წლის შემდეგ უახლოვდება უარყოფით შედეგს: **ამერიკის ჰეგემონიის დასასრულს.**

ისეთმა მოვლენებმა, როგორიცაა კორონავირუსის პანდემია, რომელსაც ამერიკა ვერ მოერია; როგორიც რასობრივი მღელვარებაა, რომელიც ქვეყანას მოედო; როგორებიც ეკონომიკური სიძნელეებია, რომლებიც ჩინეთის წინააღმდეგ დაწყებულმა უაზრო ეკონომიკურმა ომმა წარმოშვა და ასე შემდეგ; ასუსტებს იმ მონოპოლიურ მდგომარეობას, რომელიც აშშ-მა მიითვისა და დღემდე არ თმობს.

შეკითხვას, თუ ვინ უნდა დაიკავოს, ანუ ვინ უნდა ჩაენაცვლოს აშშ-ს ამ ადგილზე, რომელიც, წმინდა ადგილისა არ იყოს, ცარიელი არ რჩება, კედმი შემდეგნაირად უპასუხებს: **„არავინ არ უნდა დაიკავოს მისი ადგილი, ყველა ქვეყანამ იმაზე დიდი როლი უნდა ითამაშოს მსოფლიო პოლიტიკაში, რომელსაც აქამდე თამაშობდა. ყველა ქვეყანამ! საერთო ჰარმონიულმა განვითარებამ უნდა გაითვალისწინოს ყველა ქვეყნის ინტერესები და არა მხოლოდ იმისა, რომელმაც რჩეულის ადგილი და სახელი დაისაკუთრა, ისე, როგორც ეს პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა: „ჩვენ განვსაზღვრავთ წესებს, სხვებმა ისინი უნდა შეასრულონ“.** განკარგულების გაცემის ეს დრო უკვე დამთავრდა. წესებს განსაზღვრავს მსოფლიო თანამეგობრობა ყველა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. აღარ განმეორდება სიტუაცია, როცა ერთი ქვეყანა უკარნახებდა დანარჩენ მსოფლიოს, როგორ და რა წესებით უნდა ეცხოვრა.

ასე ფიქრობს კედმი იმ მოვლენის შესახებ, რომელიც ამერიკაში ვითარდება და რომელსაც გასულ შაბათს, 13 ივნისს, ჯოჯოხეთის არ იყოს, კიდევ ერთი მუგუზალი შეუკეთეს, როცა ნიუ ჯერსიში, მანქანის საჭესთან ჩაძინებული აფროამერიკელი იამაიკელი მიგრანტი მოკლა პოლიციელმა.



**ვინც მაშინ ხმა ამოიღო არასამთავრობოების წინააღმდეგ, რომლებიც სხვა არაფერი იყო თუ არა სოროსის «მსუბუქი კავალერია» და «სახალხო კონტროლი», ყველა სამშობლოს მტრებად შერაცხეს. ახლა ის ტუტუცები პარლამენტში გვისხედან და აშშ-დან მიღებული ინსტრუქციებით საქართველოსთვის სასიქადულოდ იღვწიან თურმე. ამერიკას კი თავისი გასჭირვებია**

**ამბოხის სტიქიამ მოიცვა ამერიკა თუ გლობალურმა შეთქმულებამ ამოაგდო კალაპოტიდან ეს ზესახელმწიფო?**

ამერიკელი ექსპერტი **დიმიტრი საიმსი** მიიჩნევს, რომ ამერიკული ამბოხის „მარილი“ არიან ის ადამიანები, რომლებმაც რამდენიმე წლის წინათ დაიპყრეს უოლ- სტრიტი, ახლახან **ტრამპის** საწინააღმდეგო დიდი საპროტესტო აქცია გამართეს თეთრი სახლის მახლობლად და რომელიც ძალის გამოყენებით დაშალეს.



მსგავსი რამ საქართველოშიც ხდებოდა და ხდება, როცა ნაცების მოწყობილ მიტინგებში ერთი და იგივე კონტინგენტი მონაწილეობს.

„რა ნაცნობი სახეებია!“ (**ალექსანდრე გრიბოედოვი,** „ვაი ჭკუისაგან“.)

**საიმსის კოლეგები ფიქრობენ, რომ ეს ამერიკული „პროფესიონალი მეამბოხეები“ ცოტა ხანს კიდევ იხმაურებენ და, როგორც კი მოიკლავენ საპროტესტო ჟინს, როცა ადგილობრივი ხელისუფლება უმნიშვნელო მოთხოვნებს დაუკმაყოფილებს, დაშოშმინდებიან და შინ წავლენ.**

მაგრამ ასეთი პერსპექტივის მიუხედავად, **„პოლიტიკური ბრძოლის სურათი აშშ-ში ძალიან სერიოზული, დრამატული და მოულოდნელიცაა. მით უფრო იმიტომ, რომ ტრამპს უგანა სამხედროების ისტებლიშმენტმა, რაც ორი კვირის წინათ წარმოუდგენელი იყო, მაგრამ დღეს ამ საკითხს თეთრ სახლში შეშფოთებით განიხილავენ ტრამპის უახლოესი გარემოცვის წევრები“.**

ბოლომდე ვერ გაურკვევიათ ისიც, თუ საით წარიმართება და რით დამთავრდება ეს „სრულიად ამერიკული ამბოხი“, რომელმაც შტატების 600-ზე მეტ ქალაქში უკიდურესი მაქსიმალიზმის სახით იჩინა თავი.

**ამერიკა არჩევნების მოლოდინშია, რაც ტრამპის ყველაზე დიდი თავის ტკივილია, რადგან პრეზიდენტად მეორე ვადით ასარჩევად აფროამერიკელების მხარდაჭერა მისთვის მეორეხარისხოვანი საკითხი არ არის. არადა, შანსი მნიშვნელოვნად შეუმცირდა და, როგორც თეთრი სახლის ანალიტიკოსები ეუბნებიან, შეიძლება ნავარაუდევის 8-10 პროცენტი შეადგინოს. ისიც საეჭვოა.**

კორონავირუსის პანდემია ამ ყველაფერს თავისთავად ართულებს დაუნდობლობისა და ინფიცირების მასშტაბის ზრდით.

საქმე ის არის, რომ წამყვანი ამერიკელი ვირუსოლოგის — **ვილიამ ჰეზელტაინის** ვარაუდით, გამორიცხული არ არის ვირუსის მუტაცია, მაშასადამე, ახალი სახის ვირუსის შემოტევა, ანუ მეორე ტალღა.

13 ივნისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ კოვიდ-19-მა მართლაც განიცადა მუტაცია და მაინცდამაინც ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ვერ იტყვი, რომ 2020 წლის 13 ივნისი ამერიკისთვის ბედნიერი დღე იყო.

**აშშ-ში შავკანიან ბავშვებს თეთრკანიანი პოლიციელების შიში აქვთ გამჯდარი ძვალსა და რბილში. „ნებისმიერი აფროამერიკელი სალამოთი უშიშრად ვერ გაივლის ქუჩაში, იქ ორი-სამი პოლიციელი თუ დალანდა“, — დაიმოწმა კედმიმ აფროამერიკელი დამსახურებული მასწავლებელი, რომელმაც ეს აზრი განავითარა აშშ-ის ერთ-ერთი ტელეარხის მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში. მან ისიც დასძინა, რომ ამ მიზეზთა გამო თეთრკანიან მასწავლებელს არ შეუძლია შავკანიან ბავშვებთან მუშაობა. თეთრკანიანი მასწავლებელი ჩვენს ბავშვებს როცა ელაპარაკება, მოსწავლეებს მისი არ ესმით, არ სჯერათ და ეშინიათ კიდეც.**

## სხვისი თვალით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმუნოლოგების აზრით, ვირუსი უფრო საშიში არა, მაგრამ უფრო გადამდები გახდა.**

**ეს ახალი საფრთხე კიდევ უფრო ართულებს პრეზიდენტ ტრამპის მდგომარეობას, რომელსაც საარჩევნოდ დამატებითი ხმების მოზიდვის იმედი ჰქონდა პანდემიის დამარცხების შემდეგ ეკონომიკის მაქსიმალურად აღდგენის გზით.**

**როგორც ჩანს, ამ იმედს შესრულება არ უწერია.**

სხვა ქვეყნის ანალიტიკოსების აზრით, საიმსის პოზიცია ერთგვარად გამარტივებული და შემსუბუქებულია, რადგან **აშშ-ის ისტორიას ანალოგიური ვითარება არ ახსოვს. გამხეცება, დაუნდობლობა, არნახულად მკაცრი პროტესტები, პანდემიის დროს სანიტარული ნორმების სრული უგულებელყოფა, პოლიტიკური დაპირისპირების მაქსიმალისტური ხასიათი, როცა ჯო ბაიდენი ამბობს, რომ, თუ ტრამპი არ აღიარებს თავის დამარცხებას, ჩვენ სამხედრო გადატრიალებას მოვაწყობთო, ცენზურის გამკაცრება მასმედიაში, როცა „ნიუ-ორკ თაიმსის“ რუბრიკა „საზრისის“ ხელმძღვანელს სამსახურიდან აგდებენ იმიტომ, რომ გაზეთში გამოაქვეყნა პოზიცია, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა რედაქციისთვის, როცა შეწყვეტენ პოლიციელებისადმი მიძღვნილი სერიალის ჩვენებას, როცა ეკრანიდან გააქრობენ კლასიკურ ფილმ „ქარწაღებულნს“...** როცა ერთი კვირის განმავლობაში რუსეთის წინააღმდეგ გამოქვეყნებული წერილების სერიაში ამ ქვეყანას ტერორისტების სახელმწიფოსთან გაათანაბრებენ და ა.შ. და ა.შ., ადასტურებს, რომ სიმშვიდე არა მხოლოდ შექსპირისეულ დანიაში არ ყოფილა, არამედ ჩვენს თანამედროვე ამერიკაშიც წარსულს ჩაბარებია თურმე.

**ამერიკაში დღეს ტრამპის წინააღმდეგ გულწრფელი აღშფოთების ჟამიანობაა. ბევრს მიაჩნია, რომ ამის უკან დგანან დემოკრატები, სოროსი და სხვები.**

**ქვეყანაში მეორე პანდემიამ მოიკიდა ფეხი — რასიზმი გავრცელდა არნახულად.**

მიზეზებს ეძებენ ამერიკის კონგრესის მიერ მიღებულ კანონებში, რომელთა ძალით აფროამერიკელები განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილ ჯგუფად არიან გამოყოფილი: მაგალითად, მათი სამუშაოდან გათავისუფლება უფრო რთულია, ვიდრე თეთრკანიანი მოქალაქეების, უმაღლეს სასწავლებლებში მათი ჩარიცხვა სპეციალური კვოტებით არის გარანტირებული. ამ კვოტებით განსაზღვრულია აბიტურიენტთა მინიმუმი, რომელზე ნაკლები რაოდენობის აფროამერიკელის მიღება რეკომენდებული არ არის, რადგან კვოტის დამრღვევი სასწავლებელი არ მიიღებს სახელმწიფო დახმარებას.

ეს ერთი კონკრეტული შემთხვევაა, მაგრამ გარკვეულწილად ზოგად პრობლემასაც ეხმაურება და განმარტავს კიდეც.

მაგრამ ვითარება გაცილებით უფრო რთულია, ფესვები კი საზოგადოებრივ წყობილებაში არსებულ გადახრებზე აღმოცენებული სარეველებია.

იგივე საიმსის თვალსაზრისი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

**ამ დღეებში შემზარავი შემთხვევების ხილვა იშვიათობა არ არის. შემზარავია, როცა პოლიციელი შეიძლება არცთუ სუფთა წარსულის მქონე აფროამერიკელ ფლოიდს კისერზე მუხლს აჭერს და კლავს, მაგრამ არანაკლებ შემზარავია, როცა აფროამერიკელები ერთმანეთს ხოცავენ ჩიკაგოში, სადაც შეერთებულ შტატებში მკვლელობების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ ამას აღშფოთების ტალღა არ მოჰყოლია. სხვათა შორის არც მაშინ, როცა აფროამერიკელი მოროდიორები კლავდნენ მათნაირ „პოგრომისტებს“ ან მაღაზიების მფლობელი აფროამერიკელები თავიანთი ქონების გადასარჩენად იარაღით ხელში ებრძოდნენ თავდამსხმელ თანატომელებს და კლავდნენ კიდეც.**

ალქაჯების ამ აღლუმის დროს საიდანღაც გაჩნდნენ ორგანიზაციები, რომლებმაც მყისიერად შეძლეს პროტესტანტების ტრანსპორტით გადაყვანა დემონსტრაციებზე სხვა ქალაქებსა და სხვა შტატებში. ამას სჭირდებოდა ფული და არცთუ ცოტა.

**მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული დემონსტრანტების საკვები პროდუქტებით მომარაგება, მათი ჯანმრთელობის დაცვას უზრუნველყოფდნენ მორიგე ექიმები სპეცმანქანებით, ასობით მოხალისე იურისტი ეხმარებოდა ყველას, ვისაც პოლიცია აპატიმრებდა.**

— საიდან გაჩნდნენ ისინი? — კითხულობს ამერიკელი ანალიტიკოსი დიმიტრი საიმსი და უპასუხებს, — აქ აშკარად ჩანს მონაწილეობა მათი, ვინც წლების განმავლობაში აფინანსებდა ამგვარ ორგანიზაციებს. მემარცხენე რადიკალური ორგანიზაციების მხარდაჭერა ამერიკასა და ევროპაში კარგად არის ორგანიზებული. ადამიანი, რომელიც ამ მხრივ სხვაზე მეტად არის ცნობილი, რასაკვირველია, ჯორჯ სოროსი გახლავთ, რომელიც უაღრესად აქტიურია არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ ბევრ ევროპულ ქვეყანაში. მას უჩიოდა არა მხოლოდ უნგრეთის ხელმძღვანელობა, არამედ ისრაელის ხელმძღვანელობაც. მას უყვარს სხვის საქმეებში ჩარევა. სოროსი აქტიურად აფინანსებდა ამ ორგანიზაციებს და ეხმარებოდა დამფინანსებლების მოზიდვაში“.

**„ისეთი განცდა მაქვს, — დასძენს საიმსი, — რომ გარკვეული ძალები ცდილობენ, დაანგრიონ ევროპული პოლიტიკის (აშშ-ის ჩათვლით) საფუძვლები, უგულებელყონ ტრადიციული ევროპული ფასეულობანი, ხელი აღმართეს არა მხოლოდ დონალდ ტრამპმზე და სხვა კონკრეტული ხელისუფლებების წინააღმდეგ, არამედ შეუტიეს ევროპის იმ ცივილიზაციას, რომელიც ამ ძალებს მტრად მიაჩნია. ამ ცივილიზაციას მიათვლიან პუტინის პრეზიდენტობის დროინდელ რუსეთსაც“.**

ასე ფიქრობს ამერიკაში მოღვაწე ანალიტიკოსი დიმიტრი საიმსი. ჩვენს სათქმელს ამბობს: ზუსტად ასე მოქმედებენ საქართველოს წინააღმდეგ მშობლიური ე.წ. ენჯეოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვისი ფულითა და სხვისი მხარდაჭერით წაქეზებულები.

**ყველას, ვინც მეტ-ნაკლებად, ასე თუ ისე, ჩართული იყო დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბების პირველ წლებში, კარგად ახსოვს, როგორი მასირებული თავდასხმა განახორციელეს ასეთი საეჭვო ფულით დაფინანსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოს ხელისუფლებაზე, რომელმაც მოინდომა მათი დაფინანსების წყაროების შესწავლა — ვისი ფული იყო, რა დამსახურებისთვის ურიცხავდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ფრთებქვეშ მოკალათებული ვითომ კერძო საქველმოქმედო ფონდები არცთუ მცირე თანხას ამ გაუნათლებელ, გამოუცდელ, მაგრამ ყველაფერზე წამსვლელ კმარელებსა და სოროსის ძუძუნაწოვ კარიერისტებს.**

ვინც მაშინ ხმა ამოიღო არასამთავრობოების წინააღმდეგ, რომლებიც სხვა არაფერი იყო თუ არა სოროსის „მსუბუქი კავალერია“ და „სახალხო კონტროლი“, ყველა სამშობლოს მტრებად შერაცხეს.

ახლა ის ტუტუცები პარლამენტში გვისხედან და აშშ-დან მიღებული ინსტრუქციებით საქართველოსთვის სასიქადულოდ იღვწიან თურმე.

ამერიკას კი თავისი გასჭირვებია.

**არმაზ სანებლიძე**







**ყველას, ვინც მეტ-ნაკლებად, ასე თუ ისე, ჩართული იყო დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბების პირველ წლებში, კარგად ახსოვს, როგორი მასირებული თავდასხმა განახორციელეს ასეთი საეჭვო ფულით დაფინანსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოს ხელისუფლებაზე, რომელმაც მოინდომა მათი დაფინანსების წყაროების შესწავლა — ვისი ფული იყო, რა დამსახურებისთვის ურიცხავდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ფრთებქვეშ მოკალათებული ვითომ კერძო საქველმოქმედო ფონდები არცთუ მცირე თანხას ამ გაუნათლებელ, გამოუცდელ, მაგრამ ყველაფერზე წამსვლელ კმარელებსა და სოროსის ძუძუნაწოვ კარიერისტებს**



ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



კონიაკის დამზადების ტექნოლოგიით ორმაგი დისტილაციაა (გამოხდა) გათვალისწინებული, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი შერევაა. კეთილშობილი სასმელი, ისევე როგორც შამპანური, ზეიმის ატრიბუტი და საქმიანი შეხვედრების თანამგზავრია. გარიგების განმტკიცება კონიაკის ბოკალით, თუ ეს სასმელი 2 მილიონი დოლარი ღირს, სტატუსს ძალიან მაღლა სწევს, სწორედ ეს ფასი ადევს HENRI IV DUDOGNON HERITAGE-ს.

# ყველაზე ძვირად ღირებული ალკოჰოლური სასმელები

ელიტური ალკოჰოლური სასმელი ხაზს უსვამს მომხმარებლის სტატუსს და მიუთითებს დახვეწილ გემოვნებაზე, მაგრამ ზოგჯერ ერთი ბოთლი ალკოჰოლური სასმელის ფასი ბინის ან ავტომობილის ღირებულების ტოლია. პროდუქტის ფასზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ შიგთავსი, არამედ ბოთლის დიზაინიც — გაფორმება ძვირფასი ქვებით, ოქროთი და პლატინით.




## ლუდი

ალკოჰოლური სასმელების ეს კატეგორია ყველაზე იაფფასიანია, თუმცა 1 კათხა ბელგიური ლუდი **Vielle Bon Secour**-ი, რომელსაც ლუდსახარში La Brasserie Caulir-ი 12-ლიტრიანი ჭურჭლით ყიდის, 55 დოლარი ღირს, ამიტომ ამ ძვირად ღირებული ლუდის დაჭაშნიკების მსურველს 660 დოლარის გადახდა მოუწევს ან უნდა ჩაჯდეს თვითმფრინავში და გაფრინდეს ლონდონში, რადგან მხოლოდ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქშია ბარი, რომელშიც იყიდება ჩამოსასხმელი ლუდი Vielle Bon Secour-ი, რომელიც, სვიის გარდა, ანისულსა და ზამბახს შეიცავს.




## ტეკილა

ტეკილას სამშობლო მექსიკაა. იქ იზრდება ცისფერი აგავა, რომლისგანაც მზადდება ტეკილა **Ley.925.** 1 ბოთლი ეს სასმელი 225 ათასი დოლარი ღირს. ის არის ტეკილების სარეიტინგო სიაში პირველი. Ley.925-ის ზღაპრული ფასი განპირობებულია დიზაინით. მწარმოებელმა ალკოჰოლური სასმელის ბოთლი პლატინითა და ოქროთი გააფორმა. ცოტა ხნის წინათ კი გამოუშვეს ტეკილას ერთადერთი ბოთლი, რომლის ფასიც 1,5 მლნ დოლარია, ძვირფას ლითონებს დამატებულია ალმასები. ამ იშვიათი პროდუქტის შეძენის მსურველი ჯერჯერობით არ ჩანს.



## კონიაკი

კონიაკის დამზადების ტექნოლოგიით ორმაგი დისტილაციაა (გამოხდა) გათვალისწინებული, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი შერევაა. კეთილშობილი სასმელი, ისევე როგორც შამპანური, ზეიმის ატრიბუტი და საქმიანი შეხვედრების თანამგზავრია.

გარიგების განმტკიცება კონიაკის ბოკალით, თუ ეს სასმელი 2 მილიონი დოლარი ღირს, სტატუსს ძალიან მაღლა სწევს, სწორედ ეს ფასი ადევს **Henri IV Dudognon Heritage**-ს. სოლიდური ფასი განპირობებულია 100-წლიანი დაძველებით, აგრეთვე, ელიტური შეფუთვით, დიზაინერებმა მთავარი აქცენტი ძვირფას ქვებზე გააკეთეს.




## რომი

ყველაზე ძვირად ღირებული რომი კუბური ან დომინიკური კი არა, იამაიკური რომია. **Wray & Nephew**-ის მარკის რომი, კონკრეტულად კი 1940 წელს ჩამოსხმული საპრემიო კოლექციის 1 ბოთლი 53 ათასი დოლარი ღირს. სამწუხაროდ, მისი დამზადების ტექნოლოგიამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. რეცეპტი დაიკარგა და ამ ორიგინალურ სასმელს ვეღარ ამზადებენ, ამიტომ არის დანარჩენი ეგზემპლარების ფასი ასე მაღალი. ამ ელიტური რომის ნაცვლად ამჟამად ამზადებენ კოქტეილ მაი ტაის, რომელიც გემოთი ჰგავს Wray & Nephew-ს და მასში, რომის გარდა, ვაჟინი და ლიქიორიც შედის.




## შამპანური

ელიტური სასმელის კოლექციონერები ცდილობენ, „ისტორიის“ მქონე სასმელები შეიძინონ. **Piper-Heidsieck**-ი — ასე ჰქვია შუშხუნა ღვინოს, რომლის პარტიაც რუსეთის მეფის, ნიკოლოზ II-ის, შეკვეთით შვედური ხომალდით გადაჰქონდათ. მეზღვაურთა საუბედუროდ, ხომალდი ჩაიძირა. ამის მიზეზი იყო გერმანული წყალქვეშა ნავი. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ჩაძირული ხომალდი მყვინთავებმა აღმოაჩინეს და ნახეს, რომ შამპანურის პარტია უვნებელი იყო. ეს ისტორია Piper-Heidsieck-ისთვის შესანიშნავი რეკლამა აღმოჩნდა და... დღეს 1 ბოთლი ამ შუშხუნა ღვინის ფასი 275 ათასი დოლარია.





## ვისკი

ინგლისური ვისკი **Isabellas Islay** ნატიფი გემოვნებისა და ხანგრძლივი საიუველირო მუშაობის შეთავსების ნაყოფია. ჭურჭელი დაფარულია ალმასებითა (8000 ცალი) და ლალებით (300 ცალი), ბოთლი კი ძვირად ღირებული ინგლისური ბროლისგან არის დამზადებული. ხელოვნების ამ ნიმუშის ფასი 6,5 მლნ დოლარია.

ანალოგიური ვისკი Isabellas Islay, ოღონდ ნაკლები ძვირფასი ქვებით, 740 ათასი დოლარი ღირს.



## ღვინო

რა თქმა უნდა, ყველაზე ძვირად ღირებული ღვინო ფრანგულია, კონკრეტულად — **„შატო ლაფიტი“**, რომელსაც 1787 წლიდან აყენებენ. ამ ელიტური ალკოჰოლური სასმელის ერთი ბოთლი 90 ათას დოლარად გაიყიდა. სხვათა შორის, „შატო ლაფიტის“ პირველი მყიდველი და ჭეშმარიტი კოლექციონერი იყო აშშ-ის მე-3 პრეზიდენტი **თომას ჯეფერსონი.**




## არაყი

არყის დამზადების ტექნოლოგიაში დიდი ყურადღება ექცევა ფილტრაციას. ყველაზე ძვირად ღირებული არყის — **Diva**-ს, ტექნოლოგიაში იყენებენ მერქნის ნახშირს, თანაც არა უბრალო ხის, არამედ იშვიათი ჯიშის — კარელიის არყის ხის მერქანს. შემდეგ სითხეს ატარებენ ალმასების ქვიშაში, რაც განაპირობებს სასმელის უზარმაზარ ფასს. მწარმოებელი უფრო შორს წავიდა და დიზაინშიც გამოიყენა ძვირფასი ქვები. Diva-ს რამდენიმე ვერსიას ამზადებენ, ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე, არყის ფასი 3,7 ათასიდან 1,6 მილიონ დოლარამდე მერყეობს.



## ლიქიორი

მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ლიქიორი არის **DAmalfi Limoncello Supreme.** ბოთლზე მიკრულმა 4-მა დიდმა ალმასმა განაპირობა ლიქიორის კოლოსალური ფასი — 43,6 მლნ დოლარი. ამ ბოთლში ჩასხმულ ლიმონის ლიქიორს, როგორც მისი დამამზადებლები ამტკიცებენ, შეუძლია შესანიშნავი განწყობა შეგიქმნათ და სიმხნევე შეგმატოთ. მსოფლიოში სულ 2 ასეთი ლიქიორია, ერთი ინგლისელმა კოლექციონერმა შეიძინა, მეორე — ჯერ კიდევ ელოდება მყიდველს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**კლოპმა შეძლო ლივერპულელთა მოქმედების ავტომატიზმამდე დაყვანა. და, მიუხედავად თამაშის ყველასთვის გასაგები სტრუქტურისა (პრესინგი, ბურთის გადატანა ფლანგიდან ფლანგზე, ჩაწოდებები მეტოქის მცველების ზურგს უკან), მოწინააღმდეგე ვერაფერს უპირისპირებს წითლებს. გუნდს განსაკუთრებით კარგად გამოსდის თავისუფალი ზონების გამოყენება შეტევისას.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თანამედროვეობის 10 ყველაზე ძლიერი ტაქტიკოსი მწვრთნელი ევროპაში

**16 მაისს ბუნდესლიგის, გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის, განახლების შემდეგ 11-13 ივნისს ესპანეთშიც გაიმართა ლა ლიგის თამაშები, იტალიის სერია A კი 20 ივნისს განახლდება. მატჩები უმაყურებლო სტადიონებზე გაიმართება, თუმცა ფეხბურთის გულშემატკივარს ისე მოენატრა საფეხბურთო ბატალიები, რომ ამაზეც თანახმაა. მანამდე კი გაეცანით ევროპის ამჟამინდელ 10 საუკეთესო ტაქტიკოს მწვრთნელს.**
**ფეხბურთის მწვრთნელები იყოფიან მოტივატორებად და ტაქტიკოსებად. მოტივატორები ფეხბურთელებს ემოციურად მუხტავენ. ხშირად აქცენტი კეთდება პოზიტიურ ატმოსფეროზე ან მებრძოლ სულისკვეთებაზე. ასეთი მეთოდით ყველაზე ხშირად წარმატებას აღწევენ მწვრთნელები, რომლებიც ადრე ფეხბურთელები იყვნენ. ტაქტიკოს მწვრთნელებს კი თავიანთი შეგირდები ვარჯიშისას ხელჩაკიდებული დაჰყავთ მოედანზე და უხსნიან თამაშის პრინციპებს. ასეთი მწვრთნელები ასისტენტებთან ერთად საათობით ჩაიკეტებიან ხოლმე კაბინეტებში, უყურებენ ვიდეოჩანაწერებს და აანალიზებენ სტატისტიკურ მონაცემებს. სწორედ ტაქტიკოსი მწვრთნელების მიერ შემუშავებული სქემები წყვეტს ხოლმე თამაშის ბედს.**


იურგენ კლოპი

### 10. ჟოზე მოურინიო, „ტოტენჰემი“

ეშმაკი პორტუგალიელი კვლავ დაბრუნდა დიდ ფეხბურთში. და ის, სხვათა შორის, ზემონახსენები ორივე ტიპის მწვრთნელების ჰიბრიდია. **მოურინიო** შესანიშნავი ფსიქოლოგი და ტაქტიკოსია. ამაზე მიუთითებს ის, როგორ უმკლავდება პორტუგალიელი მწვრთნელი „ტოტენჰემში“ შექმნილ რთულ ვითარებას. რამდენიმე თვის წინათ მან ჩაიბარა გუნდი, რომელიც მთლიანად იყო დამოკიდებული თავის ლიდერ **ჰარი კეინზე,** თანაც ამ ლიდერმა ტრავმა მიიღო და თამაშებს გამოეთიშა, თუმცა, როცა ინგლისის პრემიერლიგის თამაშები განახლდება, ტრამვა უკვე მოშუშებული ექნება. ჟოზეს გუნდები ყოველთვის კარგად ორგანიზებულად თამაშობენ დაცვაში. მისი იდეა ასეთია: ბურთის დაკარგვისას საკუთარ ნახევარზე სწრაფად დაბრუნება, ცენტრში ზონების გადაკეტვა და მინიმალური საგოლე მომენტების შექმნით შედეგის მოპოვება. მოურინიოს გუნდები პოზიციურადაც კი შეზღუდული რაოდენობის მოთამაშეებით უტევენ. შედეგის მისაღწევად მოურინიოს გუნდს რამდენიმე ეპიზოდი სჭირდება მეტოქის კართან. ამ მხრივ სამაგალითო იყო მისი „ტატენჰემის“ გამარჯვება „მანჩესტერ სიტისთან“ თებერვალში. ლონდონელებმა სულ სამჯერ დაარტყეს კარში, თამაშის ბოლოს კი ტაბლოზე ანგარიში 2:0 იყო მათ სასარგებლოდ.

ჟოზე შესანიშნავად მართავს მატჩს. ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ მატჩში, მართალია, მისი შეგირდები დამარცხდნენ, მაგრამ მწვრთნელს გეგმაც ჰქონდა და იდეებიც თამაშში გარდატეხის შესატანად, მოურინიო მთელი მატჩის განმავლობაში იყენებდა სქემას 4-4-2-ს, ამასთანავე, სასტარტო შემადგენლობაში მარჯვენა ვინგერის ადგილას თამაშობდა ცენტრალური ნახევარმცველი **ჟედსონ ფერნანდესი.** შეცვლის შემდეგ მისი ადგილი დაიკავა საყრდენი ზონიდან გადმოსულმა **ლო ჩელსიომ**, შემოქმედებითმა ჰავბეკმა, წინა ხაზზე კი ზორბა **დელე ალისთან** ერთად სწრაფი **ბერგვეინი** თამაშობდა. შეიძლება ითქვას, რომ ლონდონურ კლუბს ჟოზე მოურინიოს ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ არ უთქვამს ბოლო სიტყვა ინგლისის ჩემპიონატში.


ჟოზე მოურინიო

### 9. ლუსიენ ფავრი, დორტმუნდის „ბორუსია“

ეს მწვრთნელი დიდი ხნის განმავლობაში იყო დაუფასებელი. სამშობლოში, შვეიცარიაში, შემდეგ — „ჰერტაში“, მიუნხენგლადმახში თუ „ნიცაში“ ფავრი ყოველთვის ქმნიდა თვითმყოფად გუნდებს. მისი ყველა გუნდი გამოირჩეოდა ბურთის ერთი ფლანგიდან მეორეზე, შემდეგ კი თავისუფალ ზონაში სწრაფად გადატანით. ეს დამახასიათებელია ამჟამინდელი დორტმუნდის „ბორუსიისთვისაც“. ფავრმა, 60 წელს მიღწეულმა მწრთვნელმა, როგორც იქნა, მიიღო შეთავაზება ევროპის ერთ-ერთი წამყვანი კლუბიდან, რომელშიც იდეების განხორციელების მნიშვნელოვანი წარმატებები მოაქვს. „ბორუსია“ ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის ბუნდესლიგაში, ჩემპიონთა ლიგაში კი პირველ შეხვედრაშ, დაამარცხა ფრანგული პსჟ 2:1. თუმცა საპასუხო შეხვედრაში დამარცხდა — 0:2.


ლუსიენ ფავრი

### 8. იულიან ნაგელსმანი, „ლაიფციგი“

„ჰოფენჰაიმში“ ყოფნისას ახალგაზრდა გერმანელმა მწვრთნელმა პატარა ტაქტიკური რევოლუცია მოაწყო. თუ ადრე ევროპის წამყვან ლიგებში 3 ცენტრალური მცველით თამაშის სქემა დაცვითად მიიჩნეოდა, ნაგელსმანის ძილისხმევით ეს თეზისი უარყოფილი იქნა. როცა მისი „ლაიფციგი“ 3-5-2 სქემით თამაშობს, ეს დიდი განაცხადია მატჩის კონტროლზე. 3-5-2 სქემით „ლაიფციგი“ რიცხობრივ უპირატესობას იღებს წინა ხაზზე და შეუძლია აგრესიულ პრესინგს მიმართოს. ამასთანავე, თითოეულ ცენტრალურ მცველს, რომელიც პასუხს აგებს თავის ფლანგზე, შეუძლია წინ წავიდეს ბურთით, რაც იწვევს მეტოქის დაცვის სტრუქტურის ნგრევას. ასეთი მოძრაობისთვის ხელის შეშლა ზურგს უკან ზონის გაშიშვლებას ნიშნავს, ხოლო „ლაიფციგის“ მოთამაშის უყურადღებოდ დატოვება სახიფათოა, რადგან შეუძლია, უფრო წინ წავიდეს.

ნაგელსმანი არ მიეკუთვნება იმ მწვრთნელებს, რომლებიც მხოლოდ ერთ ტაქტიკას მიმართვენ. ის ტაქტიკას თავისი ფეხბურთელების შესაძლებლობიდან გამომდინარე ირჩევს და არ აიძულებს მათ, სქემას მოერგონ, ამიტომ ზოგჯერ მისი გუნდი 4-4-2 სქემით თამაშობს, რომბით ნახევარდაცვაში. იულიანის კიდევ ერთი კოზირი ფეხბურთისათვის საჭირო როლის შერჩევაა.

ნაგელმანი სწავლობს თავის შეცდომებზე და მალე მას, ალბათ, რომელიმე გრანდის მწვრთნელად ვიხილავთ.

### 7. ზინედინ ზიდანი, მადრიდის „რეალი“

ჩემპიონთა ლიგის 3-ჯერ მოგებითაც კი ვერ მოიშორა ფრანგმა ზინედინ ზიდანმა მოტივატორი მწვრთნელის იარლიყი. საერთოდ, მსოფლიოს წამყვან კლუბებში მწვრთნელებს უჭირთ აღიარების მოპოვება. შემადგენლობისა და ადმინისტრაციული რესურსების გათვალისწინებით დაფნის გვირგვინი ყოველთვის მოთამაშეებს რჩებათ — ასეთი შემადგენლობით ხომ ნებისმიერ მწვრთნელს შეუძლია გამარჯვების მოპოვება. როდესაც გუნდში სუპერვარსკვლავები თამაშობენ, მწვრთნელს უჭირს, ისინი ტაქტიკურ სქემას მოარგონ. ისეთმა შემსრულებელმა, როგორებიც არიან **ტონი კროოსი** და **ლუკა მოდრიჩი,** იციან, როგორ ითამაშოს და გაიმარჯვოს, ყოველ შემთხვევაში, ფიქრობენ, რომ იციან. ასე რომ, ზიდანის საქმე „რეალში“ რთული ხასიათის შემსრულებლებისგან კოლექტივის შექმნაა.

ზიდანი ტაქტიკურ ექსპერიმენტებსაც მიმართავს. „რეალი“ ზოგჯერ 5 ცენტრალური ნახევარმცველით თამაშობს ცენტრში სამ ნახევარმცველს ფლანგებზე კიდევ ორი ჰავბეკი ემატება, ამით მეტოქის საჯარიმოს წინ იქმნება რიცხობრივი უპირატესობა, რომლის რეალიზაციაც კომბინაციურად მოთამაშე ნახევარმცველებს შეუძლიათ. როცა ეს ტაქტიკა სათანადოდ ვერ მუშაობს, ზიდანს მოედანზე გამოჰყავს 2 ვინგერი და მოწინააღმდეგეს უჭირს ყურადღების გადატანა მოედნის ცენტრალური ზონიდან ფლანგებზე.

### 6. იურგენ კლოპი, „ლივერპული“

მიმდინარე სეზონში „ლივერპულმა“ უამრავი რეკორდი დაამხო და ჩემპიონატის დასრულებამდე 9 ტურით ადრე მეორე ადგილზე მყოფ „მანჩესტერ სიტის“ 25 (!) ქულით უსწრებს. აღსანიშნავია, რომ კლოპი თითქმის არასოდეს ცვლის ტაქტიკურ სქემას — 4-3-3-ს. მხოლოდ რამენიმეჯერ გადაიყვანა მან **როზერტო ფირმინო** ცენტრფორვარდის ადგილიდან (მის ადგილას **მო სალაჰი** იკავებდა ხოლმე) „ცხრიანის“ პოზიციაზე, თუმცა ზოგჯერ სქემას ცვლის და 4-4-2-ზე გადადის.

კლოპმა შეძლო ლივერპულელთა მოქმედების ავტომატიზმამდე დაყვანა. და, მიუხედავად თამაშის ყველასთვის გასაგები სტრუქტურისა (პრესინგი, ბურთის გადატანა ფლანგიდან ფლანგზე, ჩაწოდებები მეტოქის მცველების ზურგს უკან), მოწინააღმდეგე ვერაფერს უპირისპირებს წითლებს. გუნდს განსაკუთრებით კარგად გამოსდის თავისუფალი ზონების გამოყენება შეტევისას.

რატომ არის შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გუნდის მწვრთნელი სარეიტინგო სიაში მე-6 პოზიციაზე? ერთია პრემიერლიგის ვადამდე მოგება, მეორე — ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან გავარდნა მადრიდის „ატლეტიკოსთან“ მატჩებში (0:1; 2:3). მადრიდელებმა დაამტკიცეს, რომ „ლივერპულიც“ უშვებს შეცდომებს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**
**(დასასრული შემდეგ ნომერში)**


იულიან ნაგელსმანი


ზინედინ ზიდანი

# ვაჟა ფიფია — 80 წელი



**კარგ მამულიშვილსა და ზუგდიდზე უზომოდ შეყვარებულ პიროვნებას, ყველასთვის ცნობილ და პატივსაცემ კაცს – ვაჟა ფიფიას — 80 წელი შეუსრულდა.**

ვაჟა ჩვენი მეგობარია. ჩვენი მეგობრობა კი სათავეს გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან იღებს. უღალატო მეგობარია, თორემ ამდენ ხანს ვერ შევრჩებოდით ერთმანეთს. სამეგობროში გამორჩეული კაცია, გამორჩეული აქტიურობით, ინიციატივებით და სწორედ ამიტომ იქნა არჩეული „საჯიმალოს“ თავკაცად. ვაჟა თავისი ხელობის უზადო მცოდნეა ანუ სოფლის მეურნეობის შესანიშნავი სპეციალისტი, უაღრესად განათლებული, შრომისმოყვარე და გამრჯე კაცი. თავისი იარაღი — კალამი — ყმაწვილკაცობიდან ხელიდან არ გაუგდია და საზოგადოება „ზუგდიდელის“ აქტიური წევრი დღესაც არ იშორებს მას. ერთი მისი მეგობარი ხუმრობით ამბობს, ნეტა ვიცოდე ეს ჩვენი ვაჟა ამდენს რას წერს, თავაუღებლად რომ მუშაობსო.

ბატონმა ვაჟამ საინტერესო ცხოვრება განვლო: მშობლიური სოფლის, ჩხორიის კოლმეურნეობის რიგითი წევრიდან გამგეობის თავმჯდომარემდე. იყო აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი აგრონომი. სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, მსხვილი სამეურნეო ერთეულების პირველი პირი, აქტიურად საქმიანობდა ახალგაზრდულ და პარტიულ ორგანიზაციებში.

ვაჟა ღირსეული თვისებებით შემკობილი ზუგდიდელი კაცია. მათ შორის ყველაზ მთავარი გახლავთ ის, რომ მშვენიერი ოჯახის ღირსეული თავკაცია თავის ღირსეულ მეუღლე **ლამარასთან** ერთად.

ვაჟას ღირსეულ, კაცურ თვისებად ისიც მიგვაჩნია, რომ არ ივიწყებს ზეციურ სასუფეველში მყოფ მეგობრებს და მათი დაბადებისა თუ გარდაცვალების დღეებში აუცილებლად მოინახულებს ხოლმე საფლავებს, დაუნთებს სანთლებს და წაუქცევს თითო ჭიქა ღვინოს.

ვაჟას, კომუნისტურ ეპოქაში დაბადებულ და გაწვრთნილ კაცს, დღეს ბევრი მეგობარი ვერ შეედრება ეკლესიურობაში, მართლმადიდებლური ტრადიციების მსახურებაში, ამიტომაც არის, ალბათ, რომ მძიმე ოპერაციაგადატანილი მისი გული (ღმერთის წყალობით) მშვენივრად მუშაობს და მისი პატრონი მკერდგახსნილთა (გულის ოპერაციაჩატარებულთა) ასოციაცია „გურის“ თავმჯდომარეა. 80 წელი ხომ გვემსახურა შენი გული, ჩვენო ვაჟა, ჰოდა, დავლოცავთ მას, რათა ამას იქით ერთი ამდენი კიდევ გვემსახუროს!

**მეგობრების ჯგუფი:**

**ბონდო ჯიქია,**
**იგორ ქობალია,**
**თამაზ ცანავა,**
**დემურ ჭანტურია,**
**გული აგუმავა,**
**იანური მესხი**

# უკრაინელები პოლონეთში მუშაობაზე: ისე გვეპყრობიან, როგორც პირუტყვებს

**„გვიხდიან გაცილებით ნაკლებს, ვიდრე თავიანთ მუშებს; დაგვცინიან, გვატყუებენ. სამუშაო პირობები კატორღულია“, — ასე ახასიათებენ სამუშაო სეზონს პოლონეთში უკრაინელი „სამუშაოს მაძიებელნი“ („ზარაბოტჩანე“ — უკრაინულად).**

თავის უკრაინულ თავგადასავალზე უკრაინულ გამოცემა Strana.ua-ს ესაუბრა ქალაქ ლუცკის მცხოვრები გალინა ფედიშინა.

**„პოლონელები ადრეც ხშირად დასცინოდნენ უკრაინელებს, ფულს სრულად არ უხდიდნენ. ახლა კი სულ გამხეცდნენ. ბოლო კვირაში ორ მეურნეობაში ვიყავი, ვარშავასთან ახლოს — და ყოველთვის ცდილობდნენ ჩემს მოტყუებას, ისე გვეპყრობიან, როგორც პირუტყვებს. სამუშაო პირობები კი კატორღულია“,** — თქვა **გალინა ფედიშინამ.**

პოლონეთის შრომითი მოწყობის სააგენტოებში ამბობენ, რომ ძალიან ბევრია სამუშაოს მაძიებელი. სამუშაო რომ იშოვნონ (ლაპარაკია მარწყვის პლანტაციებზე) უკრაინელებს უზარმაზარ რიგში დგომა უწევთ სასაზღვრო გადასასვლელ „შეგინიზე“.

**მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



რიგი უკრაინისა და პოლონეთის სასაზღვრო გადასასვლელ „შეგინიზე“

# «ევროკავშირისა და აშშ-ის ელჩები თვალს ხუჭავენ იმაზე, რომ მოლდოვაში ბანდიტები მოსამართლეებს ემუქრებიან»



**მოლდოვის პრეზიდენტმა იგორ დოდონმა ყოველკვირეული ვიდეოპლატფორმის „პრეზიდენტი უპასუხებს“ ფარგლებში ილაპარაკა, მოლდოვის მართლმსაჯულებისგან აშშ-ში გაქცეული დემოკრატიული პარტიის ყოფილი ლიდერი, ფინანსურ და პოლიტიკურ დანაშაულებში ბრალდებული ვლადიმერ პლახოტნიუკი თუ როგორ ზემოქმედებს პროკურორებსა და მოსამართლეებზე.**

„პლახოტნიუკმა მოისყიდა დეპუტატები, რათა დაშალოს საპარლამენტო უმრავლესობა და მოიპოვოს გავლენა მოსამართლეებსა და პროკურორებზე. მისი მისიაა, დაანახვოს მოსამართლეებსა და პროკურორებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობა აღარ არსებობს და შეუძლია ხელისუფლებაში დაბრუნება“, — განაცხადა სახელმწიფო მეთაურმა.

**იგორ დოდონის** თქმით, ევროკავშირისა და აშშ-ის კიშინიოვში აკრედიტებული ელჩები „ისეთ სახეს იღებენ, თითქოს ამას ვერ ამჩნევენ“. მანვე აღნიშნა, რომ ასე სურთ „ბანდიტებსა და მაფიოზებს“ ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციის გამოწვევა. **„პლახოტნიუკი პირადად ურეკავს დეპუტატებს, — ამტკიცებს დოდონი, — და ეუბნება, რომ მოლაპარაკებულია მაიასთან (მაია სანდუ — პარტია „მოქმედება და სოლიდარობის“ ლიდერი, ექსპრემიერი), მოლაპარაკებულია აშშ-ის ელჩთან და ყველაფერი რიგზე იქნება“.**

დოდონმა ყველას შეახსენა, რომ სააპელაციო პალატამ არ დააკმაყოფილა პროკურორების 6-დან 5 მოთხოვნა პლახოტნიუკის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე. ამის გამო მან ელჩებს მიმართა კითხვით, რატომ აკრიტიკებენ მოლდოვის ხელისუფლებას და ვერ ამჩნევენ, რა ხდება სასამართლო სისტემაში აშშ-ში გაქცეული ოლიგარქის ზემოქმედების გამო.

**„ბატონო ევროკავშირისა და აშშ-ის ელჩებო, რატომ ამის გამო არ ატეხეთ ხმაური? ამბობთ, რომ ხელისუფლება რაღაცას ისე არ აკეთებს, როგორც საჭიროა, თუმცა ვერ ამჩნევთ, რომ ამით ბანდიტები არიან დაკავებულნი. პროკურორებსა და მოსამართლეებს ეშინიათ, ისინი მთხოვენ, მათთვის დაცვა უზრუნველვყო. მათ ეუბნებიან: „შენ ხვალ ან აიღებ 500 ათასს და გადაწყვეტილებას პლახოტნიუკის სასარგებლოდ გამოიტან, ან კისერს მოგტეხთ. აი რა ხდება მოლდოვის იუსტიციაში“,** — თქვა დოდონმა.

**მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



# მას შემდეგ, რაც პოლიციის უფროსმა მომიტინგეებთან ერთად დაიჩოქა, სამხრეთ ფლორიდის სპეცდანიშნულების რაზმის ათმა თანამშრომელმა სამსახური დატოვა

**აშშ-ში, სამხრეთ ფლორიდის პოლიციის დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების რაზმის 10-მა თანამშრომელმა სამსახური დატოვა. ისინი სხვადასხვა საკითხით არიან უკმაყოფილო, მათ შორის იმის გამოც, რომ ქალაქის პოლიციის უფროსმა მომიტინგეების წინაშე დაიჩოქა.**

სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლები კოლექტიური გადაწყვეტილების საბაბად „არსებულ პოლიტიკურ კლიმატსა და ბოლოდროინდელ ადგილობრივ მოვლენებს“ ასახელებენ. ჯგუფის წევრებმა ადგილობრივი პოლიციის უფროსს უთხრეს, რომ ეს იყო ბოლო წვეთი, როცა სოლიდარობის ნიშნად სამართალდამცველებმა მუხლი მოიყარეს.

„შტაბის წევრები, რომლებიც სოლიდარობის ნიშნად იჩოქებენ,... უკვე აღარ არის მისაღები ჩვენთვის და ჩვენი ოჯახებისთვის“, – აღნიშნეს მათ. აფროამერიკელი ჯორჯ ფლოიდის გარდაცვალების შემდეგ აშშ-ში საპროტესტო ტალღა დაიწყო. დემონსტრაციებზე სოლიდარობის ნიშნად ხშირად იჩოქებენ ხელისუფლებისა თუ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები.



# ინგლისში საპროტესტო აქციის მონაწილეები მაჰათმა განდის ძეგლის აღებას მოითხოვენ

**ინგლისში აქტივისტები ქალაქ ლესტერიდან მაჰათმა განდის ძეგლის აღებას მოითხოვენ. ინდოეთის ეროვნული მოძრაობის ლიდერის ძეგლის აღების მოთხოვნით ონლაინ პეტიცია გამოქვეყნდა, რომელზეც 5 000-მდე ხელმოწერაა.** პეტიციის თანახმად, განდი „ფაშისტი, რასისტი და სექსუალური მტაცებელი“ იყო. ამ თემამ ადგილობრივ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. დიდ ბრიტანეთში, ანტირასისტული ტალღის ფონზე, ცნობილი გახდა, რომ რასიზმის ბრალდებების გამო ინგლისში სკაუტიზმის მოძრაობის დამაარსებლის, **რობერტ ბადენ-პაუელის,** ძეგლს აღებას უპირებენ, ლივერპულის უნივერსიტეტი კი ოთხგზის პრემიერმინისტრ **უილიამ გლადსტონის** სახელს დარბაზის დასახელებიდან ამოიღებს.

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894